

ცელის ჩაპატაპ

საა პერილე,  
თუ სად ცოცხალი ...

## ზელიმ ჩაკვეტაძე

### ხეა ამოიღე, თუ ხარ ცოცხალი ...

ეპიგრაფი

„მიმდობნი საწუთოსანი მისთა ნივთთაგან რჩებიან,  
იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ ბოლოს ვერ მოურჩებიან;  
ვაქებ ჭკუასა ბრძენთასა, რომელნიც ეურჩებიან“.  
შოთა რუსთაველი

„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!  
ყველა უნჯი, ყველა მუნჯი, გულჩვილი და ლმობიერი“.  
ილია ჭავჭავაძე

მეცნიერებისათვის ჭეშმარიტება ის არის,  
რაც არის და არა ჰიპოტეტური „რა იქნებოდა თუ კი...“  
აინშტაინი



## ნინასიტყვაობა

ჩემი პუბლიკისტური სტატიების კრებული, რომელსაც „ხმა ამოიღე“ ვუწოდე, სათავეს გასული საუკუნის 90-იანი წლების და-საწყისში იღება, როცა წითელი თაღლითები და მონურ ცხოვრებას შეჩვეული ბრძოები ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვიროდნენ კოლექტივი საზოგადოების განვითარების მწვერვალია და მასზე უკეთესს ადა-მიანის გონება ვერაფერს მოიფიქრებსო და ლანდღვა-გინებით უმას-პინძლდებოდნენ ყველას, ვინც მათ შეხედულებას არ იზიარებდა.

მე ცხოვრების ყველა სფეროში დავუპირისპირდი ჯერ წითელ და შემდეგ მრგვალ იდეოლოგებს. ვერ მივიღე მათი შეხედულებები ვერც საშინაო და ვერც საგარეო პოლიტიკაში.

დაკვირვებული მკითხველი გაიგებს ჩემს შეხედულებას: რომ პერესტროიკისთანა საფუძველზე შენობის აგება სიბრიყვეა. უანგარიშობაა, უყაირათობაა. 1992 წელს დაწერილ სტატიას „ეროვნული მოძრაობის ინტერპრეტაცია“ ეპიგრაფად წამდლვა-რებული აქვს ილიას სიტყვები: „თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გამდიდრების გზაზე არა სდგას, იგი ღონემიხდილი ლომია, უხორთუემო სპილოა იმ მწვავე და დაუნდობელ ომში, რო-მელსაც ეროვნული არსებობისათვის ბრძოლას ეძახიან. ილიას ამ სიტყვების გაანალიზებას რომ კაცი შესძლებს, ვერც წითლების, ვერც მრგვალების და ვერც ნაცების გვერდში ვერ დადგება. სუ-ლელი ხომ არ იქნება გიგანტს ზურგი შეაქციოს და პატარა კაცებს გვერდში ამოუდგეს.

ძლიერნი ამა ქვეყნისანი ხალხს ანუგეშებდნენ და ანუგეშებენ: მოითმინეთ ხალხო, და გეშველებათო. „ოჳ, მოთმინება ეგ ხომ სიტყ-ვაა, გამოგონილი სახედართათვის ამბობს მსოფლიო რომანტიზმის მამამთავარი ჯორჯ ბაირონი. ხალხი ითმენს, მისი რჩეულები ვალებს იღებენ და საწარმოო ძალების ამოძრავების მაგივრად სტომაქს ავარჯიშებენ ხორაგის განადგურებაში.

ქვეყანაში საშუალო ფენა ნადგურდება, მისი ერთი ნაწილი წინა აზიისა და ევროპის ქვეყნების პაუპერიატის რიგებს ავსებს, ხოლო მეორე, ადგილობრივ ღატაკთა არმიას უერთდება. განა ეს საყვირა-ლი არ არის?

## კოლეგიურნეობა, კონფორმისტები და მეამპოზები

დღეს, როცა გამუდმებული ლაპარაკია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების გაუქმებაზე, ხშირად შეხვდები აზრთა და-პირისპირებებს, ცხოვრების მიერ წამოჭრილი ამ საჭიროოროტო საკითხზე, როგორც პრესაში, ასევე ჯგუფურ საუბრებში, კრებებზე, რადიო და ტელეგადაცემებშიც.

დაპირისპირებათა მიზეზები უნდა ვეძიოთ არა მარტო სარგე-ბლიანობაში, არამედ ადამიანთა მსოფლიხდეველობაშიც.

თუ რისი მომტანია კოლმეურნეობა უბრალო კოლმეურნისათვის, ან საერთოდ ქვეყნისათვის, ეს თითქმის ყველამ იცის და ამ საკი-თხზე დავაც არ ლირს.

მსჯელობას ექვემდებარება თვითონ საზოგადოების წევრთა მსო-ფლმხედველობა.

ადამიანთა მოდგმა ოდითგანვე გაყიდვილი იყო ორ ძირითად ნაწილად: კონფორმისტებად და მეამბოხებად.

კონფორმისტი ის კაცია, რომელიც შეუგუვდა არსებულ ცხო-ვრებას, შეუსისხლხორცდა გარემო პირობებს, არც ცდილობს მის გარდაქმნაზე და გამართლებულად მიაჩინია ის მდგომარეობა, რო-მელშიც მას ცხოვრება და მოღვაწეობა უხდება.

იგი არა მხოლოდ შეეჩინა არსებულ სინამდვილეს, არამედ იბრ-ძის კიდეც მისი დაცვისათვის. მას როგორადაც არ უნდა ტანჯავ-დეს არსებული სინამდვილე, მაინც არ ამბობდება მის წინააღმდეგ. მაგალითისათვის ავილოთ ჭაბუა ამერიჯიბის „დათა თუთაშეიადან“ არხიპო მარჩენალი. გაიხსენეთ, რა დღეში ჰყავდა მას ხალხი და როგორ აფასებენ და იცავენ ისინი თავიანთ „მამა მარჩენალს“.

კონფორმისტი როგორც შემგუებელი ბუნების მქონე კაცი, ვე-რაფერს დიდმნიშვნელოვანს ცხოვრებისათვის ვერ შექმნის, რადგან იგი არ იბრძის პირობებისა და გარემოს გარდაქმნისათვის.

შეიძლება წარმოვიდგინოთ ასეთი რამ: ყველა ადამიანი შეგუე-ბოდა იმ პირობებს, რომელიც მას თავისი ისტორიის გარიურავზე ჰქონდა, ეზიდა ტვირთი თრევით და არ მოეგონებინა ბორბალი, შეჩერებულიყო ურემზე, და არ ეზრუნა ავტომობილის, თვითმფრი-ნავის, კოსმოსური ხომალდის შექმნაზე, მაშინ ვინ მოგვიტანდა მეც-ნიერებისა და ტექნიკის იმ დონეს, რომელიც ამჟამად ჩვენ გვაქვს? ცხადია – ვერავინ.

არსებობენ მეორე ჯგუფის ადამიანები, რომლებსაც მეამ-

ბოხეებს უწოდებენ. მეამბოხეები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით და განუწყვეტლივ იბრძვიან ამ მიღწევათა გაუმჯობესებისათვის, წინსვლისათვის.

როგორც კონფორმისტებს, ისე მეამბოხეებს უხდებათ ერთნაირ გარემოში ცხოვრება და თუ ერთნაირ გარემოში ცხოვრობენ, რატომ უნდა იყონ განსხვავებული ერთმანეთისაგან? – აქ საქმე გვაქვს ადამიანის სუბიექტურ ფაქტორთან. თუ როგორ აღიქვამს იგი არსებულ სინამდვილეს? როგორია მისი შეხედულება გარემო პირობებზე?

სწორედ ამ კითხვებთან დაკავშირებით უნდა ვეძიოთ კონფორმისტებისა და მეამბოხეების დაპირისპირება კოლმეურნეობათა გაუქმების თაობაზე.

მეამბოხეებს მიაჩნიათ, რომ საკოლმეურნეო წყობილება, რომელმაც შეიწირა მილიონობით ადამიანის სიცოცხლე და ვერავითარი წინასვლა საზოგადოებას ვერ მოუტანა უნდა დაიშალოს და შეიქმნას კერძო საკუთრება მიწაზე და წარმოების საშუალებებზე.

არსებობს შეხედულება, რომ კოლმეურნეობის გაუქმების შემთხვევაში მექანიზაცია დარჩება სახელმწიფოს. მაგრამ საკითხავია რატომ უნდა დარჩეს კოლმეურნეობის ტექნიკა სახელმწიფოს ხელში? იგი ხომ გლეხობის კოოპერაციულ-საკოლმეურნეო საკუთრებაა და მისი ლიკვიდაციის შემთხვევაში ტექნიკა მიწასთან ერთად უნდა დაუბრუნდეს თავის ნამდვილ პატრონს.

დიდ სოფლებთან ან რამდენიმე პატარა სოფელთან უნდა შეიქმნას მექანიზაციის პარკები. პარკებში მომუშავე მექანიზატორები გლეხური ასოციაციების მიერ შეთანხმებულ დღეებში მივლენ იმ ჯგუფებთან, რომლებთანაც გამოძახებული იქნებიან. ხოლო გასამრჯელოს მიიღებენ წინასწარ დადგენილი ფასების მიხედვით და არა ისე როგორც ამჟამად ხდება: თუ ტრაქტორისტმა კოლმეურნეობისაგან თავისუფალი დრო იშოვა და გლეხის ყანა დახნა ორმაფ ფასს ღებულობს. ტრაქტორი კოლექტივისააო, ნაწილებს და საწვავს მევყიდულობო, სამუშაოს მევასრულებო.

რაც შეეხება მინიატურულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას და მუშა პირუტყვს, მის შესაძნად გლეხს უნდა დავეხმაროთ, მაგრამ რა საშუალებებით. ეს ეკონომისტთა მსჯელობის საგანი უნდა გახდეს.

ჩემს წინა წერილზე მივიღე გამოხმაურება. ქალბატონი ვენერა შუბლაძე მწერს: „კოლმეურნეობის წინსვლის ბედი დამოკიდებულია – ხელმძღვანელზე, თუ ხელმძღვანელი კეთილსინდისიერია და შრომისმოყვარე, საქმე ჩარჩივით აეწყობა“.

საქართველოში კოლმეურნეობების დიდი ნაწილი, მიუხედავად სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების მატებისა, წანგებიანია.

იმის თქმა, რომ თავმჯდომარეები თითქოს უსინდისონი და მუქამის მეურნეობი არიან, ობიექტურად მოაზროვნე კაცს არ ეკადრება. მათ სინდისიც გააჩნიათ, შრომისმოყვარეობაც და ცხოვრებისეული გამოცდილებაც, მაგრამ საქმე მაინც არ გამოსდით. აქ მიზეზი უნდა ვეძიოთ: 1) გლეხის ფსიქოლოგიაში; 2) სახელმწიფოს მართვის სისტემაში.

კოლექტიური მეურნეობა, როგორც უკვე ითქვა, ხალხს თავს მოახვიეს ძალით, „ფოლადის მუშტმა“ შექმნა მორჩილება, მაგრამ სიყვარული – ვერა. შეიძულა ხალხმა კოლექტივი, არ მიიტანა გულ-თან მისი საქმე, ხოლო უგულოდ ნაკეთები საქმე დადებით შედეგს ძნელად თუ გამოიღებს.

შევეხოთ სახელმწიფოს მართვის სისტემის გავლენას კოლემეურნეობაზე. თავმჯდომარე მთლიანად დამოკიდებულია ზევიდან დადგენილ გეგმებზე, მითოთებებზე, ისევე როგორც გლეხს, წარმეული აქვს პირადი ინიციატივის უფლება ბრძანებებზე, აწერინებენ იმას, რასაც ვერ აკეთებენ, არ ეხმარებიან იმაში, რაშიც დახმარება შეუძლიათ. თუ თავმჯდომარემ უნდა მიიღოს ახალი ტექნიკა, საშმენებლი მასალები, თუ სხვა რაიმე, სავაჭრო ორგანიზაციები ე.წ. „სვერხს“ ახდევინებენ. დიდი კაცებიც ისე არ გაჩერდებიან თუ მას არაფერი წაართვეს, ფულადი ან ნატურის სახით. აკი გავასამართლეთ რამდენიმე წლის წინათ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელთანაც რაიკომის მდივნებს ქრთამი მიჰქონდათ. ცხადია, ეს ქრთამები მიდიოდა თავმჯდომარეებიდან რაიკომში, რაიკომიდან ცენტრალურ კომიტეტში და ა.შ.

ის „სვერხები“ და შენაწერები კოლრმეურნეობის ბეღლიდან უნდა გავიდეს. ასე, რომ ის „დიდი ტარო“, რომლის შესახებ ხალხი ლაპარაკობს, მარტო თავმჯდომარის არ ყოფილა და განაწილების პრინციპის დარღვევა უნდა დაბრალდეს არა მარტო თავმჯდომარეს, არამედ სახელმწიფოს მართვის მთელ სისტემას, რომელსაც ხალხის ბედი აბარია.

განაწილების პრინციპის დარღვევა ხელს უწყობს ადამიანებში უდარდელობას და თოხნის მაგივრად საქმე გვაქვს მიწის ჩიჩქნასთან და მერჩდილეობასთან.

რაც შეეხება კარგ კოლმეურნეობებს და კარგ თავმჯდომარეებს, ასეთები ცოტა არიან და მათ სარეკლამოდ იყენებენ. ასეთ თავმჯდომარეებს ათავისუფლებენ ზევიდან შენაწერებით, ამარაგებენ

წარმოების საშუალებებით, ეხმარებიან კრედიტებით, ხელს უწყობენ საქონლის გასაღებით და სხვ.

მნერენ: კოლმეურნეობას 10 ტრაქტორი მაინც ჰყავს, 50 ავტომობილი, კომბაინი, სათიბი მანქანები და სად თქვენი ხარები და სად ასეთი ტექნიკაო.

მაგრამ რად გინდა ამდენი საშუალებები წარმოებისა, რომელსაც გლეხი ვერ იყენებს. მიდის გლეხი კოლმეურნეობაში ტრაქტორის საქირაოდ, ჯერ თავმჯდომარე უნდა ნახოს, მერე აგრონომი, ბუღალტერი, მოლარე და ვინ მოთვლის თანამედროვე ბიუროკრატიულ აპარატში უფროსების რაოდენობას. მერე იქნებ ტრაქტორისტამდე მიაღწიოს. ტრაქტორს ან ნანილი ექნება გატეხილი ან საწვავი არ ექნება, ან ზეთი და დარბის იგი ზევიდან ქვევით, იკარგება ძვირადლირებული დრო, სწყდება ნერვები, ხარჯავს ენერგიას ამდენ ხეტიალში. ხარები გლეხის საკუთრებაშია, არ სჭირდება მის დაუღლებას არც ფულის ჩარიცხვის ქვითარი და არც სახელმწიფოს გერბიანი ბეჭდით დამოწმებული საბუთები. მოიტანა თავისთვის შეშა თუ ხარდანი, სიმინდი თუ ყურძენი, ისე რომ არც ფული დახარჯვია და არც ნერვები დასწყვეტია.

რაც შეეხება სტალინის გაიდეალებას, რომ იგი სულ სხვანაირად გააკეთებდა, კოლმეურნეობით გლოებს გააბედნიერებდაო, ამის თქმა მხოლოდ „სტალინელებს“ შეუძლიათ. ქვეყნად მხოლოდ სიმართლის ნერგი ხარობს საბოლოოდ. „სიმართლის ნერგი იხარებს, დარგო თუნდ „სიპსა ქვაზედაო“. მას სიმართლის ნერგი არ დაურგავს და იგი ვერც გაიხარებდა. სტალინი და კოლმეურნეობა განუყოფელი ნაწილებია ერთი მთლიანი ბოროტებისა. პირველი შემქმნელია, მეორე – შექმნილი. შექმნილი ყოველთვის ჰყავს შემქმნელს და გამოხატავს მისი არსებობის გაგრძელებას.

სტალინის მიერ შექმნილი ტოტალიტარული სახელმწიფო იყო მასების ძარცვაზე, ცბიერებაზე, სისხლზე და ცალკეულ პიროვნებათა განდიდებასა და გამდიდრებაზე დამყარებული ორგანიზებული მაფია, რომელსაც კონფორმისტები შეეგუენ და აიდეალებენ, ხოლო მეამბოხეები ებრძოდნენ და ახლაც ებრძვიან.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
18.12.1990წ.

## სახელმიწოდებული ინკორპორიტო

ტყავი გააძვრეს ქვეყანას, ჯიბეს იყრიან ფულებსა...  
კაცებად იმათვე სთვლიან, ამ ქვეყნის მცარცველ თულებსა?..  
**ვაჟა-ფშაველა**

144-ე ნომერ „სამტრედიის მაცნეში“ გამოქვეყნებულ წერილში „კოლექტიური თუ ინდივიდუალური მეურნეობა?“ ვწერდი: „კოლექტიურმა მეურნეობამ ხალხს გზაკვალი აურია“. საკითხავია რაში გამოიხატება ხალხის გზა-კვალის არევა?

ყოველმხრივ შევიწროვებული გლეხი იძულებული ხდება, მიატოვოს მამა-პაპისეული კარ-მიდამო, გამოკეტოს ან მიატოვოს სახლ-კარი და გაუდგეს გზას. – საით? – ქალაქისკენ. რა ხვდება მას ქალაქში? – არაფერი განსაკუთრებული, იგივე გაჭირვება და ექსპლოატაციის შენიბნებული ფორმა.

სოფლად განაწილების პრინციპის უსამართლობა აშკარად ჩანს. გლეხმა აწარმოვა პროდუქცია და მიიღო მისი მცირე ნაწილი. ქალაქში მუშა ველარ უსინჯავს პულსს წარმოების ეკონომიკას და არც ნუსს იმის შესახებ, რასაც აშკარად ვერ ხედავს.

ამას წინათ ტელევიზორით გადმოსცეს ასეთი სტატისტიკური ცნობა: „ძველ რუსეთში ყოველი წარმოებული 10 მანეთიდან მუშას უხდიდნენ 5 მანეთს, საბჭოთა რუსეთში უხდიდნენ და უხდიან 3 მანეთს, თანამედროვე შვეიცარიაში – 8 მანეთს.

აზრის გადმოცემის გასამარტივებლად საწარმოში შექმნილი მთელი პროდუქციის ღირებულება აღვნიშნოთ A ასოთი, ხოლო ტექნიკის ცვეთა, კადრების მომზადება, საქონლის გასაღება, სამედიცინო, საგანმანათლებლო საჯარისო, სამართალდამცავი ფორმირებანი, სოციალური უზრუნველყოფა და სხვა მომსახურებანი, რასაც მთავრობა უწევს მუშას – B ასოთი. საწარმოსა და მთავრობის მიერ წალებული ღირებულება – C სოთი, ხოლო მუშის ხელფასი – D ასოთი, ნაშთი, რომელიც მთავრობას რჩება, ყველა განეული ხარჯების შემდეგ X-ით.

გამოვა, რომ A სიდიდე ყოველთვის მეტია B+D სიდიდეზე.

მთავრობის მიერ წალებული C სიდიდე უნდა ხმარდებოდეს რეგულარულად D და B სიდიდეების ზრდას, რაც წარმოადგენს საფუძველს A სიდიდის გაზრდისათვის. ამრიგად C ტოლი უნდა იყოს B+D სიდიდეებისა. მაგრამ C ყოველთვის მეტია B+D-ზე. თუ C-ს გამოვაკლებთ (B+D) მივიღებთ X სიდიდეს.

რადგან B სიდიდეში ყველაფერი შედის, დაწყებული მთავრობის კაცების ხელფასებიდან დამთავრებული დიპლომატების სადილით და ხელმოსაწერი ქაღალდებით, რაღა საჭიროა X სიდიდე?

X სიდიდე საჭიროა იმ ფუფუნებისათვის, რომლითაც დიდი კაცები ცხოვრობენ.

მთავრობა, იმ მიზნით, რომ გაზარდოს C სიდიდე, რომელიც წარმოადგენს სანარმოსა და მთავრობის ძლიერების ძირითად წყაროს და მასთან ერთად X სიდიდის გაზრდის საშუალებას, ცდილობს გაზარდოს B სიდიდე, რადგან ტექნიკის გაუმჯობესების გარეშე A სიდიდე ვერ გაიზრდება.

სანამ იარსებებს X სიდიდე, მანამ სამართლებრივი სახელმწიფო ვერ ჩამოყალიბდება.

სამართლებრივ სახელმწიფოში A და D სიდიდეები იზრდება პირდაპირ პროპორციულად და ერთნაირი პროგრესით. უსამართლო სახელმწიფოში A სიდიდე ზოგჯერ შეიძლება გეომეტრიული პროგრესით გაიზარდოს, ხოლო D – არითმეტიკულით თუ გაიზრდება ან იმითაც არა.

პირველყოფილ საზოგადოებაში არსებობდა მხოლოდ ორი სიდიდე A და D. მაშინ ადამიანს შეეძლო ენარმოებინა მხოლოდ იმდენი პროდუქცია, რამდენიც მის გამოკვებას სჭირდებოდა: მოკლული ნადირის ხორცი მთლიანად და თანაბრად უნდა განაწილებულიყო ტომის თითოეულ წევრზე. A ტოლი იყო D-სი. ამ დროს ტომის ბელადი ცხოვრობდა მისი კოლექტივის თითოეული წევრის ცხოვრებით.

შემდეგ, როცა ადამიანმა შესძლო ჭარბი დოვლათის წარმოება, უკვე თავი იჩინა უსამართლობამ განაწილების პრინციპში. X სიდიდე გაჩნდა არა ფარული, არამედ აშკარად მიტაცებული, მითვისებული დოვლათის სახით, ხოლო, როცა ტომის ბელადმა ზრუნვა დაიწყო დოვლათის დასაგროვებლად, გაჩნდა B სიდიდე წარმოების საშუალებების გასაუმჯობესებლად.

ჩემს წინა წერილში ნათქვამი იყო, რომ „საზოგადოება ზოგჯერ უბრუნდება ძველს, რამდენადმე განახლებული ფორმით“. განახლებული ფორმით ძველისაკენ მობრუნება ეს იქნება X სიდიდის მოშლა, A სიდიდის გატოლება B+D სიდიდესთან და D სიდიდის დაახლოება A სიდიდესთან. რაც შეეხება D-ს გატოლებას A-სთან, ეს შეუძლებელია, რადგან A-სა და D-ს შუა აუცილებლად უნდა იარსებონ B და C სიდიდეებმა.

ჩამოთვლილი მოსაზრებების ასრულება შესაძლებელია. ხოლო

ზემოთ დასახელებული X-ის მოშლაზე „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ არასდროს არ დათანხმდებიან. ისინი ყოველნაირ ძალას გამოიყენებენ მის დასაცავად.

კერძო საკუთრების პირობებში „ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ ძირითადად ცხოვრობენ იმ მიწებითა და წარმოების საშუალებებით, რომელიც მათ საკუთრებაში გააჩნიათ, ხოლო X სიდიდე მათთვის წარმოადგენს დამატებით საშუალებას.

საზოგადოებრივ საკუთრებაზე დაყრდნობილ სახელმწიფოში X სიდიდე არის დიდი კაცების სიძლიერისა და ბეჭნიერების აღფა და ომება.

როცა B+D მეტია A-ზე, მაშინ სახელმწიფო კატასტროფის წინაშე დგება. იგი ეძებს გამოსავალს ვალების აღებითა და ფულის გაყალბებით. ფულის გაყალბება დროის მცირე მონაკვეთში შველის მას, მაგრამ საბოლოოდ მაინც იღუპება. აქ შეიძლება დაიბადოს კითხვა: ომების დროს ხშირად იჭრება ყალბი ფული (ყალბია ფული, რომლის შესაბამისი ეკონომიკა ქვეყანაში არაა), მაგრამ სახელმწიფო არ იღუპება. რაშია საქმე?!

აქ მხედველობაში უნდა გვქონდეს ის მდგომარეობა, რომ გამარჯვებული სახელმწიფო დამპურობლისაგან იტაცებს A სიდიდის დიდ წანილს და ქვეყნის შიგნით საწარმოო ძალების განვითარებას წერტილი არა აქვს დასმული და იგი ხელახლა იწყებს აღორძინებას, რადგან მისი ჩამორჩენა მოხდა დროებით.

მაგრამ როცა ზემოთ დასახელებული ფორმულირება B+D მეტია A-ზე, გამოწვეულია თვით საწარმოო ძალების განვითარების ჩამორჩენილობით, მაშინ, როგორც უკვე ითქვა, სახელმწიფო იღუპება და მისი გადარჩენა არავითარ მიწიერ ძალას არ შეუძლია. ხოლო ღმერთი მას არ შველის და არც შეიძლება უშველოს, რადგან დრომოქმულისა და ძალაგამოცლილის კვდომა მისივე დადგენილია და ამ დადგენილების შესრულებით იგი არაფერს კარგავს, პირიქით ანხორციელებს თავის შემოქმედებით პრინციპს, რომელსაც შეიძლება „მარადიული ცვალებადობა“ ვუწოდოთ.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
27.12.1990წ.

## არ აშენდების შლამისგან რუს-ურბანისის ციხენი

პასუხი წერილზე „დამხტიტარო, დიმხტიტარო...“  
მელაურის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის  
თავმჯდომარეს ბატონ რეზო შენგელიას

როცა საზოგადოებრივ მეურნეობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა გვქონდეს ორი საკითხი: 1. როგორ ერწყმის ერთმანეთს საზოგადოებრივი და პირადული ინტერესები? 2. ხომ არ ზარალდება რომელიმე მათგანი?

გლეხის და კოლმეურნეობის ინტერესები რომ ერთმანეთს არ ერწყმის, ეს აზრი მე უკვე გამოვთქვი სტატიაში, „კოლმეურნეობა, კონფორმისტები და მეამბოხეები“, ხოლო კოლმეურნეობასა და გლეხს შუა დაზარალებულის მიგნებას დიდი კრიმინალისტიკა არ სჭირდება. იგი ისეთი ჭეშმარიტებაა, რომ უსიტყვოდაც მიხვდება კაცი, თუ, თქვენ ბატონი რეზო, იტყვით, რომ გლეხი კოლმეურნეობის ტექნიკით სარგებლობს და ეს ჩვენი წყალობააო, შემცდარი იქნებით, რადგან კოლმეურნეობის ტექნიკა გლეხობის საკუთრება და ამ საკუთრებაში თქვენ მხოლოდ რიგითი წევრი ბრძანდებით. თქვენ იგი ჩაბარებული გაქვთ დროებით, საპატრონოდ და მარტონდენ თქვენი ნუ გვინიათ. თქვენ რომ ტექნიკას გლეხის ქონებად არ თვლით, ეს ნათლად ჩანს მიტროფანე სტურუას სტატიაში „ასრულდა გლეხის ოცნება“, რომელშიც ნათქვამია „მინა ყველას უნდა, მაგრამ მექანიზაცია ისევ სახელმწიფოს ხელში რჩება“. საინტერესოა, რამდენი აგიტატორის გაგზავნა დაგჭირდათ სოფელში, რომ ხალხი დაგერწმუნებინათ, ტექნიკა ჩვენია და თუ მინებს დაირიგებთ, ვნახავთ, უტექნიკოდ რას შესძლებთო? ...ასეთი აგიტაცია ანტიდემოკრატიულია და იგი ადამიანებს ართმევს თვითგამოკვევის უფლებას, რაც დანაშაულად უნდა ჩაითვალოს.

ყოველ პოლიტიკურ დანაშაულს ორი მამოძრავებელი წყარო გააჩნია: 1. პირადული ინტერესები, 2. მსოფლმხედველობრივი შეცდომა.

თქვენს პირადულ ინტერესებს მე ვერ შევეხები, რადგან საამისო არც მორალური და არც იურიდიული უფლება არა მაქვს. ამ საქმის გარჩევა სპეციალური უწყებების მოვალეობაა. ხოლო მსოფლმხედველობრივ შეცდომებს მე უშუალოდ შევეხები. იძლევით უსუსურ დასაბუთებას, რომ რამდენიმე გლეხი კარგად ცხოვრობსო. ცხოვრების დონის საზომად გამოდგება საშუალო გლეხი და არა გმირი ან

ზარმაცი. თქვენ უნდა მოგეცათ სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რას ლებულობს საშუალო გლეხი თითოეულ სამუშაო დღეზე. აკმაყოფილებს თუ არა (თუნდაც მინიმალურად) მას თქვენს მიერ განაწილებული დოვლათი და შემდეგ ვიმსჯელებდით განაწილების პრინციპის სამართლიანობაზე, რა ენერგია დაახარჯვინეთ მას და რა მოგება ნახა მან კოლექტიურ მეურნეობაში ინდივიდუალურთან შედარებით.

თქვენ ისე გვიხატავთ კოლმეურნეობას, რომ გულუბრყვილო ადამიანს დააჯერებთ: კოლმეურნეობის ჩამოყალიბებით ადამიანებმა მიაღწიეს ეკონომიკური განვითარების მწვერვალს. სავსე გვაქვს ბელლები და ქვევრები, რომ შემოდგომაზე გლეხისთვის ნამდვილი „გაზაფხული“ დგება, რომ ამას იქით აღარა გვაქვს საძიებელი და საოცნებო, ადამიანებმა ოცნება და ამბოხი აქ უნდა შეწყვიტონ, რომ ბარათაშვილის „მერანს“ დბუუ, ვუთხრათ და შევახსენოთ რომ მოვჭენდით კოლექტივის კანტორაში.

მაგრამ გადავხედოთ საკოლმეურნეო ბაზარს და ცარიელ დახლებს მაღაზიებში და მაშინ მივხვდებით, რა დღეში იმყოფება საზოგადოება, რომელიც დღემდე ათასნაირი დაპირებებით იკვებებოდა და ახლა თვალნათლივ ხედავს ამ დაპირებათა შედეგს. თქვენ ტყუილად ცდილობთ კოლექტიურ მეურნეობაზე დაყრდნობით საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას. თუ თქვენ კოლმეურნეობა ნამდვილად პროგრესულ საქმედ მიგაჩნიათ, ვურჩიოთ „გაუნათლებელ ევროპას“, იქაც ჩამოაყალიბონ იგი. ნუ ვიქნებით უმაღურნი მათ მიმართლ ჩვენც ხომ ვსწავლობთ მათგან „რაღაცეებს“ და ჩვენი „სიბრძნეც“ გამოადგეთ შეიძლება მათ.

რაც შეეხება, ბატნო რეზო, კამათს, იგი ცუდი არაა, როგორ პლატონი გვასწავლის „კამათში იბადება ჭეშმარიტება“, მაგრამ არც გორგანელის სიტყვები უნდა დავიგინყოთ: „ოდეს კაცსა ნაეკიდებოდე, გულსა შიგან შესარიგებელს ალაგს ტოვებდეო“.

მე ჩემი სტატიების გამოქვეყნება მომიხდა ზუსტად იმ პერიოდში, როცა საზოგადოება დაინტერესებულია თავისი თითოეული წევრის აზრით, რომ ამ აზრებზე დაყრდნობით მან ახალი კონცეფციების სისტემები ჩამოაყალიბოს. თქვენი შეხედულება რომ სწორი იყოს, თუ თქვენ თავმჯდონარეობას მიაღწიეთ (ადამიანთა ცნობის საშუალო უნარი მაქვს) მე ბრიგადირობას მაინც მივაღწევდი და იმ ვაგონში მოვხედებოდი, რომლითაც თქვენ მგზავრობთ, მაგრამ მე იმ ჩოჩიალა ურემს ფეხდაფეხ მივყვები, რომლითაც სიმართლე დადი და ადრე თუ გვიან ყველას მოუკავუნებს კარებზე და თავის ყოფნას შეახსენებს.

თქვენ, ლაპარაკობთ „ჩემია“ და „ჩვენიას“ შესახებ და ცდილობთ ჩემი პერსონა იქამდე დაპატარავოთ, რომ მყითხველმა მიკროსკოპის ძებნა დაიწყოს ჩემს დასანახავად. კაცის ასე დაპატარავების სოფლის თავკაცს არ ეკადრება. უმჯობესი იქნებოდა ჩემი დაპატარავების მსურველი თვითონ არ დაპატარავებულიყავით ისე, რომ გეთქვათ „ჩემია“ გაცილებით მომგებიანია „ჩვენიაზე“. ეს რომ ნამდვილად ასე იყოს „ჩემი“ ბილიკი „ჩვენს“ რკინიგზაზე მეტი მომგებიანი იქნებოდა და არჩევანის დროს „ჩემია“ ბილიკში „ჩვენია“ რკინიგზას დაგითმობდით. დალუპვის წინაშე დამდგარ „ჩემია“ ურემს გადავარჩენდი და „ჩვენია“ მატარებელს გავსწირავდი. სამშობლო „ჩვენია“ შვილი „ჩემია“ ხომ ორივე დიდია, მაგრამ როცა საქმეზე მიღვება „ჩემიას“ ვსწირავთ „ჩვენიას“ გულისთვის. თუ „ჩემია“ უფრო მომგებიანია, რატომ ვსწირავთ მას „ჩვენიას“ გულისთვის?! ასე რომ „ჩემია“, როგორც უკვე მსჯელობით დამტკიცდა სრულებით არ ყოფილა ანგარებიანი და ობივატელი კაცის ფსიქოლოგია. იმ კოლმეურნეობაში, რომელსაც თქვენ იცავთ სუსტია „ჩემიაც“ და „ჩვენიაც“. თუ საქმეს გრამატიკოსის თვალით ჩავხედავთ, მასში ძლიერია კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა „სხვისია“ და „ჩემია“ და „ჩვენია“ სუსტია და პასიური.

კოლმეურნეობა რომ ექსპლოატაციის ფორმაა, ამის შეცვლა ჩემი „დამხტიტარო“, „დიმხტიტაროს“ და გლეხის გასამართლებით, არ შეიძლება. როცა ინკვიზიცია ჯორდანი ბრუნოს სწვავდა, კითხეს კიდევ ბრუნავსო? მეცნიერმა უპასუხა მე ვინვები, მაგრამ იგი მაინც ბრუნავსო. ასე რომ ბრუნოს დაწვას დედამიწის ბრუნვა არ შეუჩერებია.

თურმე მე, ექსტაზში ჩავარდნილმა „ცილი დავსწამე“ ადამიანებს იმაში, რომ მათში ჯერ კიდევ არსებობს მექრთამეობა. ეს დიდი ცილისწამებაა და შეგიძლიათ დიდი კაცები გაანთავისუფლოთ მისგან და იზრუნოთ იმის დამტკიცებაზე, რომ მე და გლეხებმა კოლმეურნეობის სალაროდან მამასისხლად მიღებული ფული შეკვრიბეთ და ცკ-ში მივიტანეთ, რომ ჩვენი მამა-მარჩენალი კოლექტივი გაეძლიერებინათ.

თქვენი მსჯელობა ემოციებიდან გამოდის. ჩემს სიტყვებს რომ დაკვირვებოდით, აუცილებლად მიხვდებოდით, რომ მათში გამოთქმული აზრი ზოგადია და არ არის დასახელებული თქვენი პერსონა, რომელიც შეიძლება მართლა უცოდველი იყოს, მაგრამ აქ თუ გონება არ მღალატობს, თქვენ „იმათში“ „ჩემია“ იგრძენით, თორემ მარტო „სხვისიას“ გულისთვის არ შემედავებოდით. ლოგიკის ულმობლობა სვამს კითხვას: რატომ გლეხი არ შემდავებია?!

უცნაურობაა, რომ თქვენი დახლების პატრონი ბავშვის დაიმედებას და იუმორის გამოთქმის უფლებასაც გვართმევთ.

ომის წინა წლებში გერმანიაში გამოვიდა კანონი, რომლის მიხედვით წიგნების, საგაზითო სტატიების და თვით კერძო წერილების წერა უნდა დაწყებულიყო და დამთავრებულიყო სიტყვებით „ჰაილ ჰიტლერ!“ ომის პერიოდში იწერებოდა წერილები: ჩვენს ქალაქში არ არის ძეხვი, არ არის პური, ადამიანები შეიმშილით კვდებიან, ზევიდან რუსები უხვად გვაყრიან ბომბებს „ჰაილ ჰიტლერ!“ როცა მთავრობამ „ჰაილ ჰიტლერის“ შინაარსობრივ არსები ჩაიხედა, იუმორით სიამოვნებაც აუკრძალა ხალხს. ჩემი თხოვნა, ბატონო რეზო, ის იქნება, რომ როცა ბაზარში ყველში 18 მანეთს მივსცემ, ქათამში 30-ს, კარტოფილში 3-ს, ხორცში 12-ს, ნუ ამიკრძალავთ რომ დავიძახო „ჰაილ კოლხოზ“. სხვა სათხოვარი თქვენგან არაფერი მაქვს. ამაზედაც მადლობელი ვიქნები.

ეს, ბატონო რეზო, გამიგონია, კაცმა არც თვალს, არც გულს, არც ყურს არ უნდა დაუჯეროსო. უნდა დაუჯეროს მხოლოდ ტვინს, მაგრამ საუბედუროდ ისიც ხშირად ცდება.

რაც შეეხება გლეხის მიერ მოსავლის უნებართვოდ და უანგარიშოდ მითვისებას, ნაწილობრივ თანაგიგრძნობთ იმაში, რომ ეს დანაშაულია. გლეხი ვალდებულია მექანიზატორის შრომა და საწვავის ღირებულება აანაზღაუროს, რაც შეეხება ტექნიკის ცვეთას, იგი მას არ აგინაზღაურებს, რადგან ტექნიკა მისი კომპერაციული საკუთრებაა. ხოლო გადასახადები, რომელსაც თქვენ იჯარის თუ კომპერირების წესით იღებთ, უსამართლობაა, რადგან რევოლუციის მასტიმულირებელი ძალა ეს იყო ლოზუნგი „მიწა გლეხებს, უფლებები საბჭოებს“. ასე რომ მიწა გლეხის საკუთრებაა და მის საკუთრებას მას რომ იჯარით აძლევთ, ეს ხომ ნამდვილი პარადოქსია.

კოლექტივიზაციის გარიურაუზე გლეხებს ქათმებიც რომ შეაყვანიეთ კოლექტივში, მაშინ რა ანაზღაურებას არიგებდით?! ასე რომ გლეხის დღევანდელი სტიქიური მოძრაობა არის 30-იანი წლების პოლიტიკური მოძრაობის პასუხი და მას ეკონომიკური გამართლება აქვს. ხოლო ეკონომიკა, მოგეხსენებათ, ყველაფრის საფუძველია.

თქვენი შეხედულება, რომ ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგება, ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მაგრამ თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ ცხოვრების კალაპოტში ჩადგომით გააძლიერებთ კოლმეურნეობებს და ქვეყანას გაამდიდრებთ, ეს შეცდომაა. თუ თქვენი მსოფლმხედველობა რაღაცა მანქანებით გაიმარჯვებს, მაშინ კიდევ მეტი მტკიცნეული ემოციით აუღერდება „დამხტიტარი, დიმხტიტარი“ და ქართველი კაცი გაიხსენებს შუა საუკუნეებში ნათქვამ სიბრძნეს: „არ აშენდების შლამისგან რუის-ურბნისის ციხენი“.

**მინაწერი:** ბატონი მკითხველო, ბარათაშვილის მერანი ხომ შევა-ჩერეთ კოლექტივის კანტორაში. ახლა ჩემი „სახელმწიფოს ეკონო-მიკური ინკოგნიტო“ ავიღოთ ხელში და ის სამართლებრივი სახელ-მწიფო, რომელიც კაცობრიობის ნარსულში ვეძიეთ და მომავალშიც ვეძებთ, იქნებ მელაურის სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში ვნახოთ. ვინ იცის? – იქნებ აქ თქვას გოეთეს ფაუსტმა „მშვენიერი ხარ, წუთო, შეჩერდი?!

**ზელიმ ჩაკვეტაძე**

24.01.1991

## პრესოგათივის საარჩევნო პარადოქსი

როცა ერთი პოლიტიკური პარტია იმარჯვებს მეორეზე, გამარჯვებულს უფლება არა აქვს ძველი პარტიის ნამუშევარი ერთი ხელის დაკვრით დაანგრიოს და მიწასთან გაასწოროს.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ჩვენს ქვეყანაში დაიწყო პროლეტაულტელების მოძრაობა, პროლეტაულტელები ანადგურებდნენ ყველაფერს, რაც ბურჟუაზიული საზოგადოების მიერ იყო შექმნილი: პყრიდნენ რელსებს, ამაზე ბურჟუაზიული მატარებელი დადიოდა; ანგრევდნენ ტაძრებს, დიდ თეატრსაც მიადგნენ დასანგრევად, ამაში ჰერცოგები მღეროდნენ. მათი მოწოდება „ჩვენ ხელინდელი დღის სახელით დავწვავთ რაფაელს, ეკლესიებსა და მონასტრებს კი გადავთელავთ“, ბრძომ დიდი აღტაცებით მიიღო, იმ იმედით რომ ისინი პროლეტარულ რაფაელს შექმნიდნენ, რომელსაც ძველი რაფაელი კონკურენციას ვერ გაუწევდა.

მაგრამ მაშინ საქმე გვქონდა ბრძოსთან, რომელსაც არ ესმოდა, რომ ახალ კულტურას საფუძვლად ძველი უნდა დაედოს, რომ ძველი-დან უნდა ამივიღოთ ის, რაც პროგრესულია, რასაც მატერიალური და კულტურული ღირებულება გააჩნია.

როცა ვეხებით საბჭოური არჩევნების სტურქტურას, აუცილებლად უნდა გადავსინჯორთ მისი ღირებულებანი. უნდა ვიცოდეთ, რომ ყოველი ქვეყნის კონსტიტუცია ადამიანის ტყავის ფასადაა დაწერილი და იგი არ შეიძლება იყოს მთლიანად გადასაგდები.

რა იყო ცუდი ან კარგი საბჭოური არჩევნების სტრუქტურაში – ცუდი იყო ის, რომ მხოლოდ რაიკომისთვის სასურველ პიროვნება დაასახელებდნენ კანდიდატად და ამომრჩეველთა 99,90 პროცენტი

ხმას აძლევდა. კანდიდატმა იცოდა, რაკი კანდიდატად დაასახელეს, დეპუტატადაც აირჩივდნენ, რადგან მისი, როგორც დეპუტატის ბედი, რაიკომში უკვე გადაწყვეტილი იყო და არჩევნები ტარდებოდა არა ფაქტიურად, არამედ ფიქტიურად. და რაკი დეპუტატის ბედი ასეთნაირად წყდებოდა, იგი ხალხის ნინაშე არ გრძნობდა პასუხისმგებლობას.

კარგი იყო არჩევნების საყოველთაობა – რომ ხალხი ირჩევდა დეპუტატებს და დეპუტატები თავნჯდომარეს. ეს მისაღებია და ასე უნდა დარჩეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ თავმჯდომარე არ უნდა წარმოადგენდეს რომელიმე დიქტატორის ნომენკლატურას.

ახალი არჩევნების დროს გვკარნახობდნენ: რომ ხალხი აირჩევს საკრებულოს, ხოლო საკრებულოს სათავეში ჩაუდგება უზენაესი საბჭოს მიერ დანიშნული პრეფექტი. დანიშვნა შეიძლება მასწვლებლის, ექიმის, ვექილის და არა არჩევითი ორგანოს ხელმძღვანელის.

პრეფექტი ანგარიშს არ აპარებს საკრებულოს, იგი მხოლოდ მისი დამნიშვნელოს დიქტატით იმოქმედებს და თვითონაც დიქტატორი იქნება თავის საკრებულოში.

პრეროგატივები ხალხს თვალს უსვევენ ასეთი დაპირებით: თქვენებურ კაცს დავნიშნავთო. ასეთ სატყუარაზე თანამედროვე საზოგადოების მიწვევა სიპროყვა. მე მინდა, რომ საკრებულოს სათავეში იყოს ჩემს მიერ არჩეული კაცი, რომ ჩემი ინტერესები უკეთესად იქნეს დაცული. ჩემია ის კაცი, რომელიც მე ავირჩიე ჩემი ნებით და არა ის, ვინც შენ დამინიშნე, შენი ინტერესების დასაცავად. საეჭვოა ის ამბავი, რომ შემა დანიშნულმა კაცმა ჩემი ინტერესები უკეთესად დაიცვას, ვიდრე ჩემმა არჩეულმა.

ახალი მთავრობის ალტრუიზმი რომ მისი კაცი დაიხარჯოს ჩემი გულისთვის, საჭიროდ არ მიმაჩნია. ჩემთვის ჩემი კაცი დაიხარჯოს პირველ რიგში და თუ საქმეს თავს ვერ გავართმევთ, მერე მის კაცს შევაწუხებთ.

სსკ-ის კონსტიტუციის || მუხლში ჩაწერილი კანონი, რომ „ყველა სახელმწიფო ორგანო ექვემდებარება სახალხო დეპუტატთა საბჭოების კონტროლს და ანგარიშვალდებულია მათ ნინაშე“ ჯერ კიდევ ძალაშია და მოსალოდნელია ახალ კონსტიტუციაშიც გადაიტანონ მომავალში.

მოგონებული ისე ბევრია და იმდენი სიკეთის ამოღება შეიძლება მისგან, რომ საჭიროდ არ მიმაჩნია პრეფექტებისა და საკრებულოების მოგონება და თუ მოვლენებს მაინც გადავარქმევთ სახელებს (თუმცა ეს საჭირო არა) მაშინ ის, პარლამენტის მიერ შემოღებული პრეფექტი, უნდა აირჩიოს საკრებულომ და იყოს იგი პასუხისმგე-

ბელი მის წინაშე. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება უფრო ძლიერ დიქტატორი, ვიდრე ადრე გვქონდა.

ჩემი არჩეული კაცი თუ შეცდება, მე მას მკაცრად მოვთხოვ, ხოლო შენს დანიშნულ კაცს უნდა ვეფერო და ფერების თავი ვისა აქვს ამ გაძვალტყავებულ ქვეყანაში და გადარეულ დროში!?

ზელიმ ჩაკვეტაძე  
15.11.1991

## თანამედროვე ეკონომიკური პროგლემები

იყო დრო, როცა ხალხი მთავრობის ყოველ დადგენილებას უპრეტენზიოდ მიჰყებოდა, არა მარტო იმიტომ, რომ პრეტენზიის გამოთქმის უფლება არ ჰქონდა, არამედ იმისათვისაც, რომ სწამდა მთავრობის მზრუნველი ხელისა, სწამდა, რომ მთავრობის მიერ მიღებული ღონისძიება საბოლოო ანგარიშში ხალხის სიკეთისაკენ იყო მიმართული.

ნიკიტა ხრუშჩოვის „მეფობის“ ბოლო წლებში მოხდა კარაქის გაცვირება. მოხერხებული ორატორი ისეთი სიტყვით გამოვიდა ხალხის წინაშე, რომ დაარწმუნა იგი თავისი გადაწყვეტილების სისწორეში, რომ გაძვირება ხელს შეუწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, რომ გადაწყვეტილება დროებითი იყო, რომ უმოკლეს პერიოდში სოფლის მეურნეობა წელში გასწორდებოდა, უახლოეს მომავალში სურსათის სიუხვე შეიქმნებოდა და სიუხვე სიიაფეს გამოიწვევდა.

ეს იყო 28 წლის წინათ. მაშინ ადამიანის გონება (ყოველ შემთხვევაში, ფართო მასენის) კრიტიკულად არ უყურებდა ხელმძღვანელის მოქმედებას. დღეს კი, როცა საზოგადოება აივსო ათასნაირი ცრუ დაპირებებით, ყოველი საღად მოაზრივნე ადამიანი კრიტიკულად ეკიდება მთავრობის დადგენილებებს და ფიქრობს, თუ რა გზით შეიძლება მიაღწიოს მთავრობამ თავისი დაპირებების შესრულებას და მოქალაქეთა ყოველდღიურად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას.

დღეს, როცა საწარმოო ძალების განვითარების გზები გარდაქმნის გარეშე იკეტება, ერთადერთ იმედად რჩება საბაზრო ეკონომიკა, რომელსაც გადაულახავი წინააღმდეგობა ელობება წინ. საბაზრო ეკონომიკა ჩვენს ქვეყანაში გზას ვერ გაიკალავს, ან ძნელად გაიკვალავს იმ მიზეზის გამო, რომ შექმნლია გიგანტურ საწარმოთა მონოპოლია, რომლებთანაც შებმა შეუძლებელი კი არა, წარმოუდ-

გენელიცაა. რა კონკურენცია შეიძლება გაუწიოს კომპერატივმა მსხვილ სანარმოებს? თუ კომპერატივი რომელიმე მანქანის რომელიმე დეტალის დამზადებას მთელი დღეები მოუნდება, მსხვილი სანარმო იმავე დეტალს რამდენიმე წამში შტამპის ერთი დარტყმით დაამზადებს და თუ შეხედავს, რომ კომპერატივი დამზადებულ საქონელს 10 მანეთად ყიდის, თვითონ 5 მანეთად გაყიდის და მომენტალურად გააძევებს ბაზრიდან, ხოლო კონკურენცის მოცილების შემდეგ თავის საქონელს თავისთვის სასურველ ფასს დაადებს.

რაც შეეხება სოციალურ სამართლიანობას, იგი შეიძლება ცნოს სახელმწიფომ, მაგრამ ბაზარი (მით უმეტეს თავისუფალი) მას არა-სოდეს არ ცნობს. რა ჯავრი აქვს ყველია გამყიდველს, შენ ორი შვილის მამა ხარ, თუ ათის, მისი ნანარმი წითელ მაგიდაზე მიგაქვს თუ მრგვალზე. იგი ისევე არ იკითხავს, როგორ იშოვე 15 მანეთი, შახტიდან გამოიტანე, თუ ქრთამად მოგვივიდა კაპინეტში, როგორც შენ არ ჰკითხავ მას: ძროხას მანეთიანი ქატო აჭამა, თუ 20-კაპიკანი.

ბაზარმა იცის მხოლოდ ხარისხი, ფასი და კონკურენცი. ამ სამი წინაარმდებობიდან გიგანტურ სანარმოს ვერც ერთი ზიანს ვერ აყენებს. მისი საქონლის ხარისხი თითქმის არც მოწმდება. ისე სალდება, რადგან სხვა ამ საქონელს ვერ ანარმოებს. ჭასმა რომ დაიწიოს, მწარმოებელს კონკურენცი უნდა ჰყავდეს. კონკურენცის კი გიგანტი მომენტალურად გაანადგურებს.

რაც შეეხება კომპერატივებს, რომლებიც ღვიძლი პირმშოა გარდაქმნისა, ვერაფერს ვერ აკეთებენ და არც ჩანს იმედი, რომ რაიმე გააკეთონ, ფულის გარდა. მას უნდა შეემსუბუქებინა ხალხის ცხოვრება, მაგრამ მოხდა პირიქით – დაამძიმა. კომპერატივები ყიდულობენ სახელმწიფო დაწესებულებებიდან ნედლეულს სახელმწიფო ფასებში და თავის ნანარმს ჰყიდინან სპეცულირებულ ფასებში. ისინი, თუ ასე გაგრძელდა, წვრილ სახელმწიფო სანარმოებს გააჩერებენ და მსხვილებსაც დაემუქრებიან, რა თქმა უნდა, არა საქმით, არამედ სქმისნობით. ქალაქში შემოსული გადასამუშავებელი პროდუქციის დიდი ნაწილი საქმისანი (და არა საქმიანი) კომპერატორების ხელში ვარდება. ამიტომაა, რომ მაღაზიაში, რომელიც სახელმწიფო ფასებით ვაჭრობს, ჩვენ ვერაფერს ვნახულობთ, ხოლო კომპერატორთან სამაგ ფასს ვიხდით. კომპერატივმა უნდა იმუშაოს იმ ნედლეულზე, რომელსაც ის თვითონ აწარმოებს ან მოიპოვებს საქმიანი (და არა საქმისნური) გზით. თუ მას სურს ჰქონდეს სასაფლო, უნდა ჰქონდეს მიწა და აწარმოებდეს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს და მეცხოველეობის პროდუქტებს.

საქმისანთა წრეებს ფართოდ გაუხსნა გზა ფასების დაწესების

უფლებამ. უნდა არსებობდეს ზღვარი, რომლის ზემოთ საქონლის გაყიდვა კომპერატორს აეკრძალება. თუ მან მეტი ხარისხი მისცა თავის ნაწარმს, ვიდრე მთავრობა აძლევს იმავე დასახელების საქონელს, მაშინ სპეციალისტებმა უნდა გაიაგნგარიშონ ხარისხის ასაწევად დახარჯული დრო და ენერგია და ამის მიხედვით დაადგინონ ფასების ჯერი. ასეთ შემთხვევაში, საქმე გვექნება არა საქმოს-ნობასთან, არამედ საქმესთან.

უკანასკნელ პერიოდში მომრვალდა ე.ნ. კომერციული მაღაზიები. რას აკეთებენ და რითი არსებობენ ისინი, აუცილებლად უნდა შეისწავლონ სათანადო უწყებებმა.

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში აღნიშნულია, რომ კომერსანტი არის ის, ვინც ეწევა კერძო ვაჭრობას. ეწევიან კი ჩვენი კომერსანტები კერძო ვაჭრობას?! მოვლენათა შესწავლა დაგვიმტკიცებს, რომ – არა. კერძო ვაჭრობა იქნებოდა ისეთი ვაჭრობა, როცა კომერსანტი ივაჭრებდა იმ საქონლით, რომელიც არ იქნებოდა დაქვემდებარებული სახელმწიფო სტანდარტს. კერძოა საქონელი, რომელიც არ ეკუთვნის სახელმწიფოს, ან საზოგადოებას, რასაც არა აქვს სახელმწიფოებრივი ან საზოგადოებრივი ხასიათი, რაც დაკავშირებულია ცალკეული პიროვნების მოქმედებასთან. მაგალითისათვის ავილოთ ასეთი რამ: ქართველი ქალები განთქმული იყვნენ ხელით ქსოვისა და ქარგვის დიდი უნარით. თუ ვაჭარი შეძლებს, რომ მაღაზია მოამარავოს ასეთი საქონლით, მაშინ საქმე გვექნება ჭეშმარიტ კომერციასთან. მაგრამ ეს ასე არ ხდება. ჩვენს კომერსანტებს მაღაზიებში გამოაქვთ არა კერძო ვაჭრობის, არამედ სპეცულაციის საგნები. ამიტომაა, რომ ჩვენი კომერციული მაღაზიები სავსეა არა კერძო ვაჭრობის, არამედ საზღვარგარეთიდან მთავრობის ან თურქიზილების მიერ შემოტანილი ათასნაირი იარღიყის მქონე საქონლით და ხდება სპეცულაცია კერძო ვაჭრობის ნიღბით.

თუ კომერსანტს სურს, რომ ქალაქში ივაჭროს, ვთქვათ, ქართული ღვინით, კახურით, მან უნდა შემოგვთავაზოს არა მთავრონს მიერ დაბეჭდილი „ნინანდალი“, არამედ კახელი გლეხის მიერ დამზადებული ღვინო, ისეთი, როგორიც იგი კერძო მწარმოებლისგან გამოვიდა.

იმ კავლონში, რომელიც უკანასკნელ წლებში შეიქმნა, ათასი კავლოკოპო ურევს ხელს და გამორჩენის მიზნით ტყავს აძრობს მომხმარებელს, სახელს უტეხს, ავტორიტეტს უცემს სახელმწიფო ვაჭრობას და ხელს უშლის ისედაც გაპარტახებულ სახელმწიფო ეკონომიკას.

ამ კავლოკოპეობის ნინააღმდეგ უნდა მიიმართოს მთელი სახალხო ფრონტი, მთელი საზოგადოება. ნინააღმდეგ შემთხვევაში

მარტოოდენ სპეციალური უწყებები მათ წინააღმდეგ ბრძოლაში უძლურნი აღმოჩნდებიან – დადგებიან (უფრო სწორად, უკვე დგანან) გარდაუვალი დამარცხების წინაშე.

ჩვენ ყველაფერს გვპირდებოდნენ და გვპირდებიან, მაგრამ მოგეხსენებათ, დაპირებებით კუჭი არ იკვებება, ხოლო სტომაქი – როგორც ჰომეროსი გვასწავლის, – „ყველა სატკივარზე უსასტიკესია“.

დღეს საჭიროა, რომ ადამიანთა ყოველგვარ საქმიანობას კონტროლი გაეწიოს და ფართო გასაქანი მიეცეს აზრთა პლურალოზმს, საქმეს და არა ძარცვა-გლეჯას, პირფერობას და მაამებლობას, რომ საზოგადოება განიკურნოს იმ მანკიერი მხარეებისაგან, რომელიც დიდი ხანია ერთგული ძალლივით უკან მოგვდევს და ვერაფრით ვერ მოგვიცილებია. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელში ჩავუვარდებით ულმობელ მეფეს, რომელსაც ნეკრასოვი შიმშილს უწოდებდა. და როგორც გურამიშვილი ამბობდა: „ვაზის მრგველთან“ არ შევაქოთ, „ვინც მის ნაცვლად ძეძვი დარგო“ და „ვაზის მრგველის“ შრომის ხარჯზე, „ძეძვის მრგველი“ არ გასუქდეს.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
9.05.1991

## ისევ მინის საკითხის ირგვლივ

გაუთავებელი დავა, რომელიც მიმდინარეობს მიწის საკითხზე, გაგრძელდება მანამდე, სანამ არ შეიქმნება კანონი, რომელიც საბოლოოდ დაამტკიცებს თუ ვის და რა რაოდენობით უნდა მიეცეს მიწა, რა ვადით და რა მოვალეობით? ერთი ამბობენ, მიწა არ გვინდაო, მეორენი – მიწა კოლმეურნეობას უნდა ეკუთხოდესო, მესამენი – მიწის საკითხი რთულია და მის გადაწყვეტას მოსამზადებელი პერიოდი და დიდი სიბრძნე სჭირდებოა, მეოთხენი – მიწა უნდა გადაეცეს გლეხს კერძო საკუთრებაშიო, მეხუთენი – იარსებონ კოლექტიურმაც და ინდივიდუალურმა მეურნეობებმაც.

ამ ხუთი კატეგორიის ადამიანებიდან ყველაზე საშიშს მიეკუთვნებიან პირველნი, რადგან ისინი წარმოადგენენ შრომაზე და საკუთრებაზე გულაყრილ ადამიანთა ჯგუფს. თუ შრომაზე გულაყრილი კაცი გონიერია (მწამეს, რომ ასეთები მრავლად არიან საზოგადოებაში, რადგან შრომაზე გულაყრილობას ჰქონდა ერთგვარი საფუძველი ჩვენს ცხოვრებაში) მას იოლად დაუმტკიცებ, რომ ამ ქვეყნად სიმ-

დიდრის ორი წყარო არსებობს: მიწა და წარმოების საშუალება, რომ წარმოების საშუალებანი საბოლოო ანგარიშში მიმართულია იქეთ, რომ მიწა უკეთ დამუშავდეს და მისი ნაყოფი ადამიანთა კეთილ-დღეობას მოხმარდეს.

რაც შეეხება განაწილების პრინციპს, ეს უკვე სხვა საკითხია და ცალკე მსჯელობას მოითხოვს. ერთი კი ცხადია: თუ მიწა არ მუშავდება, ან მუშავდება ისე, რომ მასზე დახარჯულ შრომასაც ვერ ანაზღაურებს, მაშინ გასანაწილებელიც აღარაფერი იქნება და ზერელებ თუ ვიმსჯელებთ, სადაცოც არაფერი რჩება. მაგრამ თუ საკითხს ღრმად ჩავუკირდებით, ის რომ გასანაწილებელი არაფერია, მეტ დავას იწვევს, ვიდრე პროდუქციის მაღალმწარმოებლურობის დროს განაწილების პრინციპის დარღვევა.

თუ გლეხის მიერ დახარჯული ენერგია კერძო მიწაზე, ერთი ჰექტარი ფართობიდან იძლევა ხუთ ტონა მარცვალს, ხოლო რომელიმე ფერმერთან ან თავმჯდომარესთან მან წარმოების გაუმჯობესებული საშუალებით ამავე რაოდენობის ენერგიის დახარჯვით მიიღო 6 ტონა მარცვალი, მაშინ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ გლეხის კერძომესაკუთრულ ბუნებას, მას სადაცოც არაფერი ექნება. მაგრამ თუ მისი თავმჯდომარე 5 ტონასაც ვერ ანარმოებინებს, მაშინ იგი, ბუნებრივია, უკმაყოფილო დარჩება და ეს უკმაყოფილება მას საბოლოო ანგარიში მიიყვანს მეამბოხეობამდე ან გულაყრილობამდე.

რაც შეეხება იმათ, რომლებიც აცხადებენ: თოხს ხელს ვერ მოვკიდებთ და თავისი საზოგადოებრივი ინტერესებიდან მოწყვეტილი პირადული კაპრიზებით მსჯელობენ ქვეყნის განვითარებაზე (ასეთი ქალბატონი გლეხი გოგოების რიცხვი ჩევნში საბეჭინეროდ დიდი არაა), მინდა მივმართო: კი ბატონო, თოხის მაგივრად კალამი აიღე ხელში, იძლერე, იცეკვე, ოლონდ არ ჩხაპნო, არ იბლავლო, არ იძუნდულო. წერე, იძლერე და იცეკვე ისე, რომ შენი წერა, სიმღერა თუ ცეკვა, ლირდეს იმ პურად, რომელიც შენს გამოკვებას სჭირდება.

კოლმეურნეობების დამცველებს რომ წარმოება ისე განევითარებინათ, როგორც ზემოთ მსჯელობაშია ნაჩვენები, მაშინ მათ წინააღმდეგ იმოდენა ამბოხი არ იქნებოდა, როგორც ახლაა, ხოლო პატარა წინააღმდეგობებს ისინი წელ-წელა დასძლევდნენ. ამ პატარა წინააღმდეგობებიდან უველაზე დიდი ადამიანის კერძომესაკუთრული ბუნება იქნებოდა, რომელიც სხვა ერგბში უფრო იოლი დასაძლევია, ვიდრე ქართველებში. მხოლოდ საქართველოში შეიძლებოდა თქმულიყო ასეთი ლექსი: „რაც შენია, ის შენია, წაიღე და წადი, მე კი ჩემი

მირჩევნია, ცხელი ლადოის მჭადი“. არის ქართველი კაცის ბუნება ასეთი და რას იზამ?! მისი აღმოფხვრა არც „ფოლადის მუშტს“ შეუძლია და არც „სტოლიპინის ჰალსტუხს“.

მიწა დიდი ხნის განმავლობაში ეკუთვნოდა კოლმეურნეობას, რომელიც გარეგნულად მაღალორგანიზებული და წარმოების საუკეთესო საშუალებებზე დაყრდნობილი წარმოებაა, რომელსაც შესწევს უნარი ხალხის გამოკვებისა. მაგრამ თუ მის შემოქმედებას ღრმად ჩავხედავთ, მივხვდებით, რომ კოლექტიურმა მეურნეობამ ცხოვრების გამოცდა ვერ ჩააბარა, ხოლო მისი ხელახალი მზადება გამოცდის ჩასაბარებლად, საჭიროდ არ მიგვაჩნია.

მიწის საკითხი რომ რთულია და მისი გადაწყვეტა დიდ დაკვირვებას მოითხოვს, ეს უდავო ჭეშმარიტებაა. მაგრამ არც ის ივარებს, რომ სირთულის გამო გვერდი ავუაროთ და გადავდოთ მომავლისათვის.

გამზადებული რეცეპტი პოლიტიკაში არ არსებობს. საკითხი უნდა გადაიჭრას. ხოლო დროთა განმავლობაში – მოხდეს მისი დახვენა და გალამაზება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოვხდებით ჩეხოვის ბელიკოვის როლში, რომელიც ყველაფერს შიშით უყურებდა და ვერასოდეს სარისკო ნაბიჯს ვერ დგამდა. როცა მას 40-ს გადაცილებულ კაცს ქორნინებას სთავაზობენ, ასეთ პასუხს იძლევა: „ქორნინება სერიოზული ნაბიჯია, ყველაფერი უნდა გაიანგარიშო, ყველაფერს უნდა დაუკვირდე, რომ საქმე ცუდად არ წავიდეს“ და მანამდე იფიქრა და იანგარიშა ყველაფერი, სანამ თავის სამუდამო ფუტლიარში არ ჩაესვენა.

ოსტატი აუცილებლად უნდა ჩაეტიოს დროში და ხარისხში. საქმე როგორი ხარისხითაც უნდა შეასრულდეს, თუ იგი დროში არ იქნება ჩატეული, მისი შემსრულებელი ოსტატად არ ჩაითვლება. სატუსაღოებში დამზადებული სუვენირები თავისი ესთეტიკური და გამოყენებითი ღირებულებით არათუ ჩამორჩებიან მსოფლიო სტანდარტებს, არამედ ზოგჯერ აწარბებენ კიდეც. მაგრამ მათი ავტორები დიდოსტატებად ვერ ჩაითვლებიან, იმ მიზეზის გამო, რომ ისინი თავიანთ შემოქმედებას ახმარენ უზღვავ დროს. მუნდშტუკის დამზადებაზე შეიძლება ტუსაღმა რამდენიმე თვე დახარჯოს, რასაც თავისუფალი მოქალაქე ვერ იზამს. ასე, რომ დროის პრობლემა ყოველთვის იყო და იქნება ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი კაცთა ცხოვრებისა და შემოქმედებისა.

როგორც რიგით კოლმეუნეებთან ინდივიდუალური საუბრებით მტკიცდება, გარკევულ პერიოდში, სანამ გლეხი მოკლებულია წარმოების საშუალებებს, დასაშვებია იარსებონ ერთმანეთის პარალელურად კოლმეურნეობებმაც და გლეხურმა მეურნეობებმაც. მაგრამ

ისე კი არა, რომ მთავრობაერთს წყალობის კალთას აფარებდეს და მეორე გარიყული ჰყავდეს, არამედ ისე, რომ მან თანაბრად იზრუნოს ორივეზე, რაც შექმნის თავისუფალი კონკურენციის პირობას. როცა გლეხი შეიარაღდება წარმოების საშუალებებით, მაშინ თვითონ ცხოვრება დაგვანახებს, თუ მეურნეობრიობის რომელი სახე იქნება ფართო საზოგადოებისათვის მომგებიანი.

ექსტრემალური დარტყმები ბარში სარისკო სქემეა, მთაში კი აუცილებელი, რადგან მთელი გლეხობა ძირითადად ხელით შრომას ეწევა და კოლმეურნეობის ბიუროკრატიული აპარატი მისთვის არავითარი სარგებლობის მომტანი არაა. ბარში კი, ავად თუ კარგად კოლმეურნეობა არეგულირებს მექნიზატორთა მუშაობას. კოლმეურნეობის გაუქმების შემთხვევაში შექმნილ მექანიზატორთა ასოციაციებს დიდხანს გაუჭირდებათ კერძო მეურნეოთა მოთხოვნების დაკმაყოფილება. გაუჭირდებათ მანამ, სანამ ცხოვრების საბჭოური წესი არ შეიცვლება. ცხოვრების საბჭოურ წესთან დაკავშირებით უნდა შეიცვალოს ადამიანიც და წარსულს უნდა ჩაბარდეს მატყუარობა, მერქთამეობა, გამოძალვა და სხვა მანკიერი თვისებები, რაც თანამედროვე ადამიანების დიდ ნაწილს გააჩინია.

შექანიზატორთა ასოციაციები განვითარდება, მაგრამ გლეხს მაინც დასჭირდება თავისი მინიატურული სამეურნეო ტექნიკა. ამჟამად საქართველოში მუშაობს მინიატურული ტრაქტორების ქარხანა, რომელიც ვერ დააკამაყოფილებს თანამედროვეობის გაზრდილ მოთხოვნებს, თუ მან გაფართოებაზე და პროდუქციის თვითლირებულების შემცირებაზე არ იფიქრა.

და ბოლოს, კოლმეურნეობების ხელალებით დაშლა პლურალიზმისა და დემოკრატიულობის პირობებში სწორი არ იქნება, რადგან საზოგადოების დიდ ნაწილს მისი კიდევ სჯერა. მან ზავი უნდა დადოს კონკურენტთან ბრძოლაში, ალიაროს თავისი სისუსტე და გამოაცხადოს თვითლირებულების შემცირებაზე არ იფიქრა.

ამ გზით შეიძლება გამოინახოს სხვადასხვა კონცეფციების მქონე ადამიანთა შორის საერთო ენა, რომ დაცემული და გაპარტახებული სოფლის მეურნეობა როგორმე აღდგეს. თუ საქმეს გონივრულად მივუდგებით, ჩვენი მიწა ჩვენს ერს აუცილებლად დაარჩენს და არ გვექნება ხელი გაწვდილი არც ჩრდილოეთისაკენ და არ დასავლეთისაკენ.

სტატიის დასასრულში მინდა შეგახსენოთ დავით გურამიშვილის სიტყვები: „აგებულებით მყოფელი აროდეს გაღარიბდება“.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
18.05.1991

## სამამულო ომის მონაცილეთა პასკვილანტები

ხშირად შეხვდები კერძო საუბრებში და პრესაშიც სამამულო ომის მონაწილეთა მისამართით წამოსროლილ სიტყვებს: რა გააკეთეს, რისთვის იბრძოდნენ, ვინ უმადლითო?

პოლიტიკაში ჩაუხედავი ადამიანები ადანაშაულებენ კიდეც ფრონტელებს: თქვენ რომ ომი არ მოგეგოთ, ახლა ბედნიერი ცხოვრება გვექნებოდა.

ასეთი პასკვილანტების მსჯელობის მიხედვით, რაკი ფაშისტები რუსებს და კომუნისტებს ებრძოდნენ და ამ უკანასკნელთაბრალად ედებათ ჩვენი ეკონომიკური, იდეურ-პოლიტიკური და კულტურის ჩამორჩენილობა, ჰიტლერელები დიდი კეთილმსურველი ყოფილან ქართველი ხალხისა.

თუ როგორ ცხოვრებას უმზადებდნენ ფაშისტები ქართველებს ნათლადაა ნაჩვენები ბატონ ოთარ ნაფეტვარიძის სტატიაში „ავად მოსაგონარი“.

ამ სტატიის წაკითხვა მკითხველს სრულ განმარტებას აძლევს ფაშიზმის კაცითმოძულე ბუნებაზე, მათს არაადამიანურ დამოკიდებულებაზე სსვა ერებისადმი და შეხედულება, რომ რაკი ფაშისტები ქართველების დამპყრობ რუსებს ებრძოდნენ, ისინი ქართველების მოკეთები ყოფილან, მცდარია და მიუღებელი.

ძველი არაბი მათემატიკოსები სარგებლობდნენ ასეთი მოსაზრებით: „მინუსი მინუსზე იძლევა პლიუსს – ჩემი მტრის მტერი ჩემი მეგობარია“.

ეს მოსაზრება, რომელიც გამოყენებულია მათემატიკაში, მისი დაყვანა პოლიტიკამდე შეუძლებელი კი არა, წარმოუდგენელიცაა. ყოველ მეცნიერებას გააჩნია თავისი სპეციფიკური შეხედულებანი და მით უმეტეს პოლიტიკას.

მეცნიერებაში, რაც ცოდნის ერთი დარგისათვის გამართლებულია, მეორისათვის შეიძლება მიუღებელი იყოს. მაგალითად, ბიოლოგი ხეს სულიერ არსებად მიიჩნევს, რადგან იგი ჩნდება, იზრდება, კვდება. ხოლო გრამატიკოსი, ენაში არსებული ნორმების მიხედვით, მას არა-სულიერ საგნად თვლის იმ მიზეზის გამო, რომ მას ხელთ აქვს კანონი, რომლის მიხედვით საგანს, რომელსაც საკუთარი ძალით გადაადგილება არ შეუძლია, არა სულიერ უწოდებს.

გასაკვირია, რომ ასეთი დაპირისპირების დროს ორივე მათგანი მართალია თავ-თავისი პოზიციებიდან გამომდინარე.

სამამულო ომის მონაწილეთა პასკვილანტების შეხედულება, თუ საკითხს ცალმხრივად და მარტივად მივუდგებით, მართებული აღმოჩნდება. – შენს მტერს ვინც ებრძვის გამოდის რომ შენი მეგობარია. მაგრამ როცა შენს მტერს ებრძვის ისეთი ძალა, რომელიც შენც განადგურებს შენს მტერთან ერთად, მაშინ პოლიტიკაში მინუსზე მინუსი ვეღარ მოგვცემს პლიუსს და იძულებული ხდები როგორმე, მოურიგდე პირველ (უფრო სუსტს და შედარებით შინაურ) მტერს და გაერთიანებული ძალით შეუტიო შენი და შენი შინაური მტრის ჩამყლაპავ ძალას. პირველი მტერი მომავალში გაპირებს განადგურებას, ხოლო მეორე ახლავე გემუქრება განადგურებით. და რომელიც უფრო ადრე განადგურებს, ბუნებრივია პირველ რიგში მას შეუტიე.

ასე, რომ პოლიტიკურმა სიბეჭე კი არა პოლიტიკურმა გამჭრიახობამ გახადა ქართველი კაცი იძულებული, რომ ხელში შაშხანა აერო და ევროპისა და რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს გვერდით ამოსდგომოდა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. იმ ფაშისტების წინააღმდეგ, რომლებმაც თავიანთი თავი ლურჯთვალებიან და ქერათმიან ზეკაცებად გამოაცხადეს და სხვა ხალხებს მათდამი სამსახური და მორჩილება შესთავაზეს.

ადოლფ ჰიტლერის სიტყვები, „მე ადამიანს გავათავისუფლებ იმ დამამცირებელი ქიმერისაგან, რომელსაც სინდისი ენოდება. მე ვატარებ ძალმომრეობის პოლიტიკას და არ ვზრუნავ სინდისის მოჩვენებით კოდექსზე... ჩვენ აღვზრდით ახალგაზრდობას მხეცურს, მოძალადეს და მკაცრს“, ისტორიას შერჩება როგორც კაცთმოძულეობისა და ძალმომრეობის სიმბოლო.

ასე რომ ჰიტლერს თუ ვინმე აფასებს იმისათვის, რომ იგი კომუნიზმის წინააღმდეგ მხედრებული მებრძოლი იყო, იქვე უნდა გაიანგარიშოს, რომ იგი კომუნიზმთან ერთად განადგურებით ემუქრებოდა ზოგადსაკაცობრიო სულიერ ლირებულებებს, რომელთა შექმნას ათასობით წელიწადი დასჭირდა.

როცა ომთან დაკავშირებული საზეიმო ცერემონიალები იმართება, მაშინ კომუნისტები და რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხები ერთად უნდა იდგნენ, რადგან მათ გადაიტანეს თავიანთი მხრებით მსოფლიო ომის სიმძიმის სამი მეოთხედი და იხსნეს კაცობრიობა „მიხაკისფერი ჭირისაგან“.

მომავალმა თაობებმა პატივითა და დიდებით უნდა მოიხსენიონ იმ ადამიანთა სახელები, რომლებმაც მონაწილეობა მირეს ჰიტლერული გერმანიის განადგურების საქმეში.

ვისაც ეს ასე არა სწამს, მას შეუძლია ჰიტლერის წიგნი „მაინ კამპფი“ დარბაზში ყველაზე საპატიო ადგილზე დადოს და ილოცოს მასზე. შეიძლება იყვნენ საზოგადოებაში ასეთი ადამიანებიც. ჩვენ მა თარ შევეკამათებით მათუ უიდეო იდეოლოგისათვის, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ასეთი იდეოლოგები მიმბაძველებს ვერ იპოვიან და თუ იპოვიან, ისე ცოტა რაოდენობით, რომ ისინი ჯანსალი საზოგადოებრივი იდეოლოგისათვის საშიშ ძალას ვერასდროს შექმნიან.

ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ გგალაკტიონი წერდა:

„ბევრს სისხლს სმისთვის ხახაც აქვს, მადაც,

წიგნიც უნიჭოდ ნაკერ ნალამბი.

რად არ დაიწვის დარაბა, სადაც

ჰიტლერის წიგნი ძევს „მაინ კამპფი“.

ამ ლექსში გამოთქმული აზრი გვარწმუნებს იმაში, თუ რამდენად მიუღებელი იყო, არის და იქნება ჰიტლერის იდეოლოგია სალად მოაზროვნე ადამიანებისათვის, არა მარტო სხვა ქვეყნებში, არამედ საკუთრივ გერმანიაშიც.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
8.06.1991

### როცა ღუმან, ყვირიან

ჰასუსი გატონ მიტროზანე სტურუას ცერილზე

„როგორი ცარმომიდგენია „სამტრედის გაცე“

„თავისუფალი ბეჭდვითი სიტყვა ხალხის გულის გამჭრიახი თვალია, – სულიერი სარკეა, რომელშიც ხალხი თავის თავს დაინახავს, თვითშემეცნება კი სიბრძნის პირვლი პირობაა.“

კარლ მარქსი

ჩვენ რაიონულ გაზეთს „სამტრედიის მაცნე“ დაერქვა და მისიად დაედო გახდეს ახალი ცხოვრების მაცნე. თუ იგი ახალი ცხოვრების მაცნე ვერ გახდება, თუ იგი ვერ დააკმაყოფილებს მკითხველის მზარდ მოთხოვნილებას ცხოვრების საჭირობოროტო საკითხებზე, მაშინ მარტოოდნ სახელის გამოცვლას აზრი არ ექნება.

გაზეთის განთავისუფლება ძეველი დოგმებიდან ნამდვილი პრობლემაა და ეს პრობლემა გადაუჭრელი დარჩება მანამდე, სანამ

მწერლობა არ განთავისუფლდება პოლიტიკური დიქტატისაგან, სანამ პოლიტიკა იმეფებს ხელოვნებაში. დათმობს კიპოლიტიკა თავის ბატონობას მწერლობის წინაშე? – ძალიან ძნელად. არ-სებობს არც ერთი მწერალი, რომელსაც პოლიტიკური აზრისათვის ხარჯი არ გადაეხადოს.

მაგრამ ხარჯს გააჩნია. ზოგჯერ, გაბატონებული იმოდენა ხარჯს დაადებს დამორჩილებულს, რომ უკანასკნელს თავისთვის აღარა-ფერი რჩება. მურვან ყრუმ იმოდენა ხარჯი დაადო ქართველ ხალხს, იქამდე გულცივი გახდა მათი ცხოვრების მიმართ, რომ ხალხმა მას, სრულიად მახვილი სმენის მქონე კაცს, ყრუ შეარქვა და ამის შემდეგ მას არც არაფერს თხოვდა.

თუ გაზეთმა ხალხის ცხოვრება ვერ გაიგო, ვერ ჩასწვდა მის ავ-კარგს, ხალხი მას ყრუდ ჩათვლის. ჩათვლის ვილაცისთვის საჭიროდ და არა თავისი სურვილებისა და აზრების გამომხატველ ორგანოდ. ამ შემთხვევაში იგი დადგება გარდაუვალი სიკვდილის წინაშე, იქცე-ვა უბრალო ქაღალდად, რომელსაც ნივთების გასახვევად შეიძენენ. ჩვენს გაზეთს, მადლობა ღმერთს, ჯერ ასე არ გასჭირვებია, მაგრამ თანამედროვე ცხოვრებაში ჭირი და გასაჭირი ბევრია მოსალოდნელი.

რით შეიძლება იხსნას თავი გაზეთმა და, საერთოდ, მწერლობამ მოსალოდნელი გაჭირვებისაგან? ერთადერთი გამოსავალი ამ ჩიხი-დან ის არის, რომ პოლიტიკა დასჯერდეს მოქალაქეობის უფლებას მწერლობაში, ხოლო გაბატონებული პოზიცია დაიჭიროს ლოგიკამ, ესთეტიკამ, ზნეობამ.

მე გაზეთში ვწერდი რამეს კი არა, საერთოდ არ ვკითხულობდი მას 9 აპრილის მოვლენებამდე, რადგან წინდაწინ ვიცოდი, რაც იქნებოდა გაზეთში ჩაწერილი: რომ ეს მთავრობა წმინდა აბრამის წმინდა ბატკანია, რომ მთავრობის კაცებს ხალხის ჯავრით დღით მოსვენება არა აქვთ და ღამით – ძილი, რომ ყრილობის მიერ და-სახული გეგმები განხორციელდება, რომ პარტია ჩვენი კაცობის, სინდის-ნამუსის და მართლმსაჯულების გვირგვინია, რომ პარტიის გეგმები ხალხის გეგმებია და სხვ.

მხოლოდ 9 აპრილის შემდეგ შეიძინა გაზეთმა ახალი შინაარსი და უამრავი დაინტერესებული მკითხველი, რომელთა არმიას მეც შევუერთდი. და ვცადე შეძლებისდაგვარად მონაწილებობა მიმელო მის ცხოვრებაში, რადგან ვიგრძენი, რომ პლურალიზმის პირობებში უნარის შესაბამისად პიროვნებამ თავისი სიტყვა უნდა თქვას სა-ზოგადოების წინაშე.

თქვენი აზრი, რომ გაზეთმა უნდა გააშუქოს კერძო საკუთრების დადებითი მხარეები, რაც შეძულებული აქვს ჩვენს მსოახლეობას სოციალისტური ცრუ პროპაგანდის გამო, სამართლიანად მიმსწრია.

გლეხური მეურნეობა ახალშობილი პირმშოა ჩვენი დროისა, რომელსაც სჭირდება მოვლა-პატრონობა, გაზრდა და დავაუკაცება და ეს სამსახური მას ყველამ, პირველ რიგში, გაზეთმა, უნდა აგაუნიოს. ხოლო თუ დავაუკაცების შემდეგ მას უარყოფითი მხარეები აღმოაჩნდება, მაშინ მსჯავრდებულის სკამზე დავსვამთ. ახლავე რომ ჩაქოლო: შენგან სიკეთე არ აღმოცენდება, არ ივარგებ, ბოროტმოქმედი გამოხვალო, ეს საშინელი უსამართლობა იქნება.

გაუმართლებლობის შემთხვევაში, მას იმ გაზეთის ტრიბუნიდან ვამხელთ და დავსჯით, რომლითაც ახლა ვეხმარებით.

ის, რომ ზოგჯერ ძველებური მეთოდებით ვფიქრობთ ახალი ცხოვრების გაძლოლას, ჩაგვაგდებს სერვანტესის გმირის როლში, რომელსაც არ ესმოდა, რომ ახალი ცხოვრების პირობებში კაცმა თუ ახალი სერხები არ გამოიყენა, იგი აუცილებლად გამასხარავდება და დამარცხდება. მარტო კეთილი გული და მიზნები ვერ გადაარჩენს.

თოარ ნაფეტგარიძის სტატიაში „ფართო გზა – იჯარას“ გამოთქმული აზრი იმის თაობაზე, რომ გიგანტომანიის დაკანონებამ გამოიწვია კოლმეურნეობების გაღარიბება, ნაკარნახევია ზევიდან. ზევიდან ითქვა, რომ „გარდამავალ პერიოდში სოფლად მეურნეობის მართვის ყველაზე გამართლებული ფორმა ეს არის იჯარა“.

დიდ ჯიხაიშში ორი კოლმეურნეობის ბაზაზე შეიქმნა ოთხი, რასაც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მხარი დაუჭირა. ასე მოხდებოდა სხვაგანაც და სტატიის ავტორი დაეყრდნო ერთსაც და მეორესაც. თავისი პოზიცია „რაღაცის“ გამო ან სხვის აზრებს შეუერთა, ან არ გამოთქვა გულახდილად. უნდა ვიცოდეთ, რომ ძალა იმ სიტყვას აქვს, რომელიც შენმა ტვინმა დაამუშავა და გულიც შეიერთა.

სტატიას დიდი საპირისპირო გამოხმაურებანი არ მოჰყოლია, იმიტომ, რომ მას „საბჭოთა ადამიანები“ კითხულობენ, რომლებიც დიდი ხანია შეჩერებული არიან იმ აზრს, რომ რაკი ზევიდან ასე თქვეს და გაზეთმაც ასე დაბეჭდა, ე.ი. ყველაფერი სწორია. თუ ოპოზიციონერები გაჩუმდნენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი უსიტყვოდ აყვირდნენ, როგორც ციცერონი ამბობს, როცა დუმან, ყვირიან...

საზოგადოების დუმილით ყვირილი ყველაზე საშინელი დაავადე-

ბაა ყველა გაზეთისათვის, მათ შორის, ჩვენი, რომელმაც სახელად მაცნე დაირქვა, რაც ამბის მომტანს, რისამე მაუწყებელს ნიშნავს.

რაც შეეხება სტილისტურ და გრამატიკულ შეცდომებს, რაც უხვადაა როგორ რაიონულ, ისე რესპუბლიკურ გაზეთებში, ეს არავის ეპატიება. სტილის გაუმართაობა შეიძლება კიდევ აპატიოს საზოგადოებამ გაზის, მაგრამ გრამატიკულ შეცდომას – ვერა. რომაელების თქმით „გრამატიკა არის მძვინვარე არსება, რომელიც სასტიკად იძიებს შურს თავისი შეურაცხყოფისათვის“.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
8.06.1991

## გზა პოლოვდე გალეული

„ყოველ კაცს აქვს უფლება ილაპარაკოს სისულელე, თუ კი ის სისულელე საზოგადოებას არ ავნებს და მაშინ კი თუ მავნებელია, უნდა დაეშალოს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ძნელი გასარჩევია სისულელე: ჭკვიანს რომ სისულელედ მიაჩნია, ის სულელს სიბრძნე ჰქონია“.

**აკაკი წერეთელი**

თანამედროვე ცხოვრებაში, როცა უამრავი პარტია და ასოციაცია მოქმედებს, არც ერთის მიმართ ისე პრეტენზიულად არ არიან ფართო მასები განწყობილი, როგორც მონარქიულის. მონარქია ეს არის ერთხლემწიფობა, ერთმპყრობელობა, სახელმწიფოს მმართველობის დესპოტური ფორმა.

ქართველი მონარქისტები ცდილობენ რომანტიკულ ბურუსში გახვიონ საზოგადოება. არწმუნებენ მასებს, რომ ერთმპყრობელობის დროს საქართველომ მიაღწია ოქროს ხანას, შექმნაო უზარმაზარი იმპერია, მაღალი კულტურა, სამხედრო ძლიერება და სხვ. და გვთავაზობენ სამეფო კარის შექმნას, რისი ასრულება თანამედროვე დემოკრატიულ პირობებში შეუძლებელი კი არა, წარმოუდგენელიცაა.

ფანტაზიად მიმაჩნია მათი წარმოდგენა იმაზე, რომ სამეფო კართან გაჩინდებიან ახალი დავითები, თამარები, რუსთველები, ცოტნე დადიანები და მხარგრძელები.

იყო დრო, როცა დიდგვაროვნები პროგრესულად უძლევებოდნენ ერს ეპოქის შესაფერისად და ძლიერებასაც აღწევდნენ. მაგრამ XIX საუკუნის დასაწყისიდან ისინი ისტორიის მსვლელობამ განირა,

მოადუნა, დაასაწყლა და დააჩიავა. მათი ქონება და ავტორიტეტი ახლადფეხადგმულმა ბურჯუაზიამ ჩაიპარა. ჩაიპარა ისე, რომ სერიოზულ წინააღმდეგობასაც არ შეხვედრია. არ შეხვედრია იმიტომ, რომ დიდგვაროვნებს წინააღმდეგობის გაწევის უნარი აღარ შესწევდათ. გაიხსენეთ მხატვრული ლიტერატურიდან მაგალითები: რა იოლად იგდებდნენ ხელში ბურჯუაზი თავადაზნაურთა მიწებს, სახლებს და რიგ შემთხვევაში, ცოლებსაც.

მარტო „ვაჟოს ხიზნებიც“ კი საკმარისი იქნებოდა დიდგვაროვანთა წარმომადგენლების უძლურებისა და უიდეობის გამოსახატავად. თეიმურაზ ხევისთავს ორეული ასე მიმართავს: „მამაშენი და შენი წინაპრები სულითაც და ხორციტაც ფოლადისაგან იყვნენ ჩამოსხმულნი, შენ კი გაქალდი და გაფუვდი, წყალსაც ძლივს ყლაპავ და ბუმბულიც მძიმე ლოდად მიგაჩნია, არც კბილები გაქვს საგლეჯად, არც მკლავი მოსაქნევად, არც ხმა შესატევად. საგულეს გულის ნაცვლად ძველი ძონძი ჩაგიგდია, სასულეს სულის ნაცვლად სიმყრალე დაგიგუბებია, ოლო ძარღვებში ცხელი სისხლის მაგივრად ჭაობის დუბელა ჩაგისხამს, ისე დაკნინდი და დაილიე, რომ ვაჟუაცობის აღარაფერი გაცხია“.

ბაზუცარი ივანე ეუბნება თეიმურაზს: „თქვენი მოდგმა დიდი ხანია მოკვდა, თემურ, გვიან გასაფლავებენ“. თეიმურაზი პასუხობს: „იმიტომ ავყროლდით, ივანე, რომ გვიან გვმარხავენ“.

ბურჯუაზიამ ფეოდალთა კლასი მოკლა როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად, ხოლო მის დასაფლავებაზე არ უზრუნია, რადგან მას ამისთვის „არ ეცალა“. ის საშინელი უგულობა, რაც ბურჯუაზიას გააჩნია, კარგადაა გაშუქებული „სურამის ციხეში“. როცა დურმიშხანის კეთილისმყოფელმა ნათლიამ ოსმან-აღამ თურქეთში თავისი რჯული აღიარა, მას თავი მოჰკვეთეს და მანამ ეგდო თავმოკვეთილი ოსმან-აღას გვამი მინდორში, სანამ თურქებმა „შეწუხებულთა მისი სუნითა ღრმად წყალთა შინა არ გადისროლეს“. ამ დროს დურმიშხანი ზღვის პირზე იდგა და ინდოეთიდან ავლადიდებით დატვირთულ გემს ელოდებოდა. სად ეცალა კეთლისმყოფელი ნათლია მიწისთვის მიებარებია.

კომუნისტურმა საზოგადოებამ ბურჯუაზის მიერ მოკლული ფეოდალთა კლასი გააპატიოსნა წესისამებრ, დაიტირა და მიწას მიაბარა.

ასე, რომ თუ ბიბლიური „გაკითხვის“ დღეს, ღმერთი კომუნისტებს თავისი ცოდვებისთვის სიკვდილით დასჯის, ხოლო ძველი დიდგვაროვნები აღსდგებიან, მათ, პირველ რიგში (სანამ სხვა საქ-

მეებს შეუდგებოდნენ), კომუნისტებს ძეგლი უნდა აუგონ, მხოლოდ იმისათვის, რომ მათი დასაწყლებული და ბურუუზის მიერ ფეხქვეშ გათელილი მიცვალებული (მოდგმა) დაიტირეს და მიწა მიაპარეს.

დღეს, როცა დემოკრატიამ უფლება მისცა ადაიანებს თავისი აზრების გამოთქმისა, ყველა რაღაცაზე ლაპარაკობს. რაღაცაზე კი არ უნდა ვიპალარაკოთ, არამედ საქმეზე, ისეთ საქმეზე, რომელიც სიკეთეს მოუტონს როგორც ცალკეულ ადამიანებს, ასევე ერს და, საბოლოო ანგარიშში, მთელ კაცობრიობას.

რა სიკეთის მოტანა შეუძლია წყობილებას, რომელზეც ჯერ კიდევ ვიქტორ ჰიუგომ იქადაგა: რომ მონარქიული წყობილების პირობებში ზნეობრივად სპეტაკი და კეთილშობილი საზოგადოება ფატალურად არის განწირული ჩაგვრისათვის, ხოლო მმართველი არისტოკრატიული ხროვა ხელს იღებს ზოგადეროვნულ ინტერესებზე და ცდილობს თავისი პირადი ბედნიერება სახელმწიფოს განადგურების ხარჯზე შეინარჩუნოს. მისი გაგებით, მხოლოდ ხალხი იტევს თავის თავში ქვეწის ყოველგვარ სასიცოცხლო ინტერესებსა და ძალას.

სრულიად კანონზომიერია ის ამბავი, რომ ილია ჭავჭავაძემ თავისი ლუარსაბი, დათიკო, ზაქროს ბატონი და სხვები ისე გაისტუმრა ამ ქვეყნიდან, რომ მემკვიდრეც არ დაატოვებინა. ალბათ, იმიტომ, რომ მუქათახორებისთვის ახალი საქართველო ვერ გაიმეტა.

თუ ფეოდალური გვარების მატარებელი პირები კიდევ შემოგვრჩა (ლმერთმა ამრავლოს), ისინი აღარ ნარმოადგენენ მათი შორეული წინაპრების უშუალოდ სულიერ გაგრძელებას, არამედ მშრომელ მასასთან შეერთებული ჩვეულებრივი ადამიანები არიან, ისეთივენი, როგორებიც ჩვენ – მშრომელი, მებრძოლი და პატიოსანი. დავით კლდიაშვილის შოლომონ მორბელაძე ასე ეუბნება კარზე მომდგარ მესვალეს: „ჩემს შვილს, ჩემო პლატონ, უშველებელი კალამი უჭირავს ხელში და ისე მშვენივრად ურტყამს მინას, რომ მოგეწონება, რომ უყურო“.

გადაურჩნენ ფიზიკურ განადგურებას მორბელაძეები, ქამუშაძეები და სამანიშვილები, მხოლოდ იმის წყალობით, რომ უბრალო ადამიანების ბედის თანაზიარნი გახდენ და არა იმ იდეებით, რომლებითაც ისინი ოდესლაც ცხოვრობდნენ.

მონარქისტული მოძრაობა საქართველოზე მეტად რუსეთში შეიმჩნევა. რუსმა მონარქისტებმა მოიძიეს საფრანგეთში მცხოვრები, რომანოვების უკანასკნელი მემკვიდრე ვლადიმერი, რომელმაც მის თაყვანისმცემლებზე ასეთი განაცხადი გააკეთა: „შთაბეჭდილება ისეთი მრჩება, რომ იქაური მოქალაქენი მთლად გონებარეული არიან. ისინი

ნამდვილად ოცნებობენ მონარქიის დაბრუნებაზე, ისე, რომ იმასაც არ ფიქრობენ, რა ფორმით უნდა მოხდეს ეს. თუთ მონარქიის იდეაში ისინი ხედავენ იმ პრობლემების გადაჭრის გზას, რომელშიც ერთ ჩაეფლო“.

დემოკრატიული აზროვნებისთვის ყოელთვის მიუღებელი იქნება ყოველგვარი გვაროვნული უპირატესობანი. დემოკრატები არც გვარისშვილობისათვის და არც კაიმამისშვილობისათვის მეფობაზე ხელს არ მოგიწერენ. მათ შეიძლება აგირჩიონ პრეზიდენტად, მხოლოდ შენი პირადი ღირსებისა და ნიჭის მიხედვით. და თუ მათ ინტერესებს ღირსეულად ვერ დაიცავ, ისევ გადაგირჩევენ.

ჯერ კიდევ გრიგოლ ორბელიანი გვარიგებდა:

– „მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა – ღირსებას, ნიჭს მხოლოდ ზენა აძლევს კაცს და არა გვარიშვილობა“.

ხედავთ, როგორ უპირისპირდებიან ობიექტურად მოაზროვნე დიდგვაროვნები მონარქიულ წყობილებას?

გლეხის ყვირილი ვის რატომ უნდა გაუკვირდეს?

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოში როგორც სოციალურ, ისე ეროვნულ მოძრაობაში წამყვან ძალას წარმოადგენს გლეხობა. მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „არსენა მარაბდელის“ მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, აღმოჩნდება, რომ ამ პერიოდში გლეხობას უკვე უჩნდება პრეტენზია თავადებთან თანასწორობისა. „თავმოშვებული ცხენი მხედარს ისე მოურიდებლად მოჰყავდა კარვისაკენ, თითქოს მის გარღვევას და ბატონების გატანას აპირებდაო“. ხალხმა გზა დაუთმო „მხოლოდ ზაალი იდგა გაუნძრევლად და ნიავივით მომავალ ოძელაშვილს შეშფოთებული ღიმილით შესცეკროდა და უცბად იმანაც შეიკრა შუბლი, რადგან არსენამ აქაფებული ბედაური თითქმის ზედ მიაგდო...“

როცა მაიორმა საბარათიანოს დროშის ჩამოხსნის ბრძანება გასცა: გრიგოლ ორბელიანს ზაფრანის ფერი დაედო, ბარათაშვილმა თავი ჩაქინდრა, მარშალი ალექსანდრე გაშეშდა, კნენები გაინაბნენ. „ბატონები კი გაჩუმებულან, დარცხვენილან, დადუმებულან. რა ღმერთი გაუწყრათ ამ წყეულებს! – გაიფიქრა არსენამ, – რამ დააჭიავა, რამ მოადუნა, ვინ გამოჰყიტა და ვინ დააძაბუნა?! თუ დაბერდნენ და გადაშენდნენ, დროა განზე გადგნენ და გზა დაგვითმონ“. არსენას ფიქრების გადმოცემის შემდეგ მწერალი უშუალოდ აცხადებს: „აგრეა, განზე უნდა გადგნენ და გზა ოძელაშვილებს დაუთმონ, – გზა მეტად გრძელი, მათ მიერ ხანგრძლივ ნაცადი და უკვე ბოლომდე გალეული“.

არსენამ დროშა ხელში აიტაცა და არლოვს მიმართა: „მობრძნდი

და წაიღეო“... ასე გადაარჩინა გლეხმა თავადების მიერ განწირული ქართული ეროვნული დროშა.

დღეს იმ ეროვნული დროშის ქვეშ ერთიანდება საქართველო მხოლოდ დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობით. და იმ დროშის ჩაბარებაზე ოცნებობს მონარქისტული პარტია, რაც ყოვლად დაუშვებელია.

არ არის გამონაკლისი, რომ ის დროშა ხელში დაიჭიროს ევოლუციაგამოვლილმა დადიანმა, ერისთავმა ან ბაგრატიონმა, მაგრამ არა როგორც მონარქისტმა, არამედ როგორც დემოკრატმა. რადგან გრამატიკაში ორი განმეორება ქმნის ერთ დადასტურებას, ვიმეორებს: ...არა როგორც მონარქისტმა, არამედ როგორც დემოკრატმა.

მყვირალა პატრიოტებს, რომლებიც გაჰყვირინან, რომ ერის სიყვარულით ტანჯებიან, უნდა შევასენოთ ლაო-ძის სიტყვები: „უდიდესი მქერმეტყველი ენაბლეს ჰეგას. ყოვლად ბრძენის გული ცარიელია. მისი გული ხალხის გულთა შესაკრებელია, მას შესწევს უნარი გაიძუნებოს ერის აზრი“. (მაგრად იპუნქტებს გლეხის აზრს მონარქისტული პარტია).

ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ მოძრაობაში უნდა მოიყვანოს ათასობი დიდი მოაზროვნე, რომლებიც შესძლებენ ერის ცხოვრების გარდაქმნას და ახალი გზების აღმოჩენას. იმ გზების აღმოჩენას, რომლითაც ქართველმა ერმა უნდა იაროს, მხარი გაუტოლოს და, უკეთეს შემთხვევაში, გაასწროს მონინავე ცივილიზებულ ერებს. გმირთა და გენიათა სიუხვე ჩვენში მუდამ შეიმჩნეოდა ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 40-იან წლებში გალაკტიონი წერდა „ის ვერ ითვლის გმირთა მხარ-მკლავს, ვერც უხვობას გენიისა...“

როცა ეროვნული მოძრაობა დასრულებულ სახეს მიიღებს, როცა თითოეული კაცი შეეცდება, მაქსიმალურად გამოადგეს ერს, მაშინ ნამდვილად წამოვა გენიათა სიუხვე. ჯერჯერობით კი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ: „ვისაც ზნეობრივი და გონებრივი ძალ-ლონე აქვს, წინ გაუძლვეს თავისი საკუთარი ქვეყნის ცხოვრებას, განზედა სდგას. იქნებ ამის მიზეზი ჩვენი ცოხვრებაც არის, მით რომ ბევრს სიამოვნებას და ხელის შეწყობას არ უქადდეს, მაგრამ ქვეყნის სამსახური ყველგან მსხვერპლია და არა სეირი. ამ შემთხვევაში დგომა – ცდომაა... ცხოვრება წინ წავიდა... ცარიელი მოედანი ცხოვრებისა ჰდალადებს და იწვევს იმ განათლებულ მშრომელთა, მაგრამ ღალადი ჯერ არავის ესმის და მონვევაზედაც ჯერ არავინ მიდის“.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
21.08.1991

## პრეროგატივები და კლაკიორები

ტოტალიტარული სახელმწიფოს იერარქიული კიბე ყოველთვის დაკავებული იყო ათასნაირი პრეროგატივებით. ეს პრეროგატივები ყოველთვის ცდილობდნენ შეექმნათ კლაკიორთა არმია, რომლის მოვალეობაში შედიოდა მათდამი პატივისცემა და მათი იდეების გავრცელება, რისთვისაც აღნიშნული არმიის წევრები ფავორიტთა რიგებში ხვდებოდნენ.

დემოკრატიული აზრი არ უარყოფს დამსახურებულ პრეროგატივას, მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ პრეროგატივის სიტყვა ადამიანებმა მსჯელობის გარეშე მიიღონ, ყველაფერზე „ვაშა“ იძახონ და ყოველნაირ მოწოდებას ოვაციებით შეხვდნენ.

ვაშა და ტაში უნდა გამომდინარეობდეს სუბიექტის ემოციური და ინტელექტურულური მოწონებიდან და არა ორატორის სიამოვნებისათვის ნაკარნახევი ქვენა გრძნობებისაგან. წინააღმდეგ შემტხვევაში, საქმე გვექნება არა კაცურ კაცთან, არა საქმიან კაცთან, არამედ კლაკიორთან, რომელიც თავის საქმეს მოუარს, მაგრამ სოფელს – ვერასდროს.

სოფელს რომ მოუარო (ამისათვის ბევრი რამ არის საჭირო), პირველ რიგში, უნდა გაითვალისწინო: პრეროგატივის რომელი შეხედულება როგორ მოერგება შენი ხალხის ცხოვრებას, მიიღებს იგი მას უბაულოდ, თუ წინააღმდეგობას გასწევს, ან როგორს – ქალურს თუ აქტიურს. თუ ქალური წინააღმდეგობაა მოსალოდნელი, მაშინ დეპუტატმა შეიძლება თავი შეიკავოს. მაგრამ თუ აქტიურ წინააღმდეგობას ელოდება, მაშინვე უნდა აგანაცხადოს, რომ ეს საკითხი მისი ხალხისათვის მიუღებელია.

ყველასათვის ცნობილია, რაოდენ დიდი წინააღმდეგობა გასწია ქართველმა გლეხმა არაყის შინაური წესით გამოხდის აკრძალვასთან დაკავშირებით. ერთს წარმომადგენელს რომ აეხსნა პრეროგატივებისათვის ჩვენში არყისა და ღვინის დამზადების ტრადიციულობა, მაშინ იმ უსიამოვნებებთან აღარ გვექნებოდა საქმე, რომელიც ამ საკითხის დაკანონების მცდელობაში გამოიწვია.

70-იან წლებში გამოვიდა დადგენილება და კლაკიორებმა ტაში დაუკრეს, რომ საქართველოში დიდი ქორწილები და ქლეხები არ ჩატარებულიყო. მთავრობამ მიმართა ბარბაროსულ ღონიშიებებს: ანგრევდნენ „პალატკებს“ ანადგურებდნენ სურსათს (ყოფილა შემთხვევები, როცა ლობიოში ნავთი ჩაუსხამთ), აქაოდა, ხალხი ცდება, თვრება, ჩხუბობსო და სხვ. მოინდომეს ჯანსაღი ტრადიციის ამძირ-

კვა, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. რადგან ტრადიციის ხელის ერთი დაკვრით უარყოფა არავითარ ძალას არ შეუძლია. ჭირისუფალს რომ მიცვალებული მამის ხსოვნა არ უთხრა: ეს მისთვის მეორე სიკედილი იქნება, რონლის უფლებას არც ქელეხის და არც სტუმარ-მასპინ-ძლობის ტრადიცია არ გაძლევს.

ყრილლბებზე, კონფერენციებზე და სესიებზე გამოტანილი საკი-თხები მიიღებოდა ოვაციებით და საწინაარმდეგოს არავინ არაფერს იტყოდა. ხალხის ბედი ფაქტობრივად წყდებოდა იქ, სადაც მოხსენებე-ბი იწერებოდა და მტკიცდებოდა კლაკიორთა ოვაციებით. მართალია დეპუტატები ხშირად შედიოდნენ ტრაბუნებზე თითქოს კამათისათვის, მაგრამ ისინი კი არ კამათობდნენ, არამედ აქებდნენ, ხოტბას ასხამდ-ნენ პრეროგატივის სიბრძნეს და საქმეს. ასე, რომ კრილოვის სიტყ-ვებით რომ ვთქვათ, გუგული აქებდა მამმალს და მამალი – გუგულს.

კრილოვის „გუგულისა და მამლის“ ერთგვარ ლოგიკურ გაგრ-ძელებას წარმოადგენდა ჩვენი თანამემამულე კლაკიორის „შემოქ-მედება“, როცა მან „მზე ჩრდილოეთიდან“ ამოიყვანა. საქმეში ჩაუ-სხდავმა კაცმა შეიძლება თქვას: რა უნდა ექნა, ცხოვრება ამნაირი იყოო. ცხოვრება როგორიც უნდა იყოს, მას ძირითადად ადამიანები ქმნიან და ისინი უნდა იყვნენ პასუხისმგებელი მის ავ-კარგზე.

სიმართლის თქმა ყოველთვის ძნელი იყო. მაგრამ სულით ძლიერები მაინც ახერხებდნენ მის თქმას. და თუ სულიერად ჩიას და საწყლურს ხალხმა თავისი ბედი მიანდო, მაშინ ერიც დაიღუპება და ბერიც.

კლაკიორის, როგორც ხალხის შემთხვევითი წარმომადგენლის ცხოვრება განწირულია დასალუპად. მისი ცხოვრება იშრიტება დიდი კაცის ფერებაში და პატარის ჩაგვრაში. იგი გარკვეულ პერიოდში თავს შევლის. საწუთოზე მინდობილი ადამიანები, რუსთაველის სიტყვებით, რომ ვთქვათ: „იშვებენ, მაგრამ უმუხთლოდ ბოლოს ვერ მოურჩებიან“.

დღეს, როცა საქართველომ აჩქარებული ნაბიჯი გადადგა ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე და უკან დასახევი გზები მოქრილია, ცხადი ხდება, რად დაუჯდა ერს „მიმდომნთა საწუთო-სანთა“ 70 წლიანი ბატონობა.

ადამიანებს სურვილები მუდამ დიდი ჰქონდათ და აქვთ, მაგრან უნდა ეცადონ, რომ მის ასასრულებლად შეიძინონ ძალა. ხოლო ძა-ლას რომ ცოდნა ჰქმნის, აქ სადაცო არაფერია. თუ არ გვექნება ცოდნა (ძალა), მაშინ ყოველგვარი საქმიანობა, ყოველგვარი თაოს-ნობა (თეკერეის სიტყვებით რომ ვთქვათ) „ვითარცა იტყვის ბრძენ, ყოველივე ამაო არს“.

ცხოვრების გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ძალის გარეშე ადა-  
მიანების სურვილების შესრულება შეუძლებელია. ვერც გაცვეთილი,  
ტრაფარეტული სიტყვები, ვერც საბჭოური კოლმეურნეობები, ვერც  
ევროპულ ბაზაარს მიმგვანებული ქართული კომერციები, ვერც რუ-  
სული კოოპერატივები, ვერც სახელმწიფოს გამკაცრებული კანონები  
და ვერც კლაკიორთა ოვაციები ერს გაჭირვებიდან ვერ გამოიყვანს  
და მას შეიძლება შიმშილმა შუასაუკუნეობრივი რაინდული წესების  
დაცვით გამოუცხადოს: (ღმერთმა დაგვიფაროს) თქვენი თავის პა-  
ტრონს უფლება არა გაქვთ არსებობდეთო“.

ბალზაკის შეხედულებით „ადამიანი იშრიტება ორ ინსტიტურად  
შესრულებულ აქტში, რომელიც ამრობს მისი არსებობის წყაროებს.  
ორი სიტყვა გამოხატავს სიკვდილის ამ ორი მიზეზის ყოველ ფორმას:  
სურვილი და ძალა. ადამანური მოქმედების ამ ორ ზღვარს შორის არსე-  
ბობს კიდევ სხვა ფორმულა, რომელსაც ბრძენი ადამიანები ფლობენ...  
სურვილი გვრცავს, ძალა გვანადგურებს. მაგრამ ცოდნა ჩვენს სუსტ  
ორგანიზაციას მუდმივი მშვიდობიანობის მდგომარეობაში სტოვებს“.

მცოდნე კაცი, როცა მას ობიექტური პირობები აიძულებს, უკ-  
ვირდება ბრძოლის დროს და ადგილს და იყენებს იმ შესაფერის  
მეთოდებს და იარაღს. ხოლო უცოდინარი კაცი ცუნდრუკებს და  
ღუპავს როგორც საკუთარ თავს, ისე მასზე დაქვემდებარებულ სხვა  
ადამიანებსაც.

ცხოვრებას სჭირდება ბერივაცის სიდინჯისა და ყმაწვილის  
გამბედაობის გონივრული კომბინირება და არა პრეროგატივების  
გაუთავებელი ლაპარაკი მათი იდეების უძლეველობაზე და კლაკიო-  
რების ვაშა და ტაში.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
26.09.1991

## ჩვენი პოზიცია

**ნარიმანა მედოლეო, უკეთესი მეგონეო.  
ხალხური**

გასული წლის ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, როცა რესპუბლი-  
კის სათავეში ახალი მთავრობა მოვიდა, ხალხი ელოდა მნიშვნელოვან  
პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს.

ეკონომიკის საკითხში თვალნათლივ გამოჩნდა მთავრობის „ზრუნვა“ ხალხის კეთილდღეობაზე, როცა სახელმწიფო ვაჭრობისათვის განკუ-თვინილი საქონძლის ძირითადი ნაწილი ხელში ჩაუვარდა კოოპერაციულ და კომერციულ ორგანიზაციებს, იმ ორგანიზაციებს, რომლებსაც მე და ბევრმა სხვამაც სპეცულაციური უწოდა. სახელმწიფო ვაჭრობა არ დაეცემოდა, რომ მისთვის განკუთვნილი საქონლის სპეცულაციურ ორ-განიზაციებში გადატანისას, მთავრობას თვალები არ დაეხუჭა.

მინის საკითხი, რომელზეც მე გამოქვეყნებული მაქვს წერილების მთელი ციკლი, ჯერ კიდევ გადაუქრელია და კიდევ დიდი ხანი დააგ-ვიანდება მისი საბოლოო გადაჭრას. ახალი კანონი, როგორც გამოქვეყ-ნებული პროექტიდან ჩანს, გლეხისათვის ბევრის მომტანი არ იქნება.

ჩვენი აზრით, ჯერჯერობით, სანამ კერძო საკუთრების რესტა-ვრაციაზე გადავიდოდეთ და წარმოების მინიატურულ საშუალებებს გლეხისათვის ხელმისაწვდომს გავხდიდეთ, საჭიროა გავზიარდოთ საკარმიდამო მინის ნაკვეთი ერთ ჰექტარამდე, რაც საშუალებას მო-გვცემს, შევქმნათ მინათმოქმედი კომლი, რომელიც თითქმის აღარ არსებობს და მისი ფორმირება ჩვენ ნამდვილ პოლიტიკად მიგვაჩნია, რომლის გადასაჭრელად პირველ რიგში საკარმიდამო მინის გაზრდაა საჭირო და სხვა საკითხებს მომავალში გადავჭრით.

მთავრობა ისე უფრთხილდება ყოველ მტკაველ მინას, რომ მინის სუსტადმცოდნე კაცს ეგონება: თუ გლეხს მინა მისცეს, იგი გამდიდრ-დება და არ დაემორჩილება ჩვენს ოურიდიულ და ზნეობრივ კანონებს და სხვა პლანეტაზე გაგვექცევაო. – პირიქით ჩვენი პოლიტიკის ზეიმი და გამარჯვება ის იქნება, რომ გლეხი თავის სტიქიაში იცხოვრებს – თავისი ბალით, ვენახით, ხარ-კამეჩით და მანქანა-იარაღებით.

პროგრესულად მიგვაჩნია რეანიგზელთა თაოსნობა სანარმოსთან დამხმარე მეურნეობის მონცობის საქმეში. ამ თაოსნობამ, რამდენა-დაც ამის საშუალებას მინის ფართობი მოგვცემს, ფართო გასაქანი უნდა პოვოს, მაგრამ ისე, რომ მან სანარმოს ძირითადი ინტერესები არ დააზარალოს.

უმართებულოდ მიგვაჩნია მინის რეფორმის პროექტის XX მუ-ხლში გამოქვეყნებული შესედულება, რომლის მიხედვით „ინდივი-დუალური ბინათმშენებლობისათვის... მინების შეძენა საკუთრებად ხდება შესყიდვის გზით“. მინა ღმერთისაგანაა შექმნილი და იგი მასზე მცოხვრებისაგან არაფერს მოითხოვს, გარდა შრომისა და სამართ-ლიანობისა. შეიძლება ადამიანმა გაყიდოს ის, რაც მას შეუქმნია: ბალი, ვენახი, სახლ-კარი, მაგრამ, საკუთრივ, მინა – არა.

ახალი მთავრობის პოლიტიკური მართვის საფუძველი სრულიად

მოწყვეტილი შექიმნა დემოკრატიულ პრინციპებს. იმ დღიდან, როცა გამოცხადდა, რომ პრეფექტი ანგარიშვადლებულია არა ხალხის (საკრებულოს), არამედ პრეზიდენტის წინაშე, ის პოლიტიკური პარტია, რომელსაც მრგვალი უწოდეს, შეიძლება შევადაროთ ყოველგვარ გეომეტრიულ ნაკვეთს, მაგრამ იმ მაგიდას არა, რომელსაც დიპლომატები მრგვალს ეძახიან. ან რა სიმრგვალეზე შეიძლება ლაპარაკი იქ, სადაც მაგიდის თუნდაც ერთი წევრიც კი, ანგარიშვალდებული არ იქნება ირგვლივ მსხვომთა წინაშე.

საინფორმაციო საშუალებები აუცილებლად უნდა ეყრდნობოდეს აზრთა პლურალისმს და წარმოადგენდეს მის პრეროგატივას. იგი აუცილებლად უნდა გადმოსცემდეს სიმართლეს, როგორი მნარეც უნდა იყოს იგი.

ერთაშორისი საკითხების განხილვისას ყოველთვის უნდა ვცდილობდეთ, რომ ადამიანები არ მოიწამლონ შოვინიზმის შხამით და მათ სხვა ადამიანები არ შეიძულონ იმის გამო, რომ ისინი სხვა ერისანი არიან. ხალხს ღრმად უნდა განვუმარტოთ, რომ იმპერიაში შემავალი ხალხები, თვითმპყრობელი ერის ჩათვლით, ერთნაირად იტანჯებიან იმპერიის მძიმე უღლის ქვეშ და ამ იმპერიის დაშლისათვის ერთნაირად იბრძვიან პროგრესულად მოაზროვნე აღმაიანები, როგორც დაპყრობილ, ისე მპყრობელ ერში, რომ ეროვნული განთავისუფლება ხანგრძლივი პროცესია, რომელსაც სჭირდება გარკვეული დრო, ეკონომიკური და იდეოლოგიური საფუძველი და არა მუშტების ქნევა და ლანძღვა-გნება, რუსის ჯარს რომ გააღიზიანებ და შესაძლებელია მოთმინებიდანაც გამოიყვანო, ვინ გიშველის?! ეროვნული გვარდია, პარლამენტი, პროკურატურა თუ პრეფექტურა?! როცა დაპირისპირება აშკარად ჩანს ორ ძალას შორის, მაშინ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ ამის ხანძარი არ დაინთოს. ჩვენი საუკუნის 10-იან წლებში სარაევოში გასროლილმა დამბაჩამ ისეთი ხმა გამოიღო, რომ მთელი დედამიწა შეაბარბაცა და 15 მილიონი შეიარაღებული კაცი სამკვდრო-სასიცოცლოდ შეატაკა ერთმანეთს.

მაშ რა ვქნათ?! – იკითხავს აჩქარებული კაცი. – რა უნდა ვქნათ და წავაყენოთ ჩვენი მოთხოვნა რუსეთის პროგრესულად მოაზროვნე ძალების წინაშე, რომელებიც საბოლოო ანგარიშში მოუვლიან თავიანთ ჯარსაც და ჯამაათსაც. თორემ, შენ რომ რუსების მიერ ჩამონერილი ავტომატი თუ შაშხანა იშოვე, იმის იმედით ცხოვრება როგორ იქნება?! – საერთაშორისო სამართალი დაგვიცავსო, იტყვის ზოგი კაცი. პირველ რიგში, შენმა თავმა უნდა დაგიცას, თორემ სულელურად რომ რაიმეს

შეასკდე, არავინ დაიხარჯება ამისათვის დიდად. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ სამართალი მუშტის მხარეზეა და შენი მარგანეცის თუ „ბორჯომის“ გულისათვის რუსეთის იმპერიას არავინ დაუბირისპირდება და თუ სუსტნერვებიან ჯეელებს ერი აჰყვება, შესაძლებელია იგი მთლიანად დაიღუპოს და აღარ იარსებოს იმ ერმა, რომელსაც თათრები გურჯებს ეძახიან, რუსები გრუზინებს და ვეროპელები გეოგინებს.

სტატიაში „ისევ მიწის საკითხის ირგვლივ“ მე საუბარი მქონდა დროის ფაქტორზე, სადაც მიწის კანონის შემუშავების დაჩქარებას მოვითხოვდი. მთელი წელიწადი დასჭირდა ჩვენს მთავრობას იმ პროექტის შესადგენად, რომელიც ჩვენმა გაზრდმა ერთ გვერდზე დაიტია და რუსეთის თვალუნვდენელი იმპერიის დაშლას რომ ერთი ხელის დაკვრით შეეცდები, როგორ შევაფასოთ შენი გადაწყვეტილება?! სიბრძნედ თუ სიშლეგედ?

ხმარებიდან უნდა გამოვიდეს პრეროგატივების მიერ მოწონებული სიტყვები: ერის მოღალატე, ხალხის მტერი და სხვ. შენ, რომ ჩემი აზრი არ მოგეწონოს და ამისთვის ერის მოღალატე დამიძახო, ეს არა მხოლოდ ზნეობრივი, არამედ იურიდიული დანაშაულიც იქნება. კაცთა ცხოვრება ყველაფერზე მეტად მაინც იმითაა ლამაზი და მიმზიდველი, რომ ადამიანები ერთმანეთისაგან განსხვავდებან და მთელი რიგი თვისებებით მაინც ერთმანეთს ჰგვანან. ამ მსგავსებაში ყოველთვის არის რაღაც საერთო, რომელზეც დაყრდნობით ადამიანებს შეგვიძლია გაერთიანება ერთიანი ინტერესების ქვეშ ისე, რომ პირადულიც არ დაზარალდეს და თუ ამას ვერ მოვახერხებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ ხალხის პატრონობა არ შეგვიძლია.

რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობას, იგი აუცილებელია, მაგრამ ისე, რომ ეროვნული ინტერესები არ დაზარალდეს, არც ეკონომიკურად და არც მორალურად. ახლახან გახსნილმა თურქეთის გზამ ვერაფერი სიკეთე ვერ მოუტანა ფართო საზოგადოებას, პირიქით, მან დააზარალა ჩვენი ხალხი. ის, რომ ჩვენს მაღაზიებში ქლიბს და ლომს ვერ იყიდი, ეს რა თქმა უნდა ცუდია, მაგრამ ათჯერ ცუდი ის არის, რომ ქართველი კაცი თურქეთის დიდ ქალაქებში სპეულაციას ეწევა, რაც ერის ზნეობრივი დაცემის სიმპტომა.

დამოუკიდებელი საქართველო თუ ვისთან დაიჭერს ძირითად კავშირს – დემოკრატიულ რუსეთთან თუ დასავლეთის ქვეყნებთან, ამ საკითხს მომავალი გადაწყვეტს, მაგრამ ერთი კი ახლაც ცხადია, რომ ახლო მეზობელი შორს მცხოვრებ ძმაზე მეტად არგია კაცს, მეტად იგებს მის ჭირსაც და ლხინსაც.

პოლიტიკური კამათის დროს პრეროგატივა უნდა მივაკუთვნოთ აზრს და არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას. პოლიტიკოსი უნდა იყოს პრინციპული, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში – ჯეტი. ჭეშმარიტად ძლიერი ადამიანები ყოველთვის პრინციპული არიან, მაგრამ ჯიუტნი – არა. ჩვენი ცხოვრების ქვაკუთხედი უნდა იყოს გონების გამოყენება ჭეშმარიტების მისაგნებად და არა დასამახინჯებლად.

მიმდინარე წლის 15 ტებერვალს „სამტრედიის მაცნეში“ გამოქვეყნებულ ჩემს სტატიას „პრეროგატივის საარჩევნო პარადოქსი“, ისე შევნოდა ლევ ტოლსატონის სიტყვები, რომ „საშინელებაა, როცა ადამიანები გონებას ჭეშმარიტების დასაძლევად ან დასამახინჯებლად იყენებენ“, როგორც „სასაქლოს ფარჩა და აღმასები“. მაგრამ იგი რომელიდაც ცენზორის მიერ ამორებულ იქნა „ხალხის“ ინტერესების დაცვის მიზნით, რაც დანამაულად უნდა ჩაითვალოს. „მე თუ გინდა თავიც მომქრან, ტანი გახდეს გასაბერად“, მაგრამ გონების გამოყენება ჭეშმარიტების დასაფარავად მაინც ნამდვილი ბოროტება იქნება.

ცხოვრებაში გამუდმებით იპრძვიან სიკეთე და ბოროტება, სიბრძნე და სირეგვენე, მაგრამ ბრძოლის პროცესში უნდა გვახსოვდეს, რომ სიკეთე სიკეთით ცდილობს ბოროტების დათრგუნვას, ხოლო სიბრძნე – სიბრძნით: რომ „სიბრძნე ეპრძვის სირეგვენესა უთოფოდ და უზარპაზნოდ“.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
17.10.1991

## **პოლიტიკური პერიოდის და ტოტალიტარული რიტუალები**

„წმინდა ნათელში, ამბობს ჰეგელი, წმინდა სინათლის დიად ბადეში ისე ცოტაა გასაგებელი, როგორც რომ წმინდა სიწყვდიადეში“

**გ. ტაბიძე**

ვინცა ფიქრობს, ყოველივე ვუწყიო, არა უწყის რა.  
**ლამ-ძი**

გასარკვევია ის ამბავი, რომ საზოგადოების გარკვეული ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ შარშან დემოკრატიაზე დებდა თავს, დღეს უკვე „ძლიერი ხელის“ თაყვანის მცემელი გახდა. ნუთუ, ადამიანის მსოფლმხედველობა გარდაიქმნა და იგი დემოკრატიულობიდან დიტატურისაკენ გადაიხარა?! – არა, კი არ გარდაქმნილა, არამედ მან

თავისი ნამდვილი სახე გამოამჟღავნა. დემოკრატიული უფლებები იმისთვისაცაა საჭირო, რომ ადამიანები გამოჩნდნენ ცხოვრების წინაშე ზუსტად ისეთნი, როგორებიც არიან.

კომუნისტურმა რეჟიმმა შეაჩვია ადამიანები იმ აზრს, რომ მათზე ბელადი ზრუნავს, რომელიც დაიცავს მათ ავი თვალისაგან. ამ რწმენით შეპყრობილი ადამიანები ბრმად სცემენ თაყვანს ძლიერ პიროვნებას – კერპს და უპრეტენზიოდ ემორჩილებიან მის ყოველნაირ გადაწყვეტილებას, დარწმუნებულნი იმაში, რომ იგი მათ საბოლოო ანგარიშში განცხრომით ცხოვრებას მოუწყობს. მაგრამ გადის დრო, ყველაფრის მქმნელ-გარდამქმნელი და ადმიანი, იმის გამო რომ ვერ პჰოვებს ბედნიერებას, უარყოფს ძველ კერს და ეძებს ახალს. საზოგადოების ერთი ნაწილი საერთოდ უარყოფს ყოველნაირ კერპს, მეორე ძველის ერთგული რჩება, რადგან ახალს უარესს მოელის, მესამე ნაწილი კი ახლის თაყვანისმცემელი ხდება. კერპთაყვანისმცემელი ისე ეტრიალება ირგვლივ თავის კერპს, როგორც ტოულოთი დაბმული ცხენი პალოს, და ვერ წარმოუდგენია, თუ იმ პალოს გარეშე არსებობა შეიძლება.

დემოკრატიამ შესაძლებელი გახადა ზოგიერთი ანტიდემოკრატიული გაერთიანებების შექმნაც. იმ გაერთიანებებისა, რომელთა მიზანია შექმნელის განადგურება, მაგალითისათვის ავილოთ საზოგადოება „სტალინი“, რომელსაც უამრავი თაყვანისმცემელი გაუჩნდა. მას შექმნის საშუალება დემოკრატიამ მისცა და რომ ახალგაზრდების ჯგუფს არ ემარჯვებინა და იგი არჩევნებიდან არ გაეყვანა, ის დემოკრატიულ პარტიებს სტალინური მარწუხებით მოახრჩობდა. მოახრჩობდა იმიტომ, რომ კერპთაყვანისმცემელთა რიცხვი საქართველოში ძალზე დიდია. გამოდის ის, რომ სარგებლობენ დემოკრატიული დებულებებით და უფლებების ხელში აღების შემდეგ დიქტატორთა ბანაკში სახლდებიან.

როცა ქართული ეროვნული მოძრაობა კომუნისტებს ებრძოდა, მაშინ დიქტატურა ქვეყნის დამქცევად აღიარეს. ხოლო, როცა მან უფლებები მოიპოვა, მისი გარკვეული ნაწილი დიქტატურის მომხრე გახდა.

მიხეილ ჯავახიშვილი მოგვითხრობს, რა მონდომებით ავრცელებდა ერთი მისონერი ველურებში ქრისტიანობას. ბოლოს, როცა თავისი მისია შესრულებულად ჩათვალა, მოიხმო ტომის ბელადი, რომ მისგან გამოცდა მიეღო. ეკითხება, – ბოროტება რა არისო? მოწაფე პასუხობს: მე რომ ვინმე ცოლი წამართვას, ბოროტება იქნებაო. მეორე კითხვაზე, – სიკეთე რა იქნებაო, ასეთ პასუხს ღებულობს: მე რომ სხვას ცოლი წამართვა, სიკეთე იქნებაო.

დავუკირდეთ, როგორ წააგავს იმ ველურის განსწავლულობას ჩვენი თანამედროვე პლიტიკა. სხვისი დიქტატურა ბოროტება იყო და ჩვენი დიქტატურა სიკეთეა?! – არა, დიქტატურა, როგორი სახითაც არ უნდა მოგვევლინოს იგი, მაინც ბოროტება იქნება.

თუ გადავხედავთ ადამიანის ბედს დიქტატურის პირობებში, დავინახავთ შემოქმედებითი ძალების შეზღუდვას, შიშის და შიშით გამოწვეულ ერთგულებას კერპის წინაშე. კერპი კიდევ მუდამ იმის შიშია, რომ ხალხს გონება არ გაეხსნას და მისი არაღვთაებრიობა არ გაიგოს. ასეთ პირობებში ყველა ცოდვაა – კერპიც და თაყვანისმცემელიც.

კერპებმა კარგად იციან, რომ გონებაგახსნილი ხალხი მისი საშინელი მონინააღმდეგე და გამანადგურებელი ხდება. რაც შეეხება ხალხის გაითვითცნობიერებელ ნაწილს, ბრბოს, იგი ისწრაფვის, რომ შექმნას ახალი კერპი, და თუ საზოგადოების მერყევი ნაწილი ჩაითრია ფერხულში, მაშინ მიზანსაც აღწევს.

ახალი კერპი ძველის სახეშეცვლილი ფორმაა. მას ძველიდან გადმოაქვს მთელი რიგი თვისებები და საზოგადოებას ევლინება განახლებული სახით.

დღევანდელ საქართველოში ხშირად მოისმენთ კერპთაყვანისმცემელთა წუნება: რა დროს დემოკრატია, შეგვჭმა რუსეთმა, როგორმე გამოვეყოთ, მანამდე ხალხიც მომნიფდება და დემოკრატიაზე შემდეგ ვილაპარაკოთო. და იმართება ათასგვარი რიტუალები, რამაც გამოიწვია ერის ორად გახლეჩა. ერთი ფრთა დემოკრატიულია, მეორე – კერპთაყვანისმცემლური. თუ რომელ მხარეზე აღმოჩნდება რაოდენობრივი უპირატესობა, ამას მომავალი არჩევნები და ერის ინტელექტუალური მომზადების დონე დაგვანახებს, გავიგებთ, თუ რა ცულილებები განიცადა კერპთაყვანისმცემლობამ და დემოკრატიულმა აზრმა საქართველოში. ჯერ-ჯერობით კი ნათელია, რომ დემოკრატთა რიცხვი დღედღეზე იზრდება, კერპთაყვანისმცემელთა შემცირების ხარჯზე.

კერპთაყვანისმცემელთა ქადაგება – ჯერ რუსეთს გამოვეყოთ და შემდეგ შინ ვიდავოთო, არასწორია, საშინაო და საგარეო საქმეები გათიშვა-გადადება დადებით შედეგს ვერ მოგვცემს. მათი მოგვარება უნდა მოხდეს ერთდროულად, და თუ ასე არ მოხერხდება, მაშინ მოგვივა ისე, როგორც ხალხურ ლექსშია ნათქვამი: „სანამ ოდას დავხურავდით, საძირკველი გვილპებოდა“. აკავი წერეთელი გვასწავლის: „პირველი ნაბიჯი თუ უკულმართად გადაიდგა, წალმა სიარული შეუძებელია, და თუ წყალი სათავეში აიმლვრა, ბოლოში ველარ განმენდს რა!...“ – ხშირად გვესმის კერპთაყვანისმცემელთა პრეტეზიები:

ჩვენ 87 პროცენტი ვართ მთელი მოსახლეობის და როგორ შეიძლება ვტყუოდეთ. ჩვენ 99, 99-პროცენტიანი არჩევნებიც ვიცით, მაგრამ იგი ვერ გამოხატავდა პროგრესულ აზრს. რიცხობრივი უპირატესობა გარკვეულ პერიოდში კი იძლევა მიმართულებას ხალხის ცხოვრებისას, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაინცდამაინც სამართლიან გზას უჩვენებდეს. მაგალითისათვის ავიღოთ ვაჟა-ფშაველას გმირები. ის, რომ ალუდა ქეთელაური, ჯოყოლა და ალაზა თემის რაღაც უმნიშვნელო პროცენტს შეადგენენ, სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ისინი სტყუოდნენ. ისინი მართალი არიან, მაგრამ მაინც მარცხდებიან, იმიტომ, რომ „თემს რაც სწადიან, მას იზამს, თავის თემობის წესითა“, ხოლო „თემობის წესი“ თაყვანს სცემს შურისძიების კერპს და იგი ვერ ადის იმ იდეალებამდე, რომელიც კაცთა შორის შემრიგებლობას, ძმობას და მეგობრობას გვასწავლის.

საჭიროა არა განსხვავებული აზრის მოსპობა, ან თემის ძალით დამორჩილება განსხვავებული აზრისადმი, არამედ იმ შურისძიების კერპის აღმოფხვრა, რომელიც ადამიანებს მუდმივი მტრობისა და შეურიგებლობისაკენ მოუწოდებს. თუ ეს მოხერხდება, მაშინ თემი იქცევა შეგნებულ საზოგადოებად, ხოლო მის მიერ განწირული ადამიანები – მიპატვისა და კაცომოყვარეობის სანიმუშო მაგალითად.

ზემოთქმული მაგალითებიდან ჩანს, რომ ადამიანები ბოროტებას ზოგჯერ სიკეთედ მიიჩნევენ. როცა ინკვიზიცია იან ჰუსს წვავდა, დედაბერმ აიკითხა: რა დააშავაო? – ასე უთქვამს, დედამინა ბრუნავსო, – იყო პასუხი. უი, რა უთქვამს ამ წაწყმედილსო, – აჩქარებული ნაბიჯით წავიდა, ფიჩხი მოიტანა და მეცნიერს ფეხებთან დაუყარა, დარწმუნებულმა იმაში, რომ დიდი სასიკეთო საქმე გააკეთა.

კარვის დამწველი ქალები, რომელთა „ქცევას და ფიზიოლოგიურ მდგომარეობას“ – როგორც ბატონი თეიმურაზ ნუცუბიძე ამბობს – „სამედიცინო პათოლოგიაში, ალბათ, სპეციალური დიაგნოსტიკური ტერმინით უფრო მარჯვედ განსაზღვრავენ“, დარწმუნებული არიან იმაში, რომ მომიტინგეთა დარბევებით დიდ საზოგადოებრივ საქმეს აკეთებენ. მათი „ლვანლი“ აუცილებლად უნდა შეისწავლონ იმ ადამიანებმა, რომლებსაც ხალხის ბედი აბარიათ. თუ მათი მოქმედება მართვადია, ვინ მართავს? თუ უმართავია – რატომ?

„ძლიერნი ამა ქვეყნისანი“ უნდა აძლევდნენ ადამიანებს მისწაფებას აბსოლუტური ცოდნისაკენ, რომელიც უნდა ემსახურებოდეს ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების და სულეირი სრულყოფის საქმეს და არ უნდა იყოს ისე, როგორც ლენინი ამბობს,

რომ „ადამიანები პოლიტიკაში ყოველთვის იყვნენ და იქნებიან მოტ-ყუებისა და თვითმოტყუების უგუნური მსხვერპლნი“.

ის, რომ რუსეთის იმპერიაში შემავალი ხალხების დიდი ნაწილი მომხრეა „ძლიერი ხელისა“, ეს უნდა მივაწეროთ: 1, ატავიზმს. 2. სწრაფვას წესრიგისაკენ. 3. პოლიტიკურ მოუმზადებლობას და დე-მოკრატიული მოთხოვნებისა და პრინციპების სუსტად ცოდნას.

ხალხის ამ ნაწილის ნარმოდგენით, დემოკრატია თითოეულ ადა-მიანს აძლევს იმის უფლებას, რაც მას სურს, ის აკეთოს, თუნდაც, იძოროტოს. ასეთ ადამიანებს ღრმად უნდა განვუმარტოთ, რომ დემოკრატიასა და ანარქიას „შუა უზის დიდი ზღვარი“ რომ დე-მოკრატია არის შეუწყნარებლობა მუქთასორობისადმი, ქურდობი-სადმი, მექრთამეობისადმი, უნამუსობისადმი, მატყუარობისადმი და ყოველგვარი ადამიანური მანკიერებისადმი.

დემოკრატიის გამარჯვება, რაც ყველა ობიექტურად მოაზროვნე ადამიანს სწამს, თავის დროზე ნამდვილად ათქმევინებს მისადმი საზოგადოების მტრულად განწყობილ ნაწილს: „რისი ცნობაც არ იყო, მისი ფასიც არ იყო“.

**მინაწერი:** ზემოთ ჩამოთვლილი მაგალითებიდან ჩანს, რომ საკუ-თარი სინდისისადმი პასუხისმგებლობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნება ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზას ადგას. ცხოვრებაში უამრავი გზაა; ჭეშმარიტებისაკენ მიმავალი კი – ერთი. მის აღმოსა-ჩენად საჭიროა, დიდი განსწავლულობა და ცხოვრების ღრმა ცოდნა. თუ ერთს 87 პროცენტი ჭეშმარიტების გზაზე დგას, ეს დიდებული საქმეა, მაგრამ თანამედროვე აფორიაქებულ ვითარებაში შეიძლება მოსახლეობის 87 პროცენტი ჭეშმარიტებას გრძნობდეს?! 13 პრო-ცენტი?! – ესეც ბევრია. 1 პროცენტიც არა ცოტა, თუ მოსახლეობის 1 პროცენტიც კი ჭეშმარიტებას შეიმეცნებს, მივიღებთ, რომ ყოველ სოფელში 5-6 ობიექტურად მოაზროვნე კაცი გვეყოლება, რომლე-ბზეც დაყრდნობით საზოგადოება შესძლებს როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური პრობლემების გადაჭრას. გასაკვირი ის არის, რომ ყოველი კაცი იფიცება: ჩემს მიერ არჩეული გზა ობიექტურიაო. მაგრამ „ყველანი მართალს ამბობენ, განა ვინაცა პფიციან?!“ აი ეს არის „წყველა-კრულვიანი საკითხავი“ ჩვენს აფორიაქებულ დროში და გაძვალტყავებულ ქვეყანაში.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
6.11.1991

## 1936 წლი მოძრაობა და „საკარმიდამოს“ კაცები

ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ ასპარეზზე გამოიყენა ერთის მხრივ ჭეშმარიტად ეროვნული, მეორეს მხრივ – „საკარმიდამოს“ კაცები.

ჩვენში კომუნისტურმა რეჟიმმა, რომელიც თითქოს ადამანის კოლექტიურობისათვის იბრძოდა, შეიქმნა არა კოლექტივისტი, არა-მედ ინდივიდუალისტი, რომელიც მუდამ იმის ფიქრშია, თუ ვის რა წაგლიჯოს, ვინ როგორ გამოიყენოს, როგორ აღზევდეს სხვისი დაცემის ხარჯზე. იგი იყენებს დროს, დროის შესაფერისად. წითელი მანდატების გადაყრა სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ საზოგადოება „წითელი ჭირისაგან“ განთავისუფლდა. პირიქით – ის სენი, რომელიც ზოგი კაცის შეხედულებით თითქოს დამარცხებულია, აღზევდა და კულმინაციურ წერტილს მიაღწია. თუ წითელ კანონების მიხედვით სპეცულაცია ისჯებოდა, როგორც კანონსაწინააღმდეგო საქმიანობა, დღეს იგი იურიდიულად თავისუფალია – აქამდა, ერის კეთილდღეობა გვინდაო, ბურჟუაზიის რესტავრაციას ვახდენთო. ბურჟუაზიის რესტავრაცია მურავის ეგონება იოლი პროცესი. ბურჟუაზიამ თავის დროზე ცხოვრების წინა ხაზზე გამოიყენა განსაკუთრებული ადამიანები, რომელსაც შესწევდათ უნარი, დროზე დაყრდნობით პატარა შემოქმედებიდან დიდზე გადასულიყვნენ. გაიხსენეთ, როგორ დაიწყეს მეჯლანუაშვილებმა და ფულავებმა თავიანთა შემოქმედება და როგორ მიაღწიეს მათ საფინანსო კაპიტალის შერწყმას სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო კაპიტალთან. თუ მათ განსაკუთრებული უნარი არ ექნებოდათ, ვერ შესძლებდნენ იმას, რაც გააკეთეს და ცხოვრების ზედაპირზე ვერ წამოტივტივდებოდნენ.

საბჭოური პოლიტიკის პირობებში ფულის მშოვნელებს არ ჩაუბარებიათ ის მკაცრი გამოცდა ცხოვრებისათვის, რაც ბურჟუაზიულ საქმოსანს სჭირდება. თუ კაცი ვინმეს წყალობით „დიდ“ სკამზე დაჯდებოდა, საწყობში ან გამანანილებელ სავაჭრო ბაზებში მოხვდებოდა, მას ფული ისე იოლად მოსდიოდა, რომ ვერც ერთი ბურჟუაზიული ქვეყნის ბურჟუაზიული საქმოსანი ვერ წარმოიდგენს ასე მარტივად ფულის შოვნას.

ახალ დროში მათთვის წინააღმდეგობა საერთოდ აღარ არსებობს და ისინი ცდილობენ მარტივი ოპერაციებიდან გადავიდნენ რთულზე. მათი ფული არ არის დაფუძნებული არც ბურჟუაზიული და არც სოციალისტური ცხოვრების წესზე. იგი უბრალოდ, ქურდობს

ნაყოფია, რომელიც სამართლებრივი სახელმწიფოს კანონის მიხედვით ნაციონალიზებული უნდა იქნას. ხდება პირიქით – გუშინდელი მძარცველები დღეს ცდილობენ ხელში ჩაიგდონ მსხვილი სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციები და აქციონ ერის მიერ შექმნილი საწარმოები თავიანთ მაღალშემოსავლიან „საკარმიდამოებად“.

ეს პროცესი ჩვენში უკვე დაწყებულია კომერციებისა და კოოპერატივების სახით. კომერციული და კოოპერაციული საქმიანობის ძირითადი მიზანი უნდა იყოს ხალხის მოთხოვნილებათა და კულტურულება და არა ცალკეულ პიროვნებათა გამდიდრება, სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მარტივი სპეცულაციის გზით.

კომერციული ვაჭრობა, რომელსაც ჩვენ შევეხეთ წერილში „თანამედროვეობის ეკონომიკური პრობლემები“, კი არის დამახასიათებელი ბურჟუაზიული ბაზრისათვის, მაგრამ მას არასოციალისტურ ქვეყნებში გააჩნია იდეურ-ეკონომიკური საფუძველი. როგორც მოგზაურები მოგვითხრობენ, ევროპის ბაზრებზე ღარიბთათვის ხელმისაწვდომი მაღაზიების გვერდით მუშაობს მდიდრებისათვის განკუთვნილი სავაჭრო ორგანიზაცია, რომელიც ძირიადლირებული საქმინლითვაჭრობს. ჩვენში მდიდარი და ღარიბი კომერციამ ერთნაირი უფლებებით შეაიარალა. ორივეს მისცა იურიდიული უფლება შეიძინოს 2000–მანეთიანი კოსტიუმი, 1200–მანეთიანი ფეხსაცმელი, 25-მანეთიანი სიგარეტი და სხვ.

შენდება საკარმიდამო ეზოებში „საკარმიდამო მაღაზიები“. მათი მფლობელები ობიექტის მომარაგებისათვის თავს არ ზოგავენ: სახელმწიფო სავაჭრო განანილების ბაზებში, თურქეთში, რუსეთში თუ სხვა ქვეყნებში ეძებენ ნაცნობ-ნეგობრებს, ნათესავებს, საქმისნებს, რომ როგორმე მაღაზია მომარაგონ, თვითონაც კმაყოფილი დარჩენენ და მთავრობაც არ მოიმდურონ. რაც შეეხება ხალხის ინტერესებს, მას იგი ვერასდროს გაითვალისწინებს, რადგან სუბიეტურად არ არის ამისათვის მოწოდებული და არც ზევიდან ახსენებს ვინმე. მისთვის მთელი ერი მაღალშემოსავლიან საკარმიდამოდ იქცა, რომელიც მოსწონს და აღმერთებს.

საკარმიდამოს მოწყობის წინააღმდეგი არავინაა, მაგრამ იგი უნდა მოეწყოს ისე, რომ მის მეპატრონეს ხელი შეუწყოს ნამუსიან მუშაობაში, ნამუსიანი შრომით მიღებული შემოსავალი წინსვლის წყაროა როგორც პიროვნებისათვის, ისე მთელი საზოგადოებისათვის, თორემ თაღლითობით, სპეცულანტობით და გაიძვერობით გამდიდრებული ოჯახები ბევრს უნახავს, ერი – არავის.

თუ ადრე „ნითელი პოლიტიკის“ პირობებში სოფლის ვაიმშენებლები იძულებული იყვნენ თავის სახლ-კარის შენებასთან ერთად საზოგადოებრივი საქმეც ეკეთებინათ, რათა თავინთი პოროგება შეენიღდათ, ახლა ამ ნიღაბსაც აღარ საჭიროებენ, რადგან აღარავინ თხოულობს და თუ ასე გაგლელდა, ეროვნული მოძრაობა დავით აღმაშენებლების ნაცვლად საოზგადებას გამოუზრდის „დავით მარტო თავის სახლ-კარმშენებლებს“ და ვაჟა ფშაველების ნაცვლად „ვაჟა ფულის მშოვნელებს“.

მთავრობის კაცები და მათი ფავორიტები გაიძახიან: „გაუძელით, ხალხო, და გეშველებათო“. მაგათ კი ეშველებათ, მაგრამ რიგით მოქალაქეებს რა გზით უნდა დაადგეს საშველი?! – მოთმინებით?! ევროპული რომანტიზმის მამამთავარი ჯორჯ გორდონ ბაირონი ოხვრით გვეუბნება: „ოჟ! მოთმინება, ეგ სიტყვა ხომ მოგონილია სახედართათვის“.

ყველაფერზე ძვირადლირებული ამ ქვეყნად მაინც დრო არის. რა დიდი საქმეც უნდა კეთდებოდეს მომავლისათვის, დღევანდელი დღის უგულვებელყოფა მაინც არ შეიძლება, რადგან მომავლის მშობელი აწყობა და თუ აწყობ არ აიწყო, მომავალზე ფიქრი ფუჭი ოცნება იქნება და სხვა არაფერი.

დღეს რომ ქართველი კაცი ორკაპიკიან „სპირკაში“ 20 კაპიკს იხდის და აიმედებ, მომავალში გაიაფდებაო, ეს დაპირება მას ცხოვრებას ვერ შეუმსუბუქებს და ვერც მომავლის იმედს შთაუნერგავს. ხალხს უთქვამს: „ნუ მპირდები ცაში წეროს, ხელში მომეც ბელუ-რაო“.

მინაწერი: უნდა ვიცოდეთ, რომ მთელი მეცნიერება და ხელოვნება, თავისი პოლიტიკური და იდეოლოგიური კონცეფციებით ზედნაშენია ეკონომიკისა. და თუ ეკონომიკური ურთიერთობანი კაცთა შორის არ დამყარდა ობიექტურ საფუძველზე, ქვეყანა დამესგავსება „ამაოების ბაზარს“, სადაც ადამიანები ვიტალურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ყველაფრით ივაჭრებენ: სინდის-ნამუსით, პატიოსნებით, ინტელექტით, ემოციებით, თანამდებობრივი სარგოებით, ეროვნული და პოლიტიკური იდეებით. ამის სიმპტომები შეუიარაღებელი თვალითაც კარგად ჩანს.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
4.12.1991

## ცხოვრების და განათლების ანაკოლუთი

თანამედროვეობის მეთოდურ გატაცებას ფასიანი სასწავლებლების ფორმირების შესახევ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ენთუზიაზმით შეხვდა. მაგრამ უკვირდებიან კი ისინი მომავალი კადრების უნარს და მომზადების დონეს? ვფიქრობ, რომ ფასიანი სასწავლებლები ქვეყანას შორს ვერ წაიყვანს და იგი მას მოამარა-გებს მხოლოდ დიპლომებით.

ფასიანი სწავლება უზარმაზარ წინააღმდეგობებს წააწყდება, რო-მელსაც ზოგნი კაცნი ან ვერ ამჩნევენ ან არ უნდათ შეამჩნიონ. პირ-ველი დიდი წინააღმდეგობა თვით ეკონომიკაა. საკითხავია, რა საშუა-ლებებით უნდა გადაიხადოს გლეხმა ან პატიოსანმა ინტელიგენტმა 8000 მანეთი წელიწადში?! რამდენი ჰექტარი საიჯარო მინა უნდა გათოხნოს გლეხმა, რომ მხოლოდ ერთ შვილს(ზოგ ბედნიერს ორი, სამი სტუდენტი ჰყავს ერთდროულად) 8000 მანეთი მიაწოდოს წელი-წადში მხოლოდ სწავლის ქირად? სმა-ჭამას, ჩაცმა-დახურვას კიდევ რამდენი სჭირდება, მტერ-მოყვარეს თავისი უნდა, თვითონ მასაც ხომ არსებობა სჭირდება. რა ქნას? იგი ტრაქტორადაც რომ გადაიქცეს, ამ მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას მაინც ვერ შესძლებს.

ზოგი კაცი იტყვის, ვისაც აქვს შოვნის თავი, ის ისწავლის, ისაც არა, დარჩება უსწავლელიო. რომ დავეთანხმოთ ასეთ კონცეფციას, მივიღებთ, რომ ჩვენი ფასიანი სასწავლებლები დაეყრდნობა ავაცო-ბით ნაშოვარ ფულს. ცუდ ბალავერზე დადგმული შენობა მკვრივი და გამძლე ვერ იქნება.

სანამ ფასიან სწავლებაზე გადავიდოდეთ, მანამდე უნდა მო-ვახდინოთ წარმოების პრივატიზაცია, რაც ზედაპირული მსჯელო-ბით მოგვცემს საშუალებას, რომ ადამიანებმა შესძლონ პატიოსანი შრომით შეძენილი ფულით ისწავლონ. მაგრამ თუ საკითხს ღრმად ჩავუკვირდებით, მივიღებთ საწინააღმდეგო შედეგს: ჩაიგდებს ყველა მოქალაქე ხელში წარმოების საშუალებებს და ექნება მოგების სრული გარანტია? ვფიქრიბ, რომ არა. ამ შემთხვევაში ლარიბი კაცის შვილი, თუნდაც დიდად ნიჭიერი, სკოლის გარეშე დარჩება, რაც დააზარ-ალებს არა მარტო მას, არამედ მთელ საზოგადოებას. გამოდის, რომ საქმოსანი კაცი შვილით თუნდაც დაბალი ნიჭით, წინ გადის ლარიბი კაცის ნიჭიერ შვილზე. წრთვნას და ვარჯიშს ყველა ბავშვზე დადე-ბითი შედეგი გმოაქვს, მაგრამ წინააღმდეგობა იმაშია, რომ მდიდარი კაცის საშუალო ნიჭის მქონე ბავშვზე დასახარჯი ენერგია ლარიბი

კაცის უფრო ნიჭიერ ბავშვზე მეტ შედეგს მოგვცემს, რაც საზოგა-დოების წინსვლის სიმპტომი გახდება.

შეიძლება იკითხოს კაცმა, ხომ შეიძება მდიდარი კაცის შვილი უფრო ნიჭიერი იყოს ღარიბისაზეო?! ნიჭიერება ფულის ქონებითა და არქონებით ხომ არ იზომებაო?! – არა. ნიჭიერება ფულით არ იზო-მებოდა და არც არასდროს გაიზომება. უცნაურობა სწორედ ისაა, რომ „ნიჭს ზენა აძლევს მხოლოდ კაცს“ და ვის მისცემს – მდიდარს თუ ღარიბს, ეს მისი ნებაა.

თუ ღმერთი მხოლოდ მდიდრებს დაასაჩუქრებდა ნიჭით, მაშინ საქმე მარტივად იქნებოდა. ფული აქვთ, ნიჭიც მიეცემოდათ და ამ შემთხვევაში მინაზე მონიჭებული მადლი არ დაიკარგებოდა. მაგრამ ღმერთი განაწილების პრინციპს ადამიანისაგან დამოუკიდებლად ახორციელებს და ყველა სიკეთეს ერთზე არ იმეტებს: ან სიმდიდრეს დააკლებს, ან ფორმას, ფიზიკურ ძალას, ან გონებრივ ნიჭს. არის შემთხვევები, როცა ყველა სიკეთეს დააბერტყავს ღმერთი ცალკეულ ადამიანს, მაგრამ ეს შემთხვევით ხდება და იშვიათი შემთხვევების იმედით საზოგადოების ცხოვრება არ შეიძლება.

ახლა, როცა ნაკომუნისტური ქვეყანაში კაპიტალიზმის რესტავრა-ციაზე ფიქრობენ, მთავრობამ უნდა შეძლოს, რომ სწავლების საქმეს თავისი ბიუჯეტით მოუაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბევრი ნიჭიერი ბავშვი დაგვეკარგება, თუ ავტორიტეტები მაინც აამუშავებენ ფასიან სასწავლებლებს, მაშინ ისინი იმ დათმობაზე მაინც უნდა წავიყვანოთ, რომ ბავშვებმა მისაღები გამოცდები ჩააბარონ და დაამტკიცონ, რომ აქვთ მეცნიერებათა საფუძვლების მოსმენის საშუალო უნარი მაინც. ხოლო მაღალი უნარის მქონები, ჩვეულებრივ უნივერსიტეტებში უნდა ჩაირიცხონ და სამსახურშიც უპირატესობა უნდა მიიღონ. რადგან საზო-გადოებას მცოდნე კაცი მეტად აწყობს სამუშაოს შემსრულებლად, ვიდრე ფულიანი. ფეხმოტეხილი კაცის პატრონი ფულიან ექიმს კი არ ეძებს, არამედ კარგ ტრავმატოლოგს, ბავშვის მამა – კარგ მასწავლებელს.

თუ ასე გაგრძელდა და ქმედითი ღონისძიებები არ იქნა მიღე-ბული, მოსალოდნელია სკოლები მთლიანად ფასიან სწავლებაზე გადავიდნენ, რადგან ყველა სანარმო და დაწესებულება უფრო მე-ტად იმაზე ფიქრობს, რომ ხალხის გულის სისხლი სწუნის, ვიდრე წარმოება განავითაროს, საქონლის თვითღირებულება შეამციროს და უბრალო ადამიანების ცხოვრება წინ წასწიოს. ასეთ პირობებში გა-ნათლები მუშაკები თავს გაიმართლებენ იმით, რომ ყველა მწარმოე-ბელი კატასტროფულად აძვირებს თავის ნაწარმს, ხოლო სკოლებში

ათასნაირი ლაპარაკია კატეგორიის მინიჭებაზე, იმ კატეგორიისა, რომელიც სკოლის ადმინისტრაციას უფლებას აძლევს 20 თუ 30 მანეთი მიუმატოს შიმშილისაგან გაძვალტყავებულ მასწავლებელს.

სწავლება სახელმწიფო დაგეგმარების გარეშე არ შეიძლება წარიმართოს. თუ ქალაქს სჭირდება 10 ტრავმატოლოგი, რა საჭიროა მოვამზადოთ 100?! ისინი ხომ უმუშევარნი დარჩებიან. იმუშავებენ სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში? ვერაფერი შეღავათია ქირურგმა ყასაბად იმუშაოს, მასწავლებელმა – ტაქსისტად და ეკონომისტა – ლუდის გამყიდველად.

საქართველოში დიპლომანით გატაცება გამოწვეულია ეკონომიკური საფუძვლით. ამ მიზეზის გამო, რომ არ არსებობს კერძო საკუთრება, ადამიანები გადავიდნენ დიპლომების საშოვარზე. ხედავს რა გლეხი თავის დუხტირ ცხოვრებას, აგზავნის ბავშვს ქალაქში. მისი წარმოდგენით თუ ღმერთმა გაუმართლა და დიპლომი იშოვა, გზა სსნილია იოლი ცხოვრებისაკენ. სინამდვილეში ასე როდია. თუ დიპლომი კაცმა ნამუსიანად გამოიყება, იგი ეკონომიკურად უზრუნველყოფილი ვერ იქნება, რადგან ინტელიგენტის ცხოვრების ეკონომიკური დონე ყოველთვის იყო, არის და იქნება პირდაპირ პროპრიეტული სახალხო მეურნეობის განვიტარების დონისა. ხოლო თუ დიპლომი ავკაცობისათვის გამოიყენა, მაშინ იგი კარგავს არა მარტო ინტელიგენტურ, არამედ ადამიანურ ლირებულებასაც და ამ შემთხვევაში ქვეყნას ეღუპება კაცი, უმრუდდება საქმე და იწყებს გორვას უფსკრულისაკენ.

ისწავლოს კაცმა, რა არის ამაში ცუდიო?! იკითხავს ზოგი კაცი. სწავლაში რომ ცუდი არაფერია და იგი ნამდვილად სიკეთეა, აქ სადაო არაფერია, მაგრამ (ყველაფერი ქვეყნად აწყობილი იქნებოდა, რო ეს მაგრამ არ გაჩენილიყო), საქმე იმაშია, რომ კაცმა ისწავლა ხუთი წელი სამასწავლებლო ინსტიტუტში. ცხოვრება არ მოითხოვს მისგან მასწავლებელს, მოითხოვს, ვთქვათ, აგრონომს, მაშინ მან თავისი ნების გარეშე უნდა მოჰკიდოს ხელი აგრონომიას. არის ასეთი გამოთქმა „სწავლა სიბერემდეო“. სწავლა კი არის სიბერემდე, მაგრამ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რომ ხანდაზმული კაცის სწავლის საფუძველს ახალგაზრდობაში მიღებული ცოდნა წარმოადგენს და თუ კაცმა ახალგაზრდობის წლები გრამატიკას შესწირა და შემდეგ მან აგრონომიას მოჰკიდა ხელი, გამოვა, რომ იგი ვერასდროს გახდება ისეთი აგრონომი, როგორიც უნდა გამხდარიყო, თუ თავიდან ამ საქმეს მოჰკიდებდა ხელს.

დიპლომი არ უნდა იყოს მოდა. მისმა გამცემმა მკაცრად ინდა გაიანგარიშოს, თუ სად და რა საქმეზე სჭირდება მისი მფლობელი საზოგადოებას. წინააღმდეგ შემთხვევაში საქმე გვექნება ზედმეტ სპეციალისტებთან, რომელთა მომზადებაზე დახარჯული დრო, ფული და ენერგია ნაყოფს ვერ გამოიღებს, ხოლო უნაყოფობისათვის ცხოვრებას არც არასდროს ეცალა და ვერც ვერასდროს მოიცლის.

უმაღლესი სკოლების შევსებისას უნდა დავეყრდნოთ თავისუფალ კონკურსს, რომელიც დაზღვეული იქნება ყოველგვარი სტაჟის, კაიმამიშვილობის, ფულის, მედლის და სხვა გავლენებისაგან. პრივილეგია აბიტურიენტმა უნდა მოიპოვოს ტოლებთან ჭიდილში, დაფასთან. ჩაირიცხოს მხოლოდ ის, ვისაც ნამდვილად ექნება საფუძვლიანი საშუალო ცოდნა, სურვილი და უნარი უმაღლესი განათლების მიღებისა. თუ გვინდა, რომ ჭეშმარიტად მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებთან გვქონდეს საქმე.

სკოლამდელი და დაწყებითი განათლების საქმე ყოველ შემთხვევაში დამაკმაყოფილებლად გამოიყურება. დაწყებითი კლასებიდან მიღებული ინერცია მე-5-6 კლასებში კიდევ იგრძნობა. ხოლო შემდეგ?!... შემდეგ მე-7 კლასიდან გამოიყოფა რამდენიმე კაცისაგან შემდგარი აქტივი, რომელიც ინტელიგენციის მომავალი შევსების ბაზაა, ხოლო დანარჩენები კი დადიან სკოლაში ტყუილად, ხევენ მამასისხლად ნაყიდ შარვლებს, ხელს უშლიან სასწავლო პროცესის სწორად წარმართვას. ზოგ მათგანს შესაძლებელია ჰქონდეს რაიმე საქმის განსაკუთრებული ნიჭი, მაგრამ მიმხედავი არავინაა, რადგან ჩვენი სკოლა მთლიანად დაყრდნობილია გრამატიკაზე, მათემატიკაზე და ის თანდაყოლილი ნიჭი, რომელიც მას შეიძლება ხელოსნობაში ჰქონდეს, ყურადღების გარეშე რჩება და ჩლუნგდება. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩინა, რომ მე-7 კლასიდან სპეციალსიტებმა მოგვცენ თითოეული მოსწავლის დახასიათება, თუ ვის რა საქმეში აქვს განსაკუთრებული უნარი. ერთნაირი უნარით დაჯილდოებული ბაკვები ვამეცადინოთ ერთად და დავტვირთოთ ძირითადად იმ საქმით, რომელსაც იგი უფრო ახლობლად იგრძნობს, რომელსაც შეიყვარებს და რომლითაც საზოგადოებას მეტ ნაყოფს მისცემს.

თუ ეს ასე არ გაკეთდა, საქმე გვექნება არა ჭეშმარიტად ნაყოფიერ შემოქმედებასთან, არამედ დანაიდების შრომასთან.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
24.12.1991

## ეროვნული მოძრაობის ინტერარეტაცია

„თუ ერს ქონება შეძენილი არა აქვს და მის გამდიდრების გზაზე არა სდგას, იგი ღონებიხდილი ლომია, უხორთუმო სპილოა იმ მწვავე და დაუნდობელ ომში, რომელსაც არსებონისათვის ბრძოლას ეძახიან“

ი. ჭავჭავაძე

„სხვისი იმედით მცხოვრები ბრიყვი იქნება ტიალი“  
ვაჟა-ფშაველა

ყოველი არსება ცდილობს შიენარჩუნოს პირვანდელი სახე და შინაარსი, რომლითაც იგი ღმერთმა გააჩინა, რომლითაც იგი სხვა არსებებისაგან განსხვავდება.

დიდი იმპერიების იდეოლოგები ყოველთვის ცდილობდნენ, რომ მპყრობელ ერში გაეთქვიფათ იმპერიაში შემავალი პატარა ერები და ამ საშუალებებით შეექმნათ ზესახელმწიფო თავისი კულტურით, ტრადიციებით, ეკონომიკით და იდეოლოგიით.

ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ დაიწყო ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში, როცა რუსეთმა დაიწყო სქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევა. 1832 წელს იყო მცდელობა რუსეთისაგან საქართველოს გამოყოფისა. როგორც ვიცით, ეს შეთქმულება კრახით დამთავრდა. დამთავრდა იმიტომ, რომ ქართველებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ მყარი წიადაგი მომზადებული, რომელსაც ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა უნდა ეყრდნობოდეს: 1. არ იყო ერთსულოვნება ერში ამ მოძრაობისადმი. 2. რუსეთის იმპერია აღმავალი გზით მიდიოდა და იგი არავითარ შემთხვევაში ამიერკავკასიაში თავის პოზიციებს არ დათმობდა.

„აქტი გონიერის“ დამარცხების შემდეგ ილია ჭავჭავაძე იწყებს იდეოლოგიურ ბრძოლას რუსეთის თვითმმართველური პოლიტიკის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ბრძოლა შემოიფარგლებოდა ქართველი ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ზრუნვით.

ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ქართველმა მენშევიკებმა შეძლეს საქართველო რუსეთისაგან გამოყოთ, მაგრამ ამ გამოყოფამ დადებითი შედეგი ვერ გამოიღო იმიტომ, რომ წითელი რუსეთის იმპერია, რომელიც აღმავალი გზით მიდიოდა, ყოველდღიურად აფართოებდა თავის საზღვრებს და მარტომდენ თავის მეზობლებს კი არა, მთელ მსოფლიოს ჩაყლაპვით ემუქრებოდა.

ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსი, თვითონ უნიათო, საქართველოს დაცყრობას წითელი რუსეთის მიერ ნოე უორდანიას უნიათობას აპრალებს. იმდროინდელ საქართველოს რუსეთისაგან ალექსანდრე მაკედონელის თავიც ვერ გადაარჩენდა. ვერ გადაარჩენდა იმიტომ, რომ გარემოება ქმნის მდგომარეობას. ასე, რომ ნოე უორდანიას ამბოხი იმთავითვე განწირული იყო დასაღუპავად.

ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობას ნაყოფიერი ნიადაგი ექმნება მხოლოდ იმპერიის კვდომის პროცესში. თუ მსოფლიო იმპერიამ თავისი დრო არ მოჭამა და შინაგანი ლპბობა არ დაიწყო, გარედან მისი განადგურება შეუძლებელია. თუ გადავხედავთ დიდი იმპერიების ისტორიას, დავრჩნებით, რომ ისინი მაშინ იწყებენ კვდომას, როცა შინაგანად გაიხრწებიან, ხოლო გარედან მის კვდომას ხელს უწყობს ცალკეული ერების სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ.

რუსეთის იმპერიის გარდაუვალი დაშლა, რაც კარგა ხანია მეცნერულად დადასტურდა, იძლეოდა საფუძველს იმისას, რომ პატარა ერებს გამუდმებით ეზრუნათ მისი დაშლისათვის. ეს ზრუნვა უნდა გამოხატულიყო: 1. მპყრობელ ერს განმარტებოდა იმპერიის ანტიდემოკტატიული ბუნება. 2. არ დაშვებულიყო ერთა შორის დაპირისპირებანი. 3. განმტკიცებულიყო შიდადემოკრატიული წყობა, რომლის გარეშე ახალი ცოვრების შენება არ შეიძლება. 4. შექმნილიყო ეკონომიკური საფუძველი ერის დამოუკიდებლობისათვის. 5. დაენახვებინათ მსოფლიოს ხალხებისათვის, რომ მათ სურვილი ჰქონდათ და უნარიც შესწევდათ დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნისა.

ზემოთჩამოთვლილი პუნქტებიდან, შეიძლება ითქვას: პირველი პუნქტი სრულდება დამაკმაყოფილებლად, რაც შეეხება მეორე საკითხს, აქ ზოგიერთ ერს დიდ სირთულეებთან შეექმნა საქმე. შევეხოთ საკუთრივ საქართველოს ბედს: ოსები ქართლის მიწაზე ხმამაღლა გაჰყვირიან, ჩვენიაო. არ გამოჩნდა ინტელექტუალური ძალა, რომელიც მათ დაუმტკიცებდა, რომ ქართლის მიწა ჩვენია და ჩვენს მიწაზე მცხოვრები ხალხი ვალდებულია შეასრულოს ჩვენი დემოკრატიული მოთხოვნები. აქ ვვარდებით იმ წინააღმდეგობაში, რომ მიწაზე არსებობს საკუთრების ორი ძირითადი ფორმა: 1. როცა მიწას პატრონი ჰყავს და მისი უფლებები ვრცელდება მასზე. 2. როცა მიწა ეკუთვნის იმას, ვინც მას ამუშავებს. ოსებს, რა თქმა უნდა, მეორე პუნქტი უფრო ანუყობთ. თუ როგორ გადაწყვეტი გაერო ამ საკითხს, ეს მომავლის საქმეა, მაგრამ დღეს კი ცხადია, რომ თუ მას ჩვენ ცივილიზებულ ხალხად დავანახებთ თავს, საკითხი

ჩვენს სასარგებლოდ გადაწყდება. ხოლო თუ (ლმერთმა დაგვიფაროს) „ტუზემცებად“ გვცნეს, მაშინ წავაგებთ.

რაც შექება საქართველოში მცხოვრებ სხვა ერებს, ისინი, როგორც კი დაინახავენ ჩვენს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისუსტეს, მაშინვე დაიწყებენ სწრაფვას, რომ თავიანთ ან უფრო ძლიერ ერებს შეუერთდნენ.

მესამე პუნქტში მოხსენებულმა საკითხმა, დიდი განხეთქილება შეიტანა ერში. პარლამენტური თუ კონგრესული გზა? – იყო დასმული კითხვა. ეს კითხვა გვაგონებს ჯონათან სვიფტის რომანს, რომელშიც ლილიპუტების იმპერატორი მეზობელ სამეფოს ეპრძვის იმ მიზეზის გამო, რომ იმპერიის კანონის მიხედვით კვერცხი წვერიდან უნდა გატყდეს, ხოლო იმ სამეფოში მას ფსკერიდან ტეხავენ.

ისტორიკოსებისათვის უნდა მოგვეთხოვა ცნობები იმის შესახებ, თუ რომელი გზით თავისუფლდებოდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კოლონიური ქვეყნები და რომელ მხარეზეც უპირატესობა აღმოჩნდებოდა იმ გზას დავადგებოდით. ეს გზა ერთი შეხედვით განვლილი ჩანს, ჩვენს ჩხუჭში სსრ კავშირი ფორმალურად დაიმაღა. მაგრამ ეს დაშლა თვალთმაქცობაა და სხვა არაფერი, რადგან ეკონომიკური მთლიანობა იმპერიისა შენარჩუნებულია, ხოლო ეკონომიკური დაქვემდებარებანი გამოიწვევს ხელახალ ცენტრალიზებულ მართვას.

მეორე პუნქტში აღნიშნული საკითხი ყველა ჩამოთვლილზე უფრო მტკიცენულია. იმპერიის ეკონომიკა ისე შეუგვირისტებია ფოლადის თითებს ერთ მთლიანობაში. რომ მისი დაშლა ძალიან დიდ ნიჭს და სიფრთხილეს მოითხოვს. საუბედუროდ, ერის დამოუკიდებელ ეკონომიკაზე, წითლების ბატონობის პერიოდში, არავის უზრუნვია. იგეგმებოდა რესპუბლიკაში ათასგარი საწარმოები, რომელთა მომარაგებას ათობით ქალაქი სჭირდებოდა. როგორც უკვე ითქვა, ფოლადის ხელმა ისეთნაირად შეაგვირისტა მთელი იმპერიის ეკონომიკა, რომ მისი დაშლა არავის შესძლებოდა. მართალია, ქვეყნად შეუძლებელი არაფერია, მაგრამ მისი, როგორც მთელის, დაშლა დიდ გაჭირვებაში აგდებს იმპერიაში შემავალ ხალხებს და უარესში ჩააგდებს. თვით რუსეთიც, რომელიც თითქოს სხვებზე იოლად უნდა გამოდიოდეს მდგომარეობიდან, ისეთსავე გაჭირვებაშია, როგორშიც მასზე დაქვემდებარებული ერები, ფოლადის ხელით შეგვირისტებული „საქმის“ დაშლა აუცილებლად მოთხოვს დროის გარკვეულ მონაკვეთში ეკონომიკურ შეთანხმებას იმპერიაში შემავალ ერებს შორის, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი გაძვალტყავებული

ეკონომიკის ძვალი და ტყავი ცალ-ცალკე წავა, ასე, რომ ჩვენი წე-რილის ეპიგრაფი ერთნაირად არგია იმპერიაში შემავალ ყოველ ერს – დიდსაც და პატარასაც.

რაც შექება ზოგი კაცის შეხედულებას – არ გვინდა არავინ, ჩვენ ჩვენით ვიცხოვრებთ, სხვებისაგან იზოლირებულადო – მათ გასაკუ-ვევად უნდა მოვიშველიოთ ილია ჭავჭავაძე (ის ილია, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით, მსოფლიოს პრეზიდენტად გამოდგებოდა), რომელიც გვასწავლის, რომ „ხშირად მდაბიო ხალხი გატაცებული ფანტაზი-ის აღმაფრენით, დაჰხარის ისეთს საგანს ან მოვლენას, რომელიც ძირულად ეწინააღმდეგება ცხოვრების სიკეთესა და ცრუმორწმუ-ნებაზედ არის აშენებული“.

როცა ხალხზე ვლაპარაკობთ, საჭიროა ძალზე სათუთად მივუდ-გეთ ამ საკითხს. ხალხი თავის თავში ყველაფერს შეიცავს: სიბრძნე-საც და სირეგვენესაც, სიკეთესაც და ბოროტებასაც, კონფორმიზმ-საც და მეამბოხეობასაც, ხალხში ყოველთვის გამოჩნდებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც გარკვეულ პირობებში გამოსავალ გზებს აღმოაჩენენ და საზოგადოების შეგნებულ ნაწილსაც გაიყოლიებენ. მაგრამ რა ეშველება ბრძოს? ეს ხომ დროის გარკვეულ მონაკვეთში გადაულახავი წინააღმდეგობაა. იგი თაყვანის მცემელია იმისა, ვინც წინა ხაზზე დგას მის თვალში. ომარ ხაიამი ჯერ კიდევ 9 საუკუნის წინ წერდა: „ამ ყოყლოჩინა სახედართა მთელი ნაღები ფუყე დოლია, მაღალი ხმით ყურის წამლები და თუ სიდიდე მოიპოვე მზად არის ყველა, შენს განუსაზღვრელ მონობაში ცვითოს წაღები“.

მართალია ბრძო არ არის და არც შეიძლება იყოს ორგანიზებუ-ლი, მაგრამ დროის მცირე მონაკვეთში იგი დიდ ძალას წარმოადგენს. იგი პროგრესულად მოაზროვნე ადამიანების ფიზიკურ განადგურე-ბასაც არ ერიდება, ხოლო მისი მოპირდაპირე საპასუხო დარტყმას მასზე ვერ კისრულობს. სწავლულები იმისათვის ხომ არ ატრიალებენ მძიმე წიგნებს, რომ ითქვას: „უცებნი მოისრნა სწავლულთა სწავლა-მან ხელოვნებამან“. უვიცობისათვის რომ ადამიანების გაანადგურო და ამ ქვეყნად დაუსჯელი დარჩე, „იქ რას ეტყვი მაღალ ღმერთსა!“

პროგრსულად მოაზროვნე ძალებს მხოლოდ ერთთი საშუალება გააჩნიათ ბრძოსთან საომარი. ეს არის სიტყვა – აზრი. მსჯელობისა და დაკვირვების საშუალებით მოაზროვნე კაცი ნელ-ნელა აკლებს ბრძოს თავის წევრებს და გადმოჰყავს ისინი შეგნებულთა ბანაკში, ხოლო მცირეციხოვანი ბრძო ბრძოლას ვეღარ ბედავს. ეგუება და დებულობს საზოგადოების შეგნებული ნაწილის მოთხოვნებს.

ისეთი მრავალფეროვანი სახელმწიფო, როგორიც საქართველოა, აუცილებლად უნდა დაეყრდნოს ეროვნულ დემოკრატიას. რესპუბლიკაში ყველაფერი უნდა აქციებს ერთს დემოკრატიული მოთხოვნების შესაბამისად, რომელიც დაეყრდნობა ერში შემავალი ცალკეული მხარეების თვითმმართველობას. მაგრამ თვითმმართველობამ არ უნდა მიგვიყვანოს პარტიკულაციამდე, რომ მხარე მხარეს მოსწყდეს და საკუთარ ნაჭუჭში ჩაიკეტოს. მხარეთა და სანარმოთა თვითმმართველობა აუცილებლად უნდა გულისხმობდეს ურთიერთშორის თანამშრომლობასაც.

ერში შემავალი მხარეები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან გარკვეული თვისებებით, მაგრამ მაინც ერთმანეთს ჰგვაან. მათ შორის ყოველთვის მეტია მსგავსებანი, ვიდრე განსხვავებანი და მართვის საქმეში გათვალისწინებული უნდა იქნას ორივე ფაქტორი. ისე უნდა მოხერხდეს, რომ ეს მსგავსებანი და განსხვავებანი არ მოიშალოს, თორემ მათი მოშლა ერთნააღმდეგება ეროვნული დემოკრატიის პრინციპებს. როგორც მთლიანად სამყარო, ისე ერიც თავისი მრავალფეროვნებითაა ლამაზი. სვანს სვანური ენა და ზე-ჩვეულებები იმდა შევუნარჩუნოთ, მეგრელს – მეგრული. თუ ამას ასე არ გავაკეთებთ, მაშინ საქმე გვექნება არა ეროვნულ, არამედ დიდმბყრობელ პოლიტიკასთან და ადარ გვექნება ცხოვრება „უთვალავი ფერითა“.

დღეს ბევრი ლაპარაკია იმის შესახებ, რომ დიდი ერები იმსგავსებენ სხვა ერებს. არ ქინება სწორი, რომ მარტო დამსგავსება დავინახოთ და განსხვავება არა. თვითონ ამერიკული დიალექტი ისე განმსგავსდა ინგლისური ენის სხვა დიალექტიკებისაგან, რომ მოსალოდნელია მისგან შორეულ მომავალში ცალკე ენა ჩამოყალიბდეს.

ეროვნულ დემოკრატიას პარტავს ძალზე ფაქიზი მიდგომა პოლიტიკისადმი. თუ იგი ნაციონალურ სოციალისმს დაეყრდნო, ფაშიზმში გადავარდება, თუ – ინტერსოციალისტურს – კომუნიზმის ბრჭყალებში აღმოჩნდება. მან თანაბრად უნდა იზრუნოს ერის თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და ინტერნაციონალური კულტურის ირგვლივ, ისე, რომ ეროვნულმა ინტერნაციონალური არ დააზარალოს და ინტერნაციონალურმა ეროვნულა.

ეროვნული მოძრაობის ლაიტმოტივი უნდა იყოს ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვა, რაც იმპერიაში შემავალი ერების ვერც ერთმა მთავრობამ ვერ უჩევნა. პირიქით, დაინია როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის დონემაც. ეს უნდა მივაწეროთ იმას, რომ იმპერიაში შემავალი ხალხები იმპერიის დაშლას სრულიად მოუმზადებელნი შეხ-

ვდნენ. რევოლუცია ზევიდან დაიწყო. მისი დამწყები თვით მიხეილ გორგაჩოვია. მისი სურვილი იყო იმპერიის გარდაქმნა კომუნისტური პარტიის სასარგებლობა. ხოლო სხვა პარტიების და მოძრაობის შესახებ მას არ უფიქრია. 80-იანი წლების მეორე ნახევარში ტაშკენტში დასმულ კითხვაზე: შეიქმნება თუ არა კომუნისტური პარტიის გვერდით სხვა პარტიები? მან ასეთი პასუხი გასცა: „არა, კომუნისტურ პარტიას შესწევს უნარი უხელმძღვანელოს ხალხებსო“. იმავ წლებში მთელ იმპერიაში შეიქმნა კომუნისტებთან დაპირისპირებული ათობით პარტია და საზოგადოება, რომლებსაც აერთიანებდათ კომუნიზმის სიძულვილი. მაგრამ როგორც კი კომუნისტებმა მონინავე პოზიციები დასთმეს, თითქოს დავმარცხდით, ისინი დაერივნენ ერთმანეთს და ხალხები აშკარად დააყენეს სამოქალაქო ომის საშიშროების წინაშე. ეს ყველაფერი პოლიტიკური მოუმზადებლობის ბრალია.

კონსტანტინე გამსახურდია წერდა: „უნიჭო მომრერლები ბლავიან და ხავიან, ხოლო მომღერალთა შორის ისეთნი, რომელთაც ბულბულისებური ყელი აქვთ, პიანისსიმოს მღერიან“.

რესპუბლიკის ეკონომიკა მოშლილია. იგი უკან მიგორავს, და თუ დროულად ვერ მიეხედეთ, უფსკრულში გადაიჩეხა. ვნახოთ, რას მოგვიტანს მინის პრივატიზაცია. რაც შეეხება ფაპრიკა-ქარხნების პრივატიზაციას, იგი გარკევულ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტს შეავსებს, მაგრამ როგორ მომართავენ წარმოებას ნაკომუნისტარი კაპიტალისტები? ამის განსტრუქტა ძნელი არ არის. წინასწარ შეიძლება ითქვას, რომ ისინი საქონლის თვითლირებულებას ვერ შეამცირებენ, რადგან კერძო წარმოების პირობებში არ მოხდება ის, რაც სოციალისტურ საზოგადოებაში ხდებოდა: ტონას გამოიწრდი და ხუთი „ლევი“ წამოყობოდა „კაი ბიჭობის“ გულისთვის.

ბევრს იმედის თვალი უჭირავს უცხოელ კაპიტალზე. უცხოელებთან თანამშრომლობას დავიწყებთო. მაგრამ იმას კი აღარ უფიქრდებიან, რა თანამშრომლობა შეუძლიათ წითელ სკოლადამთავრებულ „კომსომოლებს“ ამერიკელ და იაპონელ ბიზნესმენებთან.

ევროპის ქვეყნებში შეიძლება გამოიყენონ ჩვენი ბუნებრივი სიმდიდრენი, რა თქმა უნდა თავიანთ სასარგებლობა, და ნაწილობრივ მუშახელიც (შავ სამუშაოზე), რადგან ჩვენი მექნიზატორები ევროპელი პლანტატორების და მექარხნეების მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებენ.

გაიხსნება ახალი სკოლები და უნივერსიტეტები, რომლებშიც ევროპულ ენებზე დაიწყებენ სწავლებას. დაიწყება ხელახალი ბრ-

ძოლები ამჯერად არა გარუსების, არამედ გაევროპელების წინააღმდეგ. თუ ეს არ გვინდა, რომ ასე მოხდეს, ახლავე უნდა ჩავუყაროთ ცხოვრებას ეროვნულ-დემოკატიული საფუძველი.

მთელი ჩვენი პოლიტიკა ბოლო წლებში შემოიფარგლა კომუნისტების გინებით. კომუნისტები რომ საგინებელი არიან, ამაში ვერავინ შეგვედავება, მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი დოზა. ნაკლის გამოქექვა კი არის საჭირო, მხოლოდ იმ მიზნით, რომ იგი გამოასწორო და არა იმისათვის, რომ გული მოიფხანო. ფხანა, როგორც ილია ჭავჭავაძე ამბობდა „ქეციანის საქმეა“. თუ ქეცი შეგვეყრება, მედიცინას უნდა მივმართოთ და არა პოლიტიკას. იმდენი აზრი მაინც უნდა ვიქონიოთ, რომ გავიგოთ ვის ვადგავართ მხრებზე?

ჯერ-ჯერობით იმპერიაში შემავალი ახალი მთავრობები სოციალისტურ საფუძვლებზე დგანან და თუ სადმე შეცვალეს ეს საფუძვლები (ცოტათი მაინც), დადებითი შედეგი არ გამოჩენილა.

დემოკრატიას გაცილებით უფრო რთულ მდგომარეობაში უხდება მუშაობა, ვიდრე კომუნისტებს უხდებოდათ და ეს სირთულე პირელ რიგში ადამიანია. თუ ოქტომბრის რევოლუციამდელ ადამიანს ჰქონდა ზნეობრივ-რელიგიური ნორმები, სწამდა კაციც და ღმერთიც, იცოდა, უმცროსიც და უფროსიც, დღეს კი ეს ნორმები დარღვეულია და ადამიანებს შემოჩათ მხოლოდ ურნმუნოების, ურთიერთმოტყვილების, პირფერობის, მლიქვნელობის, ძლიერისადმი მორჩილების და სუსტის დაჩაგვრის უნარი. თუ სადმე შემორჩა პატიოსნება და კაცურ-კაცობა (ცოტათი მაინც), იგიც დაგველუბება თუ ახლავე არ მივხედეთ მზრუნველი თვალით. ქვეყანა ბაირონის სიტყვით რომ ვთქვათ, გადაიქცა გაუმარგლავ ყანად, „რაშიც ხარობს მხოლოდ ღვარძლი, ცუდი ბალახი“.

ამაოდ ცდილობენ ჩვენი თავკაცები „კომუნიზმის მშენებლებს“ ევროპული შაბლონები მოარგონ. ისინი თავიანთ გულში არ ჩაგახედებენ, როგორ გინდა რომ მათ სურვილზე და პოლიტიკურ შეხედულებებზე იმსჯელო. ჯუმბერ პატიაშვილი ამბობდა: „არც ერთი ხალხი ისე პასიური არაა პოლიტიკაში, როგორც ქართველიაო“. პოლიტიკურად პასიური ხალხი იოლად იძლევა არჩევნებში 99 პროცენტს. მაგრამ ეს პროცენტები არ ნიშნავს იმას, რომ ხალხმა თავისი შეხედულებები აღიარა, უსამართლო ქვეყანაში აღზრდილმა ადამიანმა არაფერი რომ არ იცოდეს, ის მაინც ბრწყინვალედ ეცოდინება, რომ „სიმართლის მთესველს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდეს“.

ჯერ კიდევ 1847 წელს გაზეთი „კავკაზი“ წერდა: „ტბილისი, ...

ერთგვარი იანუსია, რომელიც ერთი სახით აზისაკენ არის მიმართული, მეორით ევროპისაკენ“.

კომუნისტების სიძულვილით ზოგიერთმა ქართველმა რუსეთი შეიძულა, ეს სიძულვილი მოკლებულია ობიექტურ საფუძველს. შენ, რომ რუსი ყაჩაღი არ მოგწონდეს, ამისათვის რუს გლეხს ნუ შეიძულებ.

დღეს ვინც რუსეთისაკენ იყურება ერის მოლალატეს ეძახიან, არც ეს არის სწორი. ქართველებში ოდითგანვე იბრძოდა ორი დიდი მსოფლმხედველობა საგარეო პოლიტიკის საქმეში აღმოსავლურ-მაჰმადიანური და დასავლეთური ანუ ქრისტიანული. ბიზანტიის იმპერიის დაშლის შემდეგ ახლო მეზობლებში ქრისტიანული კულტურის ძლიერ დამცველად ქართველებმა რუსეთი დაინახეს. ამ მსოფლმხედველობის დამცველი და ცხოვრებაში გამტარებელი შეიქმნა მეფე ერეკლე მეორე. ცარიზმა დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატით გათვალისწინებული ხელშეკრულება. რუსების ხელში ქართველი ხალხი ავად თუ კარგად ფიზიკურად მაინც – გადარჩა. ხოლო მუსულმანების ხელში მოსალოდნელი იყო იგი ფიზიკურად განადგურებულიყო. ჩვენმა ისტორიამ უმარავი მაგალითები იცის იმისა, რომ ქართველები უფრო იოლად თანხმდებოდნენ წამებით სიკვდილზე, ვიდრე გათარებაზე.

რეფერენდუმში ერეკლე მეორისეული მსოფლმხედველობა თითქმის არ გამომჟღავნებულა, ამდენად ხალხის გარკვეულმა ნაწილმა არ აღიარა თავისი შეხედულება. მაგრამ „კაცმა რა გინდ ბევრი მალოს, ჭირი თავს არ დამალავს“. ანტირუსულ მოძრაობას დიდად შეუწყო ხელი რუსეთში ფასების კატასტროფულად ზრდამ. მაგრამ როგორც კი რუსეთი ეკონომიკურ კრიზისს თავს დააღწევს, „რუსისტთა“ მოძრაობა, რომელიც ახლაც საქმაოდ ძლიერია, კიდევ უფრო გაძიერდება.

დღეს, როცა დგება საკითხი მუსლიმანთა გაერთიანებისა, მოსალოდნელია რუსეთმოძულებებმა ამ კავშირისაკენ უბიძგონ საქართველოს, რაც კიდევ ერთხელ არევს ისედაც აწენილ შინაპოლიტიკურ მდგომარეობას. ჯერ კიდევ მღერიან ჩვენში, „ხარობდეს საქართველოი, თათარი დაუმარცხოს“.

სრული დამოუკიდებლობა, რაც ერთი ქვეყნის იზოლირებით გამოიხატება სხვა ქვეყნებიდან წმინდა სისულელეა და სხვა არაფერი. ამას ვერც ერთი ქვეყანა გაუძლებს.

აქ არავინ იფიქროს თითქოს ავტორი კოსმოპოლიტიზმის ჭაობში

ითრევდეს ერს – არა. მე წინაარმდეგი ვარ როგორც შოვინიზმისა ისე კოსმოპოლიტიზმისა. მაგრამ აქვე უნდა შევრიგდეთ იმაში, რომ საჭიროა, ეროვნულისა და ინტერნაციონალურის ერთმანეთთან ისე მორგება-მორიგება, რომ მათ ერთმანეთი არ დააზარალონ. რა დაინახა ხალხმა ეროვნულ მოძრაობაში? – რუსების, და კომუნისტების ლანდვა-გინება, განუწყვეტილი ქილიკაობა ოფიციოზსა და ოპოზიციის შუა, დემონსტრაციები ბარიკადები, საარტილერიო ზალპების მოქმედების შედეგი მისთვის უსაყვარლეს პროსპექტზე, მრგვალი იჯარა, სპეკულაცია, ყაჩალობა, სრული განუკითხაობა და ლოზუნგები „გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს“, „ძირს რუსეთის დამპალი იმპერია“ და სხვ.

რა გზები არსებობს დღეს საქართველოს გადასარჩენად?! „გამოიკეტა ნუუკ კარები და არსით არის გამოსავალი?!” არ არსებობს ისეთი მდგომარეობა, რომელსაც თავისი გამოსავალი გზა არ ჰქონდეს და თითოეული ადამიანის მოვალეობაა ეძებოს შეძლებისდაგვარად ერის გადასარჩენი გზები.

ჩვენ კი საჭიროდ მიგვაჩინა: 1. მოხდეს იმ უზლვავი სიმდიდრის ნაციონალიზაცია, რომელიც მსხვილმა კომუნისტებმა მოიტაცეს სოციალიზმის მშენებლობის პროცესში. 2. მოხდეს მიწებისა და ნარმოების საშუალებათა პრივატიზაცია. 3. განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოებას. 4. მთავრობამ ერთნაირად იზრუნოს როგორც სახელმწიფოს, ისე გლეხის ხაზინაზე. 5. პრივატიზებული სანარმოები შეისყიდონ თვით ამავე წარმოების აქციონერებმა კრედიტებით. 6. სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ყუადღება უნდა მიექცეს მემარცვლეობის განვითარებას. ჯერ-ჯერობით მაქსიმალურად უნდა ავითვისოთ ნახევრად დამუშავებული და გაყამირებული მიწები. ვფიქრობთ, რომ მათ ათვისებამდე რამე საშველი გაჩნდება მარცვლის შემოტანაზე და მრავალწლიანი ნარგავების აჭრა არ დაგვიტირდება. 7. საქართველო თავდაცვის მიზნით უნდა შევიდეს რომელიმე სამხედრო ბლოკში. წინააღმდეგ შემთხვევაში სამხედრო ხარჯები წელში გასწყვეტს ისე-დაც შიმშილით გაძვალტყავებულ ერს. 8. აუცილებლად გაიმიჯნოს კანონმდებელი, აღმასრულებელი და სამართალდამცავი ორგანოები. 9. შენყდეს ყოველგვარი სპეკულაცია. 10. განსაკუთრებული გულისხმირებით უნდა იქნას შესწავლილი ნაკომუნისტარი კადრები, რომლებიც ეროვნულ მოძრაობას შემოუერთდნენ. 11. ეკლესიები, მეჩეჩები და სინაგოგები განთავისუფლდნენ ყოველგვარი პარტიული

დიქტატისაგან და ემსახურონ მხოლოდ თავიანთ წმინდა საქმეს. 12. შენყდეს ქართველი ემიგრანტების ლანძღვა-გინება, რასაც მხოლოდ ზიანის მოტანა შეუძლია. 13. აუცილებლად უნდა მოხდეს სასკოლო რეფორმა. 14. აუცილებლად უნდა შევებრძოლოთ კრიმინალურ დამნაშავეობას. განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა დაისაჯონ კაბინეტებში მოკალათებული მრგვალბეჭდიანი დამნაშავენი, რამეთუ „სწავლულთა და მეცნიერთა ცოდვანი უმძიმეს არს უსწავლელთა და უმეცართა“, ასე რომ დამბაჩიან დამნაშავეებთან ერთად უნდა მოკალათდეს მრგვალბეჭდიანი სატანაც: თუ გვინდა, რომ ერი ზეობრივი დაღუპვისაგან ვიხსნათ.

**მინანერი:** სტატია დაწერილია დეკემბრის თვის პირბეჭ ნახევარში, ამიტომ მასში თბილისში მომხდარი ამბოხი განხილული არაა.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
29.01.1992

## რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობისათვის

„ვითათბიროთ ვითა ვქნათ, ან გამორჩევა ძნელია“.  
**შოთა რუსთაველი**

დიდი ხანია რუსეთი გავლენას ახდენს არა მარტო კავკასიაზე, არამედ მსოფლიოს პოლიტიკურ რუსაზე.

„პერესტროიკამ“ ერთგვარი საშაულება მისცა რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხებს, გაეხედათ პროტესტის გამოთქმა მპყრობელი ერის წინაშე. ყველაზე გაძედული, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ აჩქარებული ნაბიჯი საქართველომაც გადადგა.

მწერალი მიხეილ ჯავახიშვილი წერს: „ტურას კაცმა პირდაპირ უნდა შეუტიოს, ხოლო ლომი ჯერ უნდა გააბას და შემდეგ შეუტიოს. რუსეთის მთავრობა ლომია, მასზე პირადპირი შეტევა დაგვლუპავსო“.

რა გააკეთა საქართველოს მთავრობამ რუსეთის გასბმელად? – არაფერი. ჩვენს „წითელ“ მთავრობას აზრადაც არ მოსვლია, რომ დადგებოდა დრო, საქართველოს რუსეთიდან გამოყოფისა. ამიტომ არც რაიმე წინასწარი ღონისძიება არ გაუტარებია. ჩვენი მრეწველობა, დაგემილი იმპერიის ინტერესების შესაბამისად, გაჩერდა და მისი ამოძრავების შანსი არ არსებობს. ხოლო იმედებით კუჭი არ იკვებება.

გონიერი მთავრობა, სანამ ხალხი რუსეთის წინააღმდეგ ხმას

აიმაღლებდა, შეეცდებოდა გადაეყვანა თავისი მრეწველობა საკუთარ ნედლეულზე. ამის ნებას არ მოგვცემდნენო, იტყვიან მავანნი, ვერც ხელებს შეგვიკრავდნენ, თუ თავით ვიმუშავებდით. ჰიტლერის მთავრობამ სამხედრო ქარხნების შენება შესძლო მაღლად და ჩვენი მთავრობა ნუთი თავისი ლითონის ჩამოდნობას ვერ შესძლებდა თავისი მანქანების ცალკეულ დეტალებად? მართალია, ჩვენი მთავრობა ვერასდროს გაუტოლდება გერმანულ ნაციონალისტურ-სოციალისტურ პარტიას, რომელმაც მანამდე არნახული ინტელექტუალური მთავრობა შეჰქმნა, მაგრამ მინიმუმის გაკეთება ამათაც შეეძლოთ, თუ ეროვნული სულით იქნებოდნენ შთაგონებულნი.

მაინც რა უნდა ქნას დღეს უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილმა საქართველომ? იგი ალტერნატივის წინაშე დგას: ან დადოს რუსეთთან ეკონომიკური ხელშეკრულება დროის გარკვეული მონაკვეთის ჩვენებით (თუ ეს შესაძლებელია დიპლომატიური კანონების მიხედვით), ან დასავლეთის ქვეყნებს სიხოვოს ქვეშევრდომობა. რატომ ქვეშევრდომობა და არა თანამშრომლობა? იკითხავს კაცი. თანამშრომლად კიდევაც რომ გაგიხადოს დასავლეთის რომელიმე ქვეყანამ, ამას ექნება მხოლოდ იურიდიული ხასიათი და არა ფაქტური, რადგან ჩვენი სპეციალისტები ევროპელ კოლეგებს დიდხანს ვერ გაუტოლებენ მხარს. ამიტომ საქმე გვექნება არა თანამშორმლობასთან, არამედ დაქვემდებარებასთან. რაც ძლიერია წამყვანი ქვეყანა, მით მეტად იქვემდებარებს სუსტს. ამერიკა რუსეთზე ძლიერია. მას შეუძლია მეტ დაქვემდებარებაში მოაქციოს საქართველო, ვიდრე რუსეთმა.

ხომ არ აჯობებს ფუჭი იმედებით ლოდინს, დაიდოს ეკონომიკური ხელშეკრულება რუსეთთან დროის გარკვეული მონაკვეთის ჩვენებით? გარკვეული დროის განმავლობაში თუ ჭკუით ვიმუშავებთ, ხომ შეიძლება ეკონომიკური დაქვემდებარებიდან თავის დახსნა? მხოლოდ ახლაა დამოუკიდებლობის დრო, მას საფუძველი „პერესტროიკა“ მოუმზადაო, იტყვის საქმეში ჩაუხედავი კაცი. „პერესტროიკისთანა“ საფუძველს ჭკვიანი კაცი თავის დღეში არ დაეყრდნობა.

„ადამიანი მაშინ არის უძლური, როცა სურვილი ღონეს აჭარბებს“. შენ, რომ დამოუკიდებელი და მდიდარი საქართველო გინდა, ეს კარგია, მაგრამ ამ სურვილთან ერთად ძალაც უნდა გაგაჩნდეს. რა ძალა გააჩნია დღეს ქართველ კაცს რუსეთთან დასაპირისპირებელი? 70 მანეთიანი „ბუხანკა“ შავი პური, 250 მანეთიანი შაქარი, 1100 მანეთიანი კარაქი, 300 მანეთიანი ძეხვი, 2500 მანეთიანი რეზინის

ჩექმა („ვალენკა“), 1700 მანეთი ხელფასი, უმუშევრობა, ქართული კომერცია, რუსული კოოპერატივი, წითელი კოლმეურნეობა, წარმოების ყოველგვარ საშუალებებს მოკლებული გლეხური მეურნეობა, უამრავი ქურდი და ყაჩალით, მწამს, რომ საქართველოში იმდენი კარგი თოხი არ იქნება, რამდენიც – თოფი.

როცა ორგანიზმი შინაგანად დასუსტებულია, მას ლომის თათი კი არა, უბრალო წეიძურტიც წააქცევს. ისტორიის სწავლების ძირითადი მიზანი ის კი არ არის, რომ ბავშვი დავტვირთოთ, არამედ ის, რომ გამოვიყენოთ იგი ახლის შენებისათვის. როცა არაბეთის იმპერიამ შინაგანად დაიწყო დაშლა, ხოლო გარედან ჯვაროსნებმა შემოუტიეს, მაშინ მიეცა საშუალება მეფე დავითს, უცხოელთა უღელი მოეცილებინა. ანალოგიური იყო მონალებისგან თავის დაღწევაც. გავადრო, ისტორიული კანონზომიერება ჩასვამს რუსეთს თავის საკუთარ ჩარჩოში და ქართველი კაცი მზად უნდა იყოს დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

შევდგელბაში უნდა გვქონდეს რომ ბუნებისა და საზოგადოების განვითარების უამრავ კანონთაგან, ერთ-ერთი უძლიერესი, ტყის კანონია. თუ დიპლომატები, ღიმილით გამოთქმული აზრებით ერთ-მანეთს ვერ დაუმტკიცებენ თავიანთი მოთხოვნების შესრულების აუცილებლობას, მაშინ ძალაში შედის ზემოთხსენებული კანონი და თუ სუსტმა დროისა და სივრცის შესაფერისი თავდაცვის საშუალებები ვერ გამონახა, იგი ნადგურდება.

რა საშუალებები გამონახა ქართველმა კაცმა კომუნისტური იმპერიის წინააღმდეგ საომრად, რა ძალებით შეებრძოლა იგი კომუნისტურ მაფიას?

პასუხი უცნაურია – კომუნისტების მიერ ნაწყალობევი თოფებით, რუსული კოოპერატივებით, მრგვალი კომერციებით და ნაკომუნისტარი კადრებით მან ვერ შესძლო წამოტივტივება ერის პოტენციური ძალებისა. მოხდა მხოლოდ „პერესტროიკა“ კომუნისტებისა ერისკაცებად.

კომუნიზმი დღესაც წარმოადგენს მსოფლმხდედველობას. მსოფლმხდეველობრივ კატასტროფას გადარჩენილი ადამიანები უაღრესად საინტერესონი არიან ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. ისინი ან თვითმკვლელობით ამთავრებენ ცხოვრებას, ან ხელს იღებენ არა მარტო პოლიტიკურ, არამედ ყოველნაირ ბრძოლაზე და

სრულიად უვნებელნი ხდებიან. შეიძლება ითქვას, რომ კომუნისტურ პარტიაში იყვნენ შეპარული შიკრიკები და გამყიდველები. არც ეს არის გამორიცხული, მაგრამ – ამდენი?! თუნდაც რომ აგრე იყოს, შიკრიკების და გამყიდველების მიერ აშენებული ქვეყანა ჯერ არავის უნახავს.

საპარლამენტო არჩევნებმა დაამტკიცა, რომ კომუნისტები ჯერ კიდევ ყველაზე დიდი გავლენით სარგებლობენ მოსახლეობის ფართო მასებში. ჩემი აზრით, თუ პარლამენტმა ნაწილობრივ მაინც შესძლო ხალხის ინტერესების დაცვა, აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებშიც ნაკომუნისტარი კადრები გაიმარჯვებენ.

კომუნისტი გინდა და კომუნისტური აზრი არა, ასე მასაც ხელფეხს შეუკრავ და შენს საქმესაც დააზიანებ. იგი ვერც კომუნისტურ საქმეს გაგიკეთებს და ვერც ეროვნულს.

ვინ უნდა აამოძრაოს ჩვენი ხავსმოკიდებული მრეწველობა? მუშტების ქნევამ ჩრდილოეთისაკენ, თუ ეკონომიკურმა ხელშეკრულებამ?

დღეს ხშირად გაიგონებ, საქართველომ კურსი დასავლეთისაკენ უნდა აიღოს. რუსეთი რაღა?! – იგი გეოგრაფიულად ჩრდილოეთია და იდეოლოგიურად დასავლეთი.

ასე, რომ ქართველი კაცი ალტერნატივის წინაშე დგას ერთ იდეოლოგიასთან, რომელია მისთვის მომგებიანი – ახლო მეზობელი თუ შორეული „მოყვარე“? დაინტერესდება თუ არა შორეული „მოყვარე“ შენით? რომლისთვის მეტი საჭირო ხარ? რომელთან უფრო ახლოს ხარ ზე-ჩვეულებით, ნათესაობით, ენით, ტერიტორიით? ისურვებს კი შორეული „მოყვარე“ შენი გულისთვის, შენი ძლიერი მეზობლის მომდურებას? ყველა ამ კითხვას ხომ ჭირდება გულთან მიტანა. ნუ ავყვებით შოვინისტების შეხედულებას, თითქოს ჩვენ ისეთი კარგები ვიყოთ, რომ დასავლეთმა ლამაზი თვალებისთვის შეგვინახოს. ჩვენ შრომა გადაგვარჩენს და არა „წარბ-წამნამ თვალნი“.

კიდევაც რომ მოგხედოს შორეულმა „მოყვარემ“, როდის აამოძრავებს იგი ჩვენს მრეწველობას? ისე ხომ არ მოხდება როგორც ხალხს უთქვამს – „სანამ პავლე მოვიდოდა, პეტრეს ტყავი გააძრესო“. როცა აამოძრავებს, დაგვიტოვებს კი იმაზე მეტ დოვლათს, ვიდრე ახლო მეზობელი? ჩემი აზრით, რუსეთის პროექტით აგებულ ქარხნებს ყველაზე ადრე და იაფად თვით რუსეთი აამოძრავებს. ხალხს უთქვამს „ლეჩებუმურ ლობიოს, ლეჩებუმური წყალი მოხარშავსო“. არაფერი ნათესაობა (თუნდაც უშორესი) მე ჭავჭავაძების, ან ბაგრატიონების გვარებთან არ მაკავშირებს, რომ კალმის ოსტატო-

ბაზე ან მეფობაზე მქონდეს პრეტენზია, მაგრამ, როცა გავიგონებს: „ჩვენ ჩვენით ვიცხოვრებთო“, რაღაცა შაშინელი ხმით მაყვირებს: ვის უცხადებ ომს? რუსეთმა სამხედრო მანქნად ქცეული გერმანია დაფშვნა და გვერდზე მიჰყარა. გერმანელები 45 წლის განმავლობაში რუსული „ჩასტუმებით“ ამღერა და შენ ვერ მოგივლის?!

რუსეთმა საქართველო პროვოკაციებით მოთხარა და მას იურიდიულად რომ ომი დაუკანონო, „ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადს“. მაინც ვისი იმედიაქვთ ასეთ მეომრებს? – გაეროს?! კურდლელს უთქამს: „მე და ლომს ვერვინ მოგვერევაო“. საკითხავია, რას ფიქრობს ლომი?! ჩვენ ჩვენით უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ იმასაცა შეგახსენებთ, რომ კაცმა რომ იცხოვრო, საჭიროა სხვა კაცები, ერმა რომ იცხოვროს, სანიროა სხვა ერები.

მეამბოხე როცა საკუთარი ძალის სისუსტეს იგლძნობს, თუ იგი გონიერია, არსებობის შენარჩუნების მიზნით გადადის კონფორმიზმზე. უჭირს მას კონფორმისტობა, მაგრამ რა ქნას? „ასწიე ღონეს ჰკიდია, დასწიე – უღონობასა“.

რუსთმოძულები გაიძახიან, რა ვუყოთ 1921 წელს და 9 აპრილს? უნდა დავუკვირდეთ იმ გარემოებას, რომ არც 21-ში და არც 9 აპრილს რუსის ჯარისკაცს რუსი ხალხის ინტერესები არ გამოუატავს. თუ ამ საქმეს გამოვედევნებით, იგი მიგვიყვანს ქართველ კომუნისტებთან და ჩვენი ხალხის აჩქარებულ ტემპერამენტთან.

რუსეთან ეკონომიკური ხელშეკრულება არ ნიშნავს ეროვნულ-განმანთავისუფლებელ მოძრაობაზე ხელის აღებას. პირიქით, ეს მოძრაობა უნდა გააქტიურდეს, მაგრამ არა ისე, როგორც ამჟამად ვითარდება, არამედ ილიასეული გზით, გონივრულად და გეგმაზომიერად, ზნეობისა და სახალხო მეურნეობის განვითარებით.

დღეს ერისათვის აუცლებელია ერთგვარი კონფორმიზმი, რათა გამოჩენდეს მისი ფიზიკურად გადარჩენის საშუალებები.

ვაიპატრიოტების ანგარიშით, რუსები ჩვენს ნაშრომს „სჭამდნენ“, მოგებას ნახულობდნენ. ახლა ჩვენი ნაშრომი თუ კომერსანტებს მიაქვთ, ისინი ქართველები არიანო. ვკითხოთ ქართველ გლეხს, რა შეღავთი აქვს მას იმით, რომ მის ნაშრომს რუსის მაგივრად მისი „მოძმე“ კომერსანტი ეზიდება სახლში?

ვაჟა-ფშაველას ძმა ესტუმრა. მასპინძელს მხოლოდ ერთი ბოთლი ღვინი ჰქონდა. დაიწყო თედომ ლოცვა: „სახლო, ღმერთმა აგაშენოს, როგორც შიოს მარანია...“

– რაღამ უნდა ამაშენოს, ხედავ, ბოთლში არაია, მე ძმა ვარ და

შემერგება. მტერი დალევს არამია, – ვისაც უნდა მან დალიოს, ჩემ-თვის მაინც ზარალია...” იყო მასპინძლის საბოლოო პასუხი.

**მინანერი:** 1993 წლის 13 იანვარს ბატონმა რომან გოცირიძემ პარლამენტის სხდომაზე განაცხადა: „მოვეშვათ ეკონომიკურ რო-მანტიზმსო“. ამას პარლამენტის ზოგიერთი წევრი უარყოფითად შეხვდა. დროა, პარლამენტარებმა შეისწავლონ ხალხის ცხოვრება და თუ რომელიმე მადლიანი დეპუტატი ობიექტურად იმსჯელებს, ნინ არ გადაელობონ. რუსეთთან კავშირი არც ისე საშიშია, როგორც ამას ზოგიერთი ინტელიგენტუნა გვიხატავს.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
2.II.1992წ.

## პრეზიდენტისა და მისი კლაკიორების ფიასკო

ყოველი კულტის გაჩენას გააჩნია მყარი იდეოლოგიური საფუძველი მოსახლეობის გარკვეულ წრეებში.

საზოგადოების ნაწილი ვერ ხსნის ობიექტურად დიდ ისტორიულ მოვლენებს და ყველაფერს მიაწერს გამოჩენილ პიროვნებას, რომელ-საც შემდგომში კულტად აქცევს.

ქართული ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა დიდად დაუკავშირდა ზვიად გამსახუდიას სახელს.

ჯერ კიდევ 70-იან წლებში დაიწყო ლაპარაკი იმის შესახებ, რომ მწერალ კონსტანტინე გამსახურდიას ვაჟს, ზვიადს, არ მოსწონდა არსებული მთავრობა და იბრძოდა მის წინააღმდეგ. მაგრამ მისი ბრძოლა არ ჩამოყალიბებულა, როგორც მყარი მეცნიერული სახელმძღვანელო ქართყლი ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისა. იმ პატარა საუბრებსა და მოწოდებებს, რომლებსაც ის ეწეოდა, კი ჰქონდა იდეოლოგიური მნიშვნელობა, მაგრამ ისეთი არა, რომ მათი ავტორისათვის საზოგადოებას დაფინის გვირგვინი დაედგა. ასეთ საუბრებს ხშირად მოისმენდი ანტიკომუნისტურად განწყობილი ადამიანებისაგან, თუ მათ შენი არ შეეშინდებოდათ.

რაც შეეხება ზვიად გამსახურდიას აღზევებას ეროვნულ მოძრაობაში, მას ხელი შეუწყო ჯერ მამამისის პოპულარობამ და შემდეგ მისმა მეამბოხე ბუნებამ. მეამბოხეობა აუცილებელია ცხოვრების განვითარებისათვის. ამაზე, მე ჯერ კიდევ გასულ წელს მქონდა საუბარი, სადაც ვამბობდი, რომ „მეამბოხეები არ კმაყოფილდებიან

მიღწეულით და იბრძვიან... წინსვლისათვის“. აქ უნდა დავამატოთ, რომ მეამბოხეობა შეიძლება იყოს პროგრესული, ან რეგრესული. პროგრესულია ამბობი, რომელიც საზოგადოებას უკეთესობისაკენ ექაჩება, ხოლო რეგრესული – უარესისაკენ. თუ საით ექაჩებოდნენ ბატონი პრეზიდენტი და მისი კლაკიორები ქართულ საზოგადოებას, ამას სტატიის მიმდინარება გაგვაცნობს.

ერთი საქმეა იბრძოდე, სწავლობდე, ჰქენიდე და მეორეა შედეგი, თუ რა გამოდის ამ მისწრაფებიდან. საზოგადოება პიროვნების სწრაფვას სრულებრივისაკენ დადებით საქმედ მიიჩნევს, მაგრამ აფასებს ამ შრომას ნაყოფის მიხედვით. შენ რომ გსურს დედამიწა ამქვეყნიურ სამოთხედ აქციო, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამისათვის ადამიანებმა მესიად დაგსახონ. უნდა წარმოადგინო გეგმები, რომ იმ ისტორიულ ასპექტში, რომელშიც შენ მორვაწოება გინევს, საზოგადოებას ნამდვილად შეუძლია შენს მიერ დასახული ლონისძიებების განხორციელება.

ჩვენ ვერ დავადანაშაულებთ ბატონ გამსახურდიას იმ არეულობაში, რომელიც ზოგადიმპერიულმა მოძრაობამ გამოიწვია, მაგრამ შინაეროვნულ აშლილობაში მან წამყვანი როლი ითამაშა.

ჯერ კიდევ 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებამდე ჩვენ და გამსახურდიელები ერთხმად ვყვიროდით, რომ კოლმეურნეობა არის ტოტალიტარული სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი, გლეხის ძარცვა და საწარმოო ძალების განვითარების მუხრუჭი.

არჩევნების შემდეგ „პლასტინკა“ გადაბრუნდა და დაიწყო ლაპარაკი „მრგვალი“ იჯარის სიკეთეზე. ჩვენ მიგვაჩნია, რომ იჯარა მრგვალი იქნება თუ წითელი, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, იგი იყო და იქნება ექსპლოატაციის ფორმა. რაც შეეხება ზვიადიზმის პოლიტიკური მართვის დაფუძველს „მრგვალ“ პრეფექტურას, ეს იყო ჯერანახული ნაბიჯი ტოტალიტარიზმის გზაზე, რომლის გადადგმა თვითონ სტალინმაც ვერ გაბედა და აღმასკომის თავმჯდომარე ანგარიშვალდებული გახადა ამომრჩევლის წინაშე. გამსახურდიელთა მიერ გადადგმულ ამ პოლიტიკურ ნაბიჯს რომ საზოგადოება ვერ აიტანდა, მე ჯერ კიდევ გასული წლის 15 თებერვლის „სამტრედიის მაცნეში“ განვაცხადე სტატიით „პრეროგატივის საარჩევნო პარადოქსი“. ანალოგიური წერილები იბეჭდებოდა სხვა გაზეთებშიც. მრგვალებს რომ ჩვენი რჩევა მიელოთ 16 თებერვალს, ქართველები ერთმანეთს ცეცხლს არ დაუშენდნენ.

თვით პარლამენტი, რომლის წევრთა უმრავლესობამ მრგვალ პრეზიდენტს ახსოლუტური უფლებები ჩააბარა, გაიყო ორ შეურიგებელ ნაწილად – კლაკიორებად და მეამბოსეებად. კლაკიორები დაკმაყოფილდნენ თავიანთი როლით, ხოლო მეამბოსეებმა, თუმცა ისინი უმცირესობას წარმოადგენდნენ, მოითხოვეს თავიანთი მოქალაქეობრივი და სადეპუტატო უფლებების დაცვა, რამაც საზოგადოება შეიარაღებულ აჯანყებამდე მიიყვანა. სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან დეპუტატი, რომელიც თავის ინტერესებს ვერ დაიცავს, სხვის დაცვას ვერასდროს შეძლებს.

87 პროცენტით გათამამებული იდეოლოგები მოუხმობდნენ მასებს ჯაყვებით და სარებით მოსულიყვნენ პრეზიდენტისა და მისი კლაკიორების გადასარჩენად.

როგორ უყურებდა და აფასებდა თვით ბატონი გამსახურდია საზოგადოებას, რომლის 87 პროცენტით იგი ხშირად ამაყობდა? სტატიაში „დილემა კაცობრიობის წინაშე“ იგი წერს: „სოციალისტურმა ტოტალიტარიზმმა კირკესეული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასა. მაგრამ მან ვერ შესძლო ერთეულ გამორჩეულ პიროვნებათა ამგვარი ტრანსფორმაცია. ამ პიროვნებებმა შეინარჩუნეს კეთილისა და ბოროტის გარჩევის უნარი, შეინარჩუნეს ნათელი თვალთახედვა გარემო მოვლენებზე. მათ დეზორიენტაცია ვერ შესძლო თვით დახვენილმა დემაგოგიამაც კი. აქედან გამომდინარე, მაინც არსებობს ინტელიგენცია“ (გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ №26, 1991წ. 28 ივნისი).

როგორც ხედავთ, პირველ წინადადებაში გამოყენებულია ზმნა – აქცია. აქ განსაკუთრებული ყირადლება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ იგი გამოყენებულია მეორე სერიის წყვეტილის ფორმით, დრო წარსულია, ასპექტი – სრული, მოქმედება დასრულებულადაა გადმოცემული. უკვე აქცია ე.ო. დაასრულა ღორადქცევის პროცესი. თუ ეს ყველაფერი ასეა, როგორც ზმნის ფორმა გვიჩვენებს, მაშინ გამოდის, რომ სოციალისტებს საბოლოოდ დაუღუპავთ ქვეყანა და ახლა რაღა აზრი აქვს ბრძოლას?!

მაგრამ ეს ასე არ არის. სოციალისტების დაცვა არავის შეუძლია, მაგრამ ისინი რომ მასის ღორადქცევას არ ცდილან ეს უდავო ჭეშმარიტებაა. ისინი მხოლოდ იმას ცდილობდნენ, რომ ადამიანები ერთგულ და მორჩილ მოწებად აღეზარდათ. ხოლო მონასა და ღორს შეუა რომ დიდი სხვაობაა, ვფიქრობთ, ეს საკითხი მტკიცებას არ საჭიროებს.

თუ დავეყურდნობით ავტორისეულ მსჯელობას, სოციალისტურ საზოგადოებაში ადამიანთა მასა არ არსებულა. არსებულა მხოლოდ ღორების კოლტი და ინტელიგენცია. ინტელიგენციის დიდი ნაწილი პრეზიდენტს აუმპბოხდა. ლოგიკიდან გამომდინარე, ვლებულობთ დასკვნას, რომ ბატონი გამსახურდია ყოფილა ინტელიგენციის კლა-კიორული ნაწილისა და „სოციალისტური ტოტალიტარიზმის მიერ ღორადქცეული მასის“ პრეზიდენტი. (რა თქმა უნდა, მისივე მსჯელობიდან გამომდინარე).

სტატიის „დილემა კაცობრიობის წინაშე“ ავტორი თავისი სუბიექტური მონაცემებითა და კლაკიორების „ზვი-ა-დის“ ყვირილით გათამა-მებული, ცხადია თავს მესიად დასახავდა და ერთპიროვნულ მმართველად წარმოჩინდებოდა, რადგან მისი კლაკიორების ინტელექტუალური ძალა შესწავლილი ჰქონოდა. ინტელიგენციას ერის მოლალატედ თვლი-და, ხოლო მასის შესახებ მისი შეხედულება ვიცით როგორი იყო.

ასეთი მსოფლმხედველობის მქონე პრეზიდენტის წინაარმდეგ მოწყობილი ამბოხი, რომელსაც სათავეში ინტელიგენცია ჩაუდგა, სამართლიანად უნდა ჩაითვალოს.

დღეს ხშირად გაიგონებთ, სისხლით გასვრილი მთავრობა გვყავს. სისხლის დალვრა რომ ცოდვაა, ეს უდავო ჭეშმარიტებაა, მაგრამ ჩვენ-და საუბედუროდ იგი იღვრებოდა და იღვრება, რაც საზოგადოების გარკვეული ნაწილის პოლიტიკურ სისუსტეს უნდა მივაწეროთ. ჩვენ რომ გამსახურდიას პიროვნება გულდასმით შეგვესწავლა, მისი ბუნების კაცი არჩევნებში მოსახლეობის 87 პროცენტს ვერ მიიმზრობდა, არც სისხლი დაიღვრებოდა, არც რუსთაველის პროსპექტი იქცეოდა სამხედრო პოლიგონად და ისიც ჩვენს რიგებში იქნებოდა.

იყო თუ არა ეს აჯანყება სახალხო ხასიათისა? – იყო. ამის დასა-დასტურებლად კიდევ ერთხელ უნდა გამოვიყენოთ ციტირება ზემოთ დასახელებული სტატიისა... „კირკესეული ჯადოქრობით ღორებად აქცია მასა“. ასე შეურაცხმყოფილი მასა აუცილებლად უნდა ამბოხე-ბულიყო, შეურაცხმყოფელის წინააღმდეგ.

თუ მასების პირადი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო ამბოხებული, ეს იმას არ ნიშნავს, რომ იგი არ ამბოხდებოდა, აუცილებლად ამბო-დებოდა, როგორც კი პრეზიდენტის ავკარგიანობაში გაერკვეოდა.

რაც შეეხება შეხედულებას იმის შესახებ, რომ პრეზიდენტი ხალხმა აირჩია და იგივე ხალხი გადააყენებდა მას უსისხლოდო, მცდარია. დიქტატურა თავის პოზიციებს უსისხლოდ არასდროს არ დათმობს.

ხალხი აუცილებლად უნდა მიჰყვებოდეს სწავლულთა და მეცნიერთა აზრებს. მეცნიერს აქვს უნარი მოვლენათა წინასწარ განჭვრეტისა, რასაც ჩვეულებრივი ადამიანები მოკლებული ვართ. ჩვენ ძირითადად შედეგებზე მსჯელობა შეგვიძლია. შარშან, სამტრდიაში, თებერვლის აქციებზე ხშირად გაიგონებდით მოქალაქეებისაგან „ვაცადოთ, იქნებ კარგად წაიყვანოს საქმე, თუ ცუდად წაიყვანს გადავაყენებთო“. „იქნებ წაიყვანპოს, იქნებ ვერ წაიყვანოს“, ასეთ მსჯელობაზე მეცნიერი არასდროს დაგვთანხმდება, რადგან მან იცის, რომ ერთ არ არის საექსპერიმენტო ბაჭია პრეროგატივების ხელში და დიქტატურა უფიცისათვის თუ ცერცვია, მეცნიერისათვის ცეცხლია. ხოლო ის, რაც მეცნიერისათვის დღესაა ცეცხლი, ხვალ საყოველთაო ცეცხლად იქცევა. რა იქნებოდა, რომ არ გვებრძოლა არც სიტყვით, არც კალმით, არც დამბაჩით? და გავყოლოდით გამსახურდიას იდებს? ნაადრევი ხომ არ იყო ჩვენი ბრძოლა? თუ არ ვიბრძოლებდით, დიქტატურა ახლო მომავალში გამარჯვებას იდლესასწუალებდა. პრეზიდენტი „კირკეს ჯოხით“ დიდხანს გვატარებდა თავისი ნებასურვილის მიხედვით და მთელ საქართველოს ერთ მუშტად შეკრავდა. ეს მუშტი დიდხანს ვერ იბოგინებდა. იგი თუ გარეშე ძალით არა, შინაგანი ამბოხებით დაიშლებოდა უზარმაზარი მსხვერპლის ფასად. ამბობი ნაადრევი კი არა, დაგვიანებულიც იყო. იგი რაც ადრე დაიწყებოდა, მით ნაკლები მსხვერპლი იქნებოდა საჭირო.

როცა მეცნიერულად დამტკიცდება, რომ კოლმეურნეობა არის ტოტალიტარული სახელმწიფოს ეკონომიკური საფუძველი, მრგვალი პრეფექტურა – პოლიტიკური, ხოლო ნაციონალ-სოციალისტური მსოფლმხედველობა – იდეოლოგიური, მაშინ პრეზიდენტის წინააღმდეგ მოწყობილ ამბოხებას მიეცემა გამართლება, როგორც ერთა-დერთ სამუალებას დიქტატურის დამხობისა.

არ უნდა მოგვივიდეს ისე, რომ ერთი დიქტატურა მეორით შეიცვალოს და მმართველობის შინაარსი უცვლელი დარჩეს. დროებითი მთავრობის მიერ გადადგმული ნაბიჯი მინის პრივატიზაციაზე დადებითად უნდა შეფასდეს, ხოლო პრეფექტურის გაუქმება, ეს უკვე მომაკვდინებელი დარტყმა ტოტალიტარიზმზე.

რაც შეეხება იმას, რომ ჩვენში თანამდებობა ჯილდო ჰგონიათ და არა უნარი, ამ შეხედულებას უნდა შევებრძოლოთ, არც მატარებლის გაჩერება, არც საშიმშილოდ დაწოლა, არც წითლების გინება, არც „ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტის“ მონური მორჩილება, არც მუშტების ქნევა არ ნიშნავს იმას, რომ პიროვნებას შეეძლოს ქვეყანა

გაჭირვებისაგან გამოიყვანოს. ქვეყნის გაჭირვებიდან გამოსაყვანად საჭიროა მართვის ორგანიზმის მოწესრიგება, რომლის გარეშე საწარმოო ძალების განვითარება შეუძლებელია.

ჩვენ ყოველთვის გვექნება ხელმძღვანელის მიმართ ერთი ძირითადი მოთხოვნა: განავითაროს საწარმოო ძალები ისე, რომ საშუალება შეიქმნას მასზე დაყრდნობით მინიმალურად მაინც დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილებანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ უნდა გვქონდეს მისი შეცვლის უფლება და ამ უფლების მოთხოვნისას მან არტილერიის ცეცხლი არ უნდა დაგვიშნოს.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
25.III.1992წ.

## გლეხი და მიწის პრივატიზაცია

მიწის პრივატიზაციამ ახალი წინააღმდეგობის წინაშე დააყენა მთელი საზოგადოება. წამოიჭრა კითხვა: შეძლებს თუ ვერა წარმოების ყოველგვარ საშუალებებს მოკლებული გლეხობა მიწის დამუშავებას?!

რესპუბლიკაში არსებული მანქანა-ტრაქტორები დაძველდა. ახლის შეძენის საშუალება არც ინდივიდუალურ და არც კოლექტიურ მეურნეობებს არა აქვს. არ არის სათადარიგო ნაწილები, უკიდურესობამდე ჭირს საწვავ-საცხები მასალების შეძენა. მიწის პრივატიზაციასთან დაკავშირებით იმედი გვქონდა, რომ ქუთაისის მინიატურული ტრაქტორების ქარხანა შეეცდებოდა დაეკმაყოფილებინა ინდივიდუალურ მეურნეთა მოთხოვნები. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. სატრაქტორო ქარხანა ამდენ ომსა და გაჭირვებაში არავის გახსენებია. რაც შეეხება მუშა პირუტყვს, ის თითქმის არა გვყავს და ბევრიც რომ გვყავდეს, მას თანამედროვეობის მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება არ შეუძლია. მან მხოლოდ ნაწილობრივ შეიძლება დააკმაყოფილოს გლეხის მოთხოვნილებანი მთაში, ბარში – ცოტად. ასე, რომ მუშა პირუტყვი და მინიატურული ტრაქტორები ბევრიც რომ გვყავდეს, მძლავრი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა მაინც დაგვჭირდება. ამდენად, პრივატიზაციაზე ჯერჯერობით თავი უნდა შევიკავოთ.

1990 წლის 18 დეკემბრის „სამტრედიის მაცნეში“ სტატიაში „კოლმეურნეობა, კონფორმისტები და მექანიზები“ ვწერდი: „დღ სოფლებთან ან რამდენიმე პატარა სოფელთან უნდა შეიქმნას მექანიზაციის პარკები. პარკებში მომუშავე მექანიზატორები გლებური ასოციაციების

მიერ შეთანხმებულ დღეებში მივლენ იმ ჯგუფებთან, რომლებთანაც გამოძახებული იქნებიან, ხოლო გასამრჯელოს მიიღებენ წინასწარ დადგენილი ფასების მიხედვით". მე ახლაც ამ აზრზე ვარ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ეკითხოს სოფელს, შეიქმნას ზემოთხსენებული პარკები, თუ მისი ფუქნცია შეასრულოს კოლმეურნეობამ, იმ კოლმეურნეობამ, რომელსაც სახელი უკვე დიდი ხანია გატეხილი აქვს.

რაც შეეხება მინას, იგი იურიდიულად უნდა ჩაბარდეს გლეხს კერძო საკუთრებაში, მხოლოდ ერთი ძირითადი შეზღუდვით, რომ, თუ მისი მინა საზოგადოებას დასჭირდა გზად ან სხვა რაიმე გარდაუვალი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად, მან მის გაცვლაზე უარი არ გვითხრას. ჩვენც ჩვენი მხრიდან უნდა შევეცადოთ, რომ იგი ეკონომიკურად არ დავაზარალოთ, მინის რენტა ჰექტარზე გაანგარიშებით ერთნაირად უნდა გადახდეს კოლმეურნეობასაც და ინდივიდუალურ მეურნესაც.

წარმოების საშუალებებს მოკლებული გლეხი, თუ მას მომავლის რწმენას არ ჩავუნერგავთ, კოლმეურნეობებისაკენ იზამს პირს, იმ კოლმეურნეობებისაკენ, რომელიც ჩემი ღრმა რწმენით ხალხის მზარდ მოტხოვნილებებს ვერასდროს ვერ დააკმაყოფილებს.

გლეხი რომ ინდმეურნეობისაკენ გადაიხაროს, ამისატვის საჭიროა, რომ მას პირველ ხანებში რაიმე შელავათი მივცეთ და არ ვაძგეროთ გადასახადად 1800 მანეთი (რომელსაც ჩვენ უფროსი თაობა ჯერ კიდევ 18000-სს ეძახის), ხოლო ჰექტარი მინის მექანიზაციური დამუშავება – 4000 მანეთი.

საჭიროა გლეხს განვუმარტოთ, რომ ის მამასისხლად შეძენილი საწავ-საცხები მასალები კოლმეურნეობაშიც მისი ასანაზღაურებელია და ინდმეურნეობაშიც. ხოლო ინდმეურნეობის პირობებში მას საქმე ექნება მხოლოდ მექანიზატორთან და გათავისუფლდება იმ ვეებერთელა ბიუროკრატიული აპარატისაგან, რომელსაც კოლმეურნეობა ჰქვია. დროთა განმავლობაში თვითონ შეიძენს წარმოების საშუალებებს და გახდება თავისი თავის ბატონ-პატრონი. გადასახადის დაწესებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ საშუალო საჰექტარო მოსავლიანობა კოლექტიური მეურნეობის პირობებში და არა ის, თუ რისი წარმოება შეიძება ჰექტარი მინიდან. გლეხმა შეიძლება მინიდან მაქსიმუმი ამოილოს, რაც მინის დაბეგვრის დროს ჩვენი მსჯელობის საგანი არ უნდა გახდეს. რაც შეეხება მექანიზატორს, იგი უშუალო მონაინდეა დოვლათის წარმოებისა და მასზე გაცემული თანხა ბეგარად არ ჩაითვლება.

სანამ გლეხს წარმოების კერძო საშუალებები არ გააჩნია, მან მოლა-პარაკება უნდა გამართოს მექანიზატორთან. მათ შორის შუამავლობა შეიძლება გასწიოს ფულმა ან წარმოებულმა დოვლათმა (წატურამ). როგორც კოლმეურნეობის, ისე ინდივიდუალურ მეურნეთა მიწები უნდა დამუშავდეს ერთნაირ ფასებში. აქ კოლმეურნეობა შეეცდება მინი-მუმამდე დაიყვანოს საშტატო ერთეულები, რათა პროდუქციის თვი-თლირებულება შეამციროს და კონკურენციას გაუძლოს. რაც შეეხება მექანიზატორთა პარკებს, მათ თავიანთი დემოკრატიული გამგეობა ეყოლებათ და თვითონ გაუძლვებიან თავიანთ საქმეს. ჩვენ მათ მიმართ გვექნება ერთი ძირითადი მოთხოვნა, რომ დროულად და ხარისხიანად დაამუშაონ, როგორც ინდივიდურნეთა, ისე კოლმეურნეთა მიწები.

ვფიქრობთ, რომ კოლმეურნეობა კონკურენციას ვერ გაუძლებს, ნელ-ნელა დათმობს თავის პოზიციებს და საბოლოოდ თვითლიკვი-დაციას გამოაცხადებს.

რაც შეეხება კოლმეურნეობის ნაჩარევ გაუქმებას, იგი სწორი არ იქნება პლურალიზმისა და პრავალპარტიულობის პირობებში.

კოლმეურნეობების ძირითად საყრდენ წერტილად რჩება მეცხოვე-ლეობა. აქ კოლმეურნეობა დიდხანს არ დათმობს პოზიციებს და მის განმტკიცებაში ხელი უნდა შეუწყოთ მანამდე, სანამ ჩვენ ინდივი-დეთა სახით არ გვეყოლება მსხვილი მესაქონლები, რომლებიც თავის დროზე შეძლებენ საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას.

რაც შეეხება ბალებს, ვენახებს და ჩაის პლანტაციებს მათი პრი-ვატიზაციის დროს არ უნდა დავუშვათ თავისუფალი ფასები. იგი უნდა განაწილდეს და თუ შესასყიდი თანხა ინდივიდურნეს არ ექნება, გადავცეთ იგი კრედიტით რამდენიმე წლით. წინააღმდეგ შემთხვევა-ში ღარიბი კაცი „აბსაიდში“ აღმოჩნდება. შემოსული თანხა დაურიგ-დება ყოფილ კოლმეურნებს, როგორც კოპერატივის წევრებს, ან მოხმარდება სოფლის კეთილმოწყობის საქმეს. ჩვენ უფრო გამართ-ლებულად მეორე ვარიანტი მიგვაჩნია.

სოფლის მეურნეობის აღორძინების მიზნით საჭიროდ მიგვაჩნია:

1. გავრცელდეს ინდივიდურნებზე შელავათები, რამდენადაც ამის საშუალებას სახელმწიფო ხაზინა მოგვცემს. 2. დაწესრდეს სოფლის მეურნეობის წარმოების საშუალებათა წარმოების რეკონსტრუქ-ცია. 3. ხვინის პერიოდში, საწიროების მიხედვით, სამრეწველო წარ-მოებებში არსებული ტექნიკა დაგახმაროთ სოფელს. მხოლოდ ისე, რომ საწარმოს ძირითადი ინტერესები არ დაზარალდეს. 4. ხელი შევუწყოთ გლეხს მუშა პირუტყვის გამოზრდაზე (განსაკუთრებით

მთაში). 5. მიეცეს ინდმეურნეს უფლება, თავისი ნაწარმი გაიტანოს ბაზარზე, ან მიჰყიდოს სახელმწიფოს, წინასწარ შეთანხმებულ ფასებში. მთავრობამ ვალდებულება უნდა აიღოს, რომ ინდმეურნის მიერ წარმოებული პროდუქცია ჩაიბაროს დროულად.

სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფასებში პროდუქციის ჩაბარებამ ინდმეურნეს უფლება უნდა მისცეს, რომ მან თავისუფალ ბაზარზე არ ეძიოს მისთვის საჭირო ქიმიკატები, წარმოების საშუალებები და სხვა საჭირო მასალები. მიიღოს იგი მთავრობის მიერ დაწესებულ ფასებში და პირველ რიგში.

მთავრობამ უნდა იცოდეს, როდის, რა რაოდენობის და რა სახის პროდუქცია უნდა ჩაიბაროს ინდმეურნისაგან, რომ წინასწარ იზრუნოს მის დამუშავებაზე და დროულად რეალიზაციაზე.

1990 წლის 27 დეკემბრის „სამტრედიის მაცნეში“ სტატიაში „სახელმწიფოს ეკონომიკური ინკოგნიტო“ ვწერდი: „ძველ რუსეთში ყოველი წარმოებული 10 მანეთიდან მუშას უხდიდნენ 5 მანეთს, საბჭოთა რუსეთში უხდიდნენ და უხდიან 3 მანეთს, ხოლო თანამედროვე შვეიცარიაში 8 მანეთს“. აქ დასახელებული პროპორცია უცვლელი არ უნდა დარჩეს. ჩვენ შორს ვართ განაწილების შვეიცარიული წესისაგან, მაგრამ განაწილების ძველი რუსული პროპორცია მაინც თუ ვერ აღვადგინეთ, ჩვენი მუშაობა ამაო იქნება.

ზემოთ დასახელებული პირველი პროპორციის დაკანონება მთავრობას გაუჭირდება. მაგრამ უნდა გარისკოს, სხვა გზა არ არის. წინააღმდეგ შემთხვევაში გაძალტყავებულ გლეხს ისლა დარჩება, რომ თავი ინუგეშოს კონსტანტინე ლორთქიფანიძისეული სიმღერით: „დრამხტიტარო, დრიმხტიტარო, მიწის ზემოთ მაინც ვარო“.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
15.IV.1992წ.

## მიწის საკითხი ჩემს ნაწილში

გზად იყავ მისცე ანგარიში ხალხს და  
არა ყოველ გამვლელ-გამომვლელს  
გ. ტაბიძე

ჩემი გამოსვლა მკითხველის წინაშე მოხდა 1990 წლის 1 სექტემბერს, გაზიეთ „სამტრედიის მაცნეში“, სტატიით „კოლექტიური თუ

ინდივიდუალური მეურნეობა?!“ ეს ის პერიოდი იყო, როცა კომუნისტურმა იდეოლოგიამ ფართო ფრონტი გაშალა დემოკრატიული აზროვნების წინააღმდეგ და შესძლო კიდევაც ნაწილობრივი წარმატებების მიღწევა, რაც უკვე გამოიხატა ჩემს სტატიაში „პრეზიდენტისა და მისი კლასტიკორების ფიასკო“, რომელშიც ნათქვამია: „არჩევნების შემდეგ „პლასტიკა“ გადაბრუნდა და დაიწყო ლაპარაკი „მრგვალი იჯარის“ სიკეთეზე. ჩვენ მიგვაჩინია, რომ იჯარა მრგვალი იქნება თუ წითელი, ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, იგი იყო და იქნება ექსპლუატაციის ფორმა“ („სამტრედიის მაცნე“ 1992წ., 25-III).

ოპონენტები ხშირად მსაყვედურობენ, გეცლიათ პრეზიდენტისათვის, მინის პრივატიზაციას იგიც ჩაატარებდათ. აკაკი წერეთლის თქმისა არ იყოს: „გულში რა ჰქონდა, ეს არავინ იცის და საქმით კი სულ სხვას უჩვენებდა“. „პლასტიკის“ გადაბრუნება კარგს რომ არ მოასწავებდა, ეს უკვე ცხადი იყო ყველა საღად მოაზროვნე ადამიანისთვის.

ტოტალიტარული სახელმწიფოს იდეოლოგია ხალხს გზა-კვალს უბნევდა, ცდილობდა, ადამიანები გადაეყვანა ჭეშმარიტების გზიდან. იგი არ ერიდებოდა არავითარ საშუალებებს, არც ლანდლვა-გინებას, არ დაცინვას, არც ცეცხლს. გამარჯვება მათთვის თვითმიზნად იქცა, რომლისთვისაც მზად იყვნენ, ყველაფერი შეეწირათ. ამის საუკეთესო დადასტურებაა თებერვლის აქციებზე გადამწვარი კარვები და ძირს ჩამოყრილი ეროვნული დროშები კულტსახლის წინ.

ალბათ, ბუღალტერიც ვერ აღრიცხავს, თუ რამდენი დაცინვა და გამასხარავება გადაიტანა იმ დროში დემოკრატიულმა აზრმა. გზაში მოგაძახებდნენ „დაარიგე მიწები? ვის უნდა შენი მინა?! თოხნე და იყავიო“ მიტინგებზე მოურიდებლად დაგიძახებდნენ: „მინა თუ გინდა, თავზე დაიყარე“. არ არსებობს კაცთა ცხოვრებაში იმაზე საშინელი რამ, ვიდრე დაცინვაა. მოგეხსენებათ, რომ დაცინვა იმასაც აშინებს, ვისაც ამ ქვეყნად აღარაფრის ეშინია, მაგრამ, რას იზამ? უნდა გაუძლო. პოლიტიკაში ბაბუანვერები ვერ იმარჯვებენ. გამარჯვება მისი ხვედრია, ვისაც გამაჩინია მტკიცე რწმენა და სამართლიანი გზა. თუ მეომარი მტკიცე რწმენით დაადგება სამართლიან გზას, იგი ადრე თუ გვიან აუცილებლად გაიმარჯვებს.

მრგვალი მთავრობის წინაშე წაყენებული იქნა ორი ძირითადი მოთხოვნა, I. გაეხადა პრეფექტი ანგარიშვალდებული ამომრჩევლის წინაშე (რომლის შესახებ ევრჯერ გვქონია საუბარი) და II – დაეწეა-რებია მინის პრივატიზაცია.

მინის პრივატიზაცია, კარგად მოგეხსენებათ, როგორ ჭიანურ-

დებოდა: ჯერ რეფერენდუმიო, მერე პრზიდენტის არჩევნებიო, მერე მოქალაქეობის სტატუსიო, ქართული პასპორტიო, სრული დამოუკიდებლობაო. ყველა აქ ჩამოთვლილი საკითი მოსაგვარებელი იყო და არის, მაგრამ ცარიელი მუცელი ამას უცდის?! მრგვალებს ვერავინ ვერ დასწანებს იმას, თითქოს ჰომეროსი არ წაეკითხოთ. ბევრი მათგანი ფილოლოგი იყო და იგი წაკითხული კი არა, შესწავლილი ჰყავდათ. მაგრამ მისი „ოდისეას“ მე-7 თავი, რომელშიც წათქვამნია, რომ „ცარიელი სტომაქი ყველა სატკივარზე უსასტიკესია“ (იხ. „ოდისეა თავი 7, გვ. 92, 1988წ. გამომც. „წაკადული“), როგორლაც მხედველობიდან გამორჩენიათ, რაზედაც იმ სამართლებრივ სახელმწიფოში, რომლის ამენებასაც ისინი გვპირდებოდნენ, მათი პროფესორები სამართალში მიეცემოდნენ, იმისათვის, რომ მათ ჯეროვნად არ, ან ვერ აუხსნეს ახალგაზრდებს სულისა და მატერიის ერთიანობის საკითხი ადამიანში.

დიდი ხნის წინათ, უურნალ „ნიანგში“ ასეთი სატირა წავიკითხე: ინსპექტორი მასწავლებელს საყვედურობს „ბავშვები ლიტერატურული ენით ვერ მეტყველებენ... რატომ არ ასწავლითო? – ვასწავლითყვენ, ბატონო, მარა ესმითყვენო?“ – იყო პასუხი, რომ არ „ესმითყვენ“, როგორმე უნდა გააგონო, თუ ვერ გააგონებ, გუბერნატორებად მაინც წუ დანიშნავ, თორემ დაღუპავ ხალხს.

შარშან მთავრობის დასაცავად გამართულ მიტინგზე ერთი ჯეელი ხმის ჩახლეჩამდე გაპყვიროდა, ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოთ, რა დროს კუჭზე ლაპარაკიაო. მის გამოსვლაზე ლიტერატურულად მოაზროვნე კაცს არ შეიძლებოდა რომ არ გახსენებოდა ჰაირის ჰაინეს სიტყვები: „ბევრს უმართლობას აიტანს კაცი, მაგრამ ეს ძნელი მოსათმენია სუსტნერვებიან საბრალო ჯეელს თავი რომ მოაქვს შემლილ გენიად“. იმ „გენიამ“ არ იცის „სიცილის სამყაროში“ ჩანერილი გურული გლეხის სიტყვები: „დამთქნარების მეშინია, ბალნები რომ ხახადალებულს დამინახავენ, მომვარდებიან... ჭამ რაცხას, ბაბაია და ჩვენს გვაჭამეო“. და შენც, მიდი და ელა-პარაკე იმ ბავშვებს ტოტალიტარიზმზე, პატრიოტიზმზე, ინტერნაციონალიზმზე, სოციალიზმზე, კაპიტალიზმზე... რაზედაც გენებოს, ოლონდ მიაღწიე მიზანს: როგორმე გააჩუმე უპუროდ, ვი იცის?! იქნებ გამოგივიდეს რაიმე.

ჩემს შემოქმედებაში ჩანს, რომ ძირითადი მამოძრავებელი ძალა ერისაც და ბერისაც მინა (მიწიერი ცხოვრება) ყოფილა. ჩემი 21 სტატიდან 7 მიწის საკითხზე დაიწერა და გასაოცარი ის არის, რომ

მიუხედვად აჩქარებისა „ეროვნული მოძრაობის ინტერპრეტაციას“ რიგით 27-ე ადგილი ერგო. მას წინ უსწრებდა 5 სტატია მიწის საკიტხებზე. კი 11 ზოგადპოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე. მიუხედავად შემოქმედების მრავალფეროვნებისა, ხალხის ძირითადი ნაწილი მაინც მიწით დაინტერესდა, რომლითაც შეიძლება დავასკვნათ, რომ თანამედროვე ქართველი, მიუხედავად იმისა, რომ იგი კომუნისტურ საზოგადოებაშია ფორმირებული. მაინც კერძო საკუთრებისაკენ ისწრაფვის, მაინც მიწის პრივატოზაციაში ხედავს ერის გადარჩენას. ჩვენ არცერთ იდეოლოგიას დამბაჩით არ ვერპროცესით, რადგან იგი მიგვაჩნია იდეოლოგიურ სისუსტედ. კოლმეურნეობის მესვეურები რუსული „ვინტოვკებით“ მიერეკებოდნენ გლეხებს კოლმეურნეობაში. ჩვენი იდეოლოგები, დარწმუნებული ბრძანდებოდე, მკითხველო, რომ დამბაჩით არავის მიადგებიან, დაგხვრიტავ, თუ მიწა არ აიღე საკუთრებაშიო. პირიქით, ჩემს სტატიაში „კოლმეურნეობა და მიწის პრივატიზაცია“ სწრებია: „ნარმოების საშუალებებს მოკლებულმა გლეხობის ნაწილმა შესაძლებელია პრივატიზაციის წყალობით მიღებული მიწა დატოვოს კოლმეურნეობაში, რამდენიმე ნლით“ (სამტრედიის მაცნე“ 1992წ. 26.5). მართალია, ჩვენ ვერ ვაძლევთ უფლებას მიწის მუდმივად ჩაბარებისა, მაგრამ ეს იმით კი არ არის გამოწვეული, თითქოს მოქალაქის უფლებების შეზღუდვა გვინდოდეს, არამედ მომავალზე ზრუნვით. მომავალში მისმა შეიღმა შეიძლება მწარე საყვედური თქვას, თუ საწყალ მამაჩემს არ ჰქონდა ჭუა, როცა ქვეყანა ნაწილდებოდა, რჩევა მაინც მიეცა ვინმესო.

ჩვენ ვიცით, რომ გლეხი და გაჭირვება ერთ დღეს არიან დაბადებული. სიღარიბე გლეხს ერთგული ძალლივით დასდევს უკან და გულში არ გაივლებს მისგან მოცილებას, სანამ სული ედგმება. მაგრამ თანამედროვე პირობებში თუ გონივრულად გამოვიყენებთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებს, შევძლებთ, რომ პიროვნებას მივცეთ საშუალება, თავისი უნარი მაქსიმალურად გამოიყენოს, მაშინ ჩვენი ხალხი თავს დაალწევს გაჭირვებას და მხარს გაუტოლებს ევროპის მოწინავე ხალხებს, იმ ხალხებს, რომლებიც გაკვირვებით კითხულობენ ჩვენს შესახებ, ორი დოლარით ადამიანები თვიდან თვემდე როგორ არსებობენ?

ჩვენ ვერ დავთანხმებით პრეროგატივების შეხდედულებას იმის შესახებ, თითქოს დემოკრატიის შენება მშეირი ხალხით არ შეიძლებოდეს. დემოკრატია მიზანია კაცთა ცხოვრების და არა თვითმიზანი. იგი რომ თვითმიზანი იყოს, მაშინ შევიარადდებოდით, დავძარცვა-

ვდით ერთმანეთს, ვინც გადარჩებოდა, გამდიდრდებოდა ნაალაფა-რით, შეუდგებოდა დემოკრატიული კანონების წერას და იზეიმებდა სუსტების გაულეტას და თავის გამდიდრებას.

დემოკრატია ჩვენ მიგვაჩნია ისეთ პოლიტიკურ მიმდინარეობად, რომელიც ადამიანს აძლევს საშუალებას მაქსიმალურად გამოამულავნოს თავისი ადამიანური თვისებები, რაც შრომაში სხვა ადამიანებისადმი კეთლ დამოკიდებულებასა და ამაღლებულ ზეობაში გამოიხატება.

ჩვენ გვწამს, რომ მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა, ერის დემოკრატიული ინტერესები მაინც გაიმარჯვებს, რომ

„ვერვინ შესძლებს ამ სტიქიას

დაუკარგოს ფეროვნება,

რომ თანასწორ მზესთან მივა

თვითეული ეროვნება“.

ზელიმ ჩაკვეტაძე

17.X.1992წ.

## ვერ შევარგებო „ხალხს“ პრივატიზაციას

„ჰოი ზეცაო, ოხრებისთვის სავსე გაქვს კალთა,  
მისცემ აბანოს, წისქვილს, მიწას და არხის წყალთა,  
პატიოსან კაცს, სულით წმინდას კი პურის ქერქსა,  
ფურთხის ლირსია ეს საწუთო ფუ, ასეთს ღმერთსა“. მარ ხაიამი

სანამ პრივატიზაციის შესახებ დავიწყებდეთ ლაპარაკს, საჭიროა შევთანხმდეთ, თი ვის ვუწოდოთ ხალხი, რომ სიტყვამ, როგორც აზრთა გაზიარების საშუალებამ, ორი მოსაუბრისათვის ერთნაირი მნიშვნელობა მიიღოს. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებრობის ბურუსიდან ვერ გამოვალთ.

ჩვენი აზრით, ხალხი არის ადამიანთა სიმრავლე, მრავალი ადამიანი ერთად, მოსახლეობის ფართო მასა, რომელიც დროს მუდმივ შორმაში, ფუსფუსში, ყოველდღიურ გაჭირვებაში და ლიკმა-პურის ქებნაში ატარებს. აი, ასეთი სიტყვა ხალხის ჩვენებური (ვფიქრობთ, რომ ობიექტურიც) გაგება. რა ფული შეიძლება გააჩნდეს ადამიანების იმ ნაწილს, რომელიც თვოიდან თვემდე ხელფასზე და პენსიაზეა მიჩერებული?! ვფიქრობთ, რომ არა მარტო ჩვენი ქვეყნის მცხოვრები, არამედ ჩვენს

ქვეყანაში სტუმრად ხანდაცოფილი კაციც კი უპასუხებს – არავითარი.

სტატიის „შევარგოთ ხალხს პრივატიზაცია“-ს ავტორის ზრუნვის საგანი, რომელსაც იგი ხალხს უწოდებს, წარმოადგენს ადამიანთა ვიწრო ჯგუფს, კასტას, რომელმაც დიდებულად ისარგებლა სოციალიზმის მშენებლობა და ახლა ეროვნულ მოძრაობასაც სარგებლობს, იგი ეწევა კომერციას, ხსნის კოოპერატივებს, ბირჟებს, თამაშობს ლატარიას, ნაღდ შოუს და სხვ. ამ ადამიანების საქმიანობასა და მიზანსწრაფვაზე ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ გუშინდელი მძარველები, დღეს ცდილობენ ხელში ჩაიგდონ მსხვილი სავაჭრო და სამრეწველო ორგანიზაციები და აქციონ ერის მიერ შექმნილი საწარმოები თავიანთ მაღალშემოსავლიან საკარმილამოებად. საჭიროა მოხდეს იმ უზღვავი სიმდიდრის ნაციონალიზაცია, რომელიც მსხვილმა კომუნისტებმა მიიტაცეს სოციალიზმის მშენებლობის პროცესში.

საქმოსანთა ვიწრო წრე, რომელსაც ავტორი ხალხს უწოდებს და რომელსაც მისი წარმოდგენით პრივატიზაცია უნდა შევარგოთ, დიდი ხანია მოწყვეტილია ხალხის ინტერესებისაგან და სოციალური ბრძოლების დაწყების წინ იგი ხალხის საპირისპირო მხარეზე დადგება.

ორივე ბანაკს, დაპირისპირებული მხარეებისა, ჰყავს თავისი პატრონი და საკუთარი ძალები, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული. პირველს მაგრად ორგანიზებული, ერთ მუშტად შეკრული მაფია ხელმძღვანელობს, მეორეს – მისივე წიაღიდან გამოსული სუსტი, გაუბედავი, და უფერული ინტელიგენცია. მის სისუსტეს, გაუბედაობას და უფერულობას განაპირობებს თვით დემოკრატიული ძალების არაორგანიზებულობა და გაფატულობა.

ბატონ ოთარ ლეკვეიმვილის სტატიაში „ზოგი რამ პრივატიზაციის შესახებ“ ნათქვამია: „საქართველოს მუშათა კლასი... მშვიდობიანი გზით არ დაექირავება თავისივე წიაღიდან გამოსულ, თანამდებობის ბოროტად გამოყენებით, უშრომელი შემოსავლით გამდიდრებულს. ყოველივე ეს მოიტანს მძიმე შედეგს, დაიწყება ბრძოლა პრივილეგირებული კასტის სამეურნეო მაფიის წინაარმდეგ (იხ. „სამტრედიის მაცნეს“ 21-8-926.)“.

ეს ბრძოლა აქამდეც იყო მოსალოდნელი, მაგრამ იგი გარკვეული დროით შეაჩერა ეთნოკრიზისებმა, რომელმაც ხალხის ყურადღება თავისკენ გადაიტანა.

ეთნოკრიზისებს რომ იმპერიის ხელახალი შეკონინება არ შეუ-

ძლია, ეს წითელმა ანგელოზებმაც კარგად იციან, მაგრამ მას რომ სოციალური ბრძოლების გადავადება მოჰყვება, არც ამაში ეპარებათ ეჭვი. ამიტომაა, რომ მათ საომარი იარაღი გულუხვი მემკვიდრეობით გადმოუყარეს ხალხებს.

ხალხის ბრძოლა პრივილეგირებული კასტის წინააღმდეგ გამარჯვებით დაგვირგვინდება. მოხდება არა აუქციონზე გაყიდვა ხალხის ერთობლივი საკუთრებისა, არამედ მისი კანონიერი გადანაწილება და ამ გადანაწილების შემდეგ, დიდი სოციალური ბრძოლები გარკვეულ პერიოდში შეწყდება. დაინტება ბურუუაზიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი აღებ-მიცემობა, ყიდვა-გაყიდვა, ძარცვა-გლეჯა. ასპარეზზე გამოვლენ ახალი კარაპეტები, მეჯდანუაშვილები, ფულავები. მათ ექნებათ უნარი სავაჭრო, სამრეწველო და საბანკო კაპიტალის მართვისა. ისინი, მკაცრი მესკუთრეები, იოლად არავის დაუთმობენ რაიმეს, მაგრამ დემოკრატიული ძალები აიძულებენ მათ, რომ თვითონაც ჩადგნენ და თავიანთი მილიონებიც ჩააყენონ ხალხისა და სახელმწიფოს სამსახურში. აი, ასე გვესახება ბურუუაზიული ცხოვრების რესტავრაცია და არა ისე, როგორც ზოგიერთს წარმოუდგენია: გავიტანოთ სოციალისტური საკუთრება ბირჟაზე და გავყიდოთ, მოხდება ბურუუაზიის რესტავრაცია და ვიცხოვრებთ „ფრანციცულად“ და „ნემეცურად“.

„ეროვნული თანხმობისა და ალორძინების კავშირის“ მიერ გამართულ აუქციონზე წითელი საბუდოებიდან ამოსული „ხალხი“ მილიონებით გამოცხადდება და თავის ნაქურდალ ქონებას სახელმწიფოს გერბიანი ბეჭდით „გააპატიოსნებს“, ხოლო ხალხის ცნობისმოვარე ნაწილი თუ გამოივლის ამ ვაჭრობაზე, მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაიგოს თუ როგორია აუქციონი.

„ხალხმა“ შეირგო (ყოველ შემთხვევაში შერგებულია ჯერ-ჯერობით) რუსული სოციალიზმი, იჯარა, კოოპერაცია, მიწის პრივატიზაცია. ისინი ისე მოქნილად მოქმედებენ, რომ გლეხს თავის დღეში წელში გასწორების საშუალებას არ მისცემენ. როგორც კი გაიგეს გლეხს მიწა მისცესო, მამინვე დაადვეს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, საწვავ-საცხებ მასალებს, შხამ-ქიმიკატებს და საქველმოქმედოდ შემოტანილ სურსათს იმოდენა ფასები, რომ ისედაც გაძვალტყავებულ გლეხს ხერხემალი გადუმტვრიეს. ახლა მას ნამდვილად შეუძლია თავი ინუგეშოს ლორთქიფანიდისეული სიმღერით „დრამხტი-ტარო დრიმხტი-ტარო, მიწის ზემოთ მაინც ვარო“.

ქართულმა ეროვნულმა მოძრაობამ, ერის დემოკრატიული მმარ-

თველობის მაგივრად, „ხალხის“ ინიციტივით დაამყარა კომერციული მმართველობა, რომელსაც აუცილებლად ბოლო უნდა მოეღოს.

სახელმწიფო ქონების მართვის რაიონული განყოფილებისა-გან მოვითხოვთ, რომ ჩატარდეს მთელი სოციალისტური ქონების ზუსტი ინვენტარიზაცია. გავაგებინოთ ხალხს ქონების რა ნაწილის დატოვებაა აუცილებელი სახელმწიფოს ხელში და რა შეიძლება გადანაწილდეს გაიცეს თითოეულ მოქალაქეზე სერთიფიკატი, რომელშიც გათვალისწინებული იქნება ფულის ინფლაციაც. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი წააგებს.

სერთიფიკატი შეიძლება დაამატოს მოქალაქემ გარკვეული რაოდენობის თანხა, მაგრამ მილიონები არა. რადგან მილიონები აქვს „ხალხს“ და არა პატიოსან მშრომელს. „ხალხმა“ უკეთეს შემთხვევაში, თავისი მილიონებით მიირთვას კარაქი, ყველი, ხორცი, ფრანგული კონიაკი, შეიძინოს ანტიკვარული ნივთები, მაგრამ წარმოების საშუალებები – არა. რადგან წარმოების საშუალებებზე მათი ბატონობა გამოიწვევს პოლიტიკურ ბატონობასაც და ავი კაცების პოლიტიკურ ბატონობას ხალხი ვერ დაუშვებს და თუ დაუშვებს, უარეს დღეში ჩავარდება.

დღეს „ხალხი“ ხალხს ორი მიმართულებით ექაჩება: 1. ძველი-საკენ. 2. აუქციონისაკენ. ზოგ კაცს კოლმეურნეობა ისე ეყვარებია, რომ გრძნობის დაფარვა ვერ მოუხერხებია და თავისი სიყვარული გაზითით განუცხადებია. „მიჯნური მტერსაც შეებრალებისო“ ამბობს რუსთაველი. ვთხოვთ ბრიგადირებს ხშირად მიაკითხონ საბრალო მიჯნურებს ჭიშკარზე და მათი მიჯნურების ამბები შეატყობინონ.

ზოგი კიდევ იგონებს ათასნაირ ბირჟებს, ლატარეას, ნაღდშოუს, კომერციას, კომპერაციას, ბიზნესს, მენეჯერს და ვინ მოთვლის რამდენნაირი ცია-ციების კორიანტელი დააყენეს საწყალი ხალხის თავზე. პატიოსანი სიტყვის თქმას, სწავლული კაცები, როგორღაც ერიდებიან. არ უნდა მოერიდონ, პირდაპირ უნდა განუცხადონ ხალხს სიმაღლე, რომ ზემოთ დასახელებული ცია-ციები წარმოიქმნა მაგრადგანვითარებული ბურჟუაზიული წარმოების ბაზაზე, რომელიც დადებით როლს თამაშობს კაპიტალისტურ სამყაროში. ხოლო სოციალისტურისათვის, იგი დამღუპველია, ხალხის ძარცვაა და სხვა არაფერი. რა ბიზნესზე და მენეჯერზე უნდა ილაპარაკო შენი გაძვალტყავებული კოლმეურნეობის შემყურემ?! ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ფულის შოვნისა და დაგროვების ორი გზა არსებობს:

1. შრომა, 2. სპეცულაცია (სპეცულაციაში ფართო გაგებით იგულისხმება ყოველგვარი ავკაციობა).

საბაზრო ეკონომიკა, რომელზედაც ხშირად ლაპარაკობენ, მართლა ბაზრობა არავის ეგონოს. მისი შექმნის არავითარი პირობა ჩვენში ჯერჯერობით არ არსებობს, გარდა სურვილისა. რა საბაზრო ეკონომიკაზე შეიძლება ილაპარაკო კაცმა იმ ქვეყანაში, სადაც მთელი მრეწველობა მონოპოლიზირებულია. მონოპოლის პირობებში საქონელი იყიდება იმ ფასად, რასაც მწარმოებელი ადებს. შეიძლება არ მოგეწონოს ქერნარევი პურის ნამცხვარი, მაგრამ სად ნახვალ?!

– უნდა იყიდო.

გორბაჩოვისეულმა პერესტროიკამ წითელი საბუდრებიდან წამოყარა მთვლემარე წითლები და მრავალპარტიულ ბირჟაზე გაიყვანა, სადაც ისინი ყველაზე მოხერხებულად, ყველაზე შენიდბულად და ყველაზე მომგებიანად მოქმედებენ თავიანთი ეგონისტური მიზნების განსახორციელებლად და საზოგადოების გულუბრყვილო ნაწილი ამაოდ ელოდება მათგან ოქროს კვერცხის დადებას.

დროა რომ ხალხმა დაინახოს და მსჯელობის საგნად აქციოს წითელი პოლიტიკოსების სატყუარები. გაიხსენეთ რამოდენა იმედით შესვდა ხალხი იჯარას, კომპერატივს, კომერციას. ისეთივე სატყუარაა აუქციონიც.

აუქციონზე შეიძლება გაიყიდოს ქარხნის გარკვეული ნაწილი საზღვარგარეთულ ბიზნესმენებთან, რომელთა შემოსვლა ჩვენში აუცილებელია, ჩვენი დახავსებული წარმოების გამოსაცოცხლებლად.

კომუნისტური მაფია ყოველნაირად ცდილობს მომწიფებული სოციალური კატასტროფა გადადოს ეთნოკრიზისების ხარჯზე. ეს ასეა რუსეთის მთელ ყოფის იმპერიაში. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ ეროვნული და სოციალური ინტერესების გათიშვა, მას სიკეთეს ვერ მოუტანს და მან უნდა იბრძოლოს ფრონტის ორ ხაზზე. თუ პირველზე ერი ერთსულოვნად იბრძვის, მეორეზე აქა-იქ გავარდება იდეოლოგიური ყუმბარა, მაგრამ იგი გამოხმაურებას ვერ პოულობს და რჩება ხმად „მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
30.X.1992წ.

## „320 თქვენ ხელში ჩვენს საქართველოს!“

„იმისთანა მცურალს ვაქებ,  
მიღესავდეს ზარაფ-ხუთოს,  
არ თუ ისეთს, უწამლობით პირში  
სული ამომხუთოს“:  
**დ. გურამიშვილი**

„ყოჩალ ცუგავ, ერთი შეხე  
ამ ფინიას, შვილოსაო,  
ჩანს, რომ არის ლონიერი  
ისე უყეფს სპილოსაო“.

ბატონო ლევან, მე თურმე თქვენი აზრით, ცოდვა ჩამიდენია და წმინდა სახელისათვის შეურაცხყოფა მიმიყენებია იმით, რომ მითქვამს ჯვაროსნულმა ომებმა და შინააშლილობებმა დაასუსტა არაბეთის იმპერია, ეს მე ასე მასწავლეს და ასე ვასწავლი. ეს თუ ცოდვაა, მაშინ წაწყმედილა საქართველო და მის წაწყმედაში მარტო მე ნუ დამადანაშაულებთ, რადგან გრიგოლ ბარამიძისა და გორგი ჯაკობიას ძველი ქართული ლიტერატურის VIII კლასის სახელმძღვანელოში, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ (გამომცემლობა „განათლება“ 1980წ.) 57-ე გვერდზე წერია:

„XI საუკუნის დასასრულიდან საქართველოსადმი მტრულად განწყობილი მუსულმანური ქვეყნები ჩაბმულნი იყვნენ ე.წ. „ჯვაროსანთა ამებში. ამ ომებმა დაასუსტა საქართველოს მტრები. შექმნილი პირობებით კარგად ისარგებეს საქართველოს მეფებმა და თანდათანობით დაიბრუნეს წინათ დაკარგული მიწები. ამ ხანებში სქართველოს სამხედრო ძლიერება თანდათანობით გაიზარდა. დავით აღმაშენებელმა ჩრდილოეთ კავკასიოდან 40 ათასი ყიფჩალი წამოიყვანა...“ ასე მასწავლეს და ასევე მარტივივად ვასწავლი მეც. ასევე მარტივად შევახსენე მკითხველს ისტორიული წარსული. თქვენ, თქვენი იბ-ნალ-ნასირებით, ნეჯმ ად დინ ილღაზებით, დურბუზ პორლულ მოჰამედებით, თულან არსდან და ქენ თორლდებით კი არ მსჯელობთ, არამედ ცოდნის რეკლამირებას ახდენთ.

რაც შეეხება „კურდლის ენა კურდლელმა იცისო“, შეგახსენებთ რომ, თქვენ, ძალიან შორს ბრძანდებით ენებიდან. თქვენს გონებას რომ ენებამდე თუნდაც საზარბაზნე მანძილზე მაინც მიელწია, აუცი-

ლებლად მიიღებდით წარმოდგენას „ეზოპეს ენაზე“ და საგანთა თვისების აღწერის საფუძველზე აღმწერელს აღწერილს არ შეადარებდით.

თქვენ იბ-ნალ-ნასირების და სხვათა კითხვის მაგივრად ერთხელ მაინც რომ გადაგეშალათ იოსებ სტალინის წიგნი და ამოგევითხათ: „თუ გინდა მტერს სძლიო, იგი შენზე ძლიერად წარმოიდგინეო“ მაშინ, „დაჭრილი არწივი“ მოპირდაპირეს კურდლელთან არ გააიგივებდით.

რაც შეეხება თქვენს შეხედულებას იმის შესახებ, რომ „ფაშიზმი“ უსამართლობის საკუთარ წევნში მოიხარშა“, პირველად გავიგონე ის, რაც არ გამიგონია და არც ვფიქრობდი ოდესშე გამეგონა მსგავსი რამ. მისით მოიხარშა კი არა, მისმა განადგურებამ დედამიწა შეაბარბაცა და კაცობრიობა სისხლისა და ცრემლის მორევში ააცურა. თუ თქვე, მაგნაირად ასწავლით ისტორიას ჩვენს ბავშვებს, მაშინ ვაი თქვენისთანა მასწავლებლის ხელში ჩვენს საქართველოს, თქვენ დასცინით ჩემს კონფორმიზმს, აქაც ცდებით. მე მსოფლმხედველობით კონფორმისტი კი არა, მეამბოხე ვარ. და თუ გარკვეულ პირობებში კონფორმიზმზე გადავდივარ, ეს ნაკარნახევია არა სუბიექტური, არამედ ობიექტური ფაქტორებით. თქვენი სტატია რომ წავიკითხე, იმ წუთებში პურის მაღაზიაში შევედი. მოხუცი მამაკაცი ძლივს გამოძვრა რიგიდან, მკერდზე ორი პური ჰქონდა ორივე ხელით მიხუტებული. ანული წარბები ამტკიცებდა მის კმაყოფილებას, რომ დღეის ლუკმა იშოვა. მიბრძანდით და უკითხეთ მას თქვენი პორტია. დაჭრილი არწივის შესახებ, რომ იგი ჭრილობას მოიშუშებს და მას „ფრანციულ“ ცხოვრებას მოუწყობს, მე კი მეითხველს გალაკტიონის ლექსს შვახსენებ:

„სული მრავალ ჩვენგანის ტბაა მთაში ჩასმული,  
გამჭირვალე სარკეა შუქით შემოპარული...“

მასში ტყე ჩამარხულა მშუენიერი ჩრდილებით.

ზეცა ფერად-ფერადი ღრუბელთ აყვავილებით,  
სიღრმეში კი არც მზეა, არც ღრუბელი მავალი,  
იქ ირევა ათასი შავი ქვეწარმავალი“.

თქვენ, ვერ გეპულობთ, რომ ჩვენი კონფორმიზმი გამოწვეულია არა პირადული, არამედ ეროვნული ინტერესებით, თორემ მე ჩემი ცხრა ნომერი სათვალეებით ზარბაზნებთან რომ აღარ დამაყენებენ (ფის რაში სჭირდება ბრუციანი ბებერი) ეს კარგად ვიცი.

თქვენი არწივობის რა მოგახსენოთ და მე კი იმ ადამიანთა კატეგორიას ვეჯუთვნი, რომლებმაც მეორე მსოფლიო ომში 700 ათასი კაცი გააგზავნეს და თვითონაც უნარის მიხედვით ზოგი წინ გაუძლვა, ზოგიც რიგით წევრად გაჰყვა. მათ გაგზავნასაც და გაყოლასაც

ჰქონდა ვაჟეაცური აზრი და გამართლება. დღეს რუსეთთან საომად ხალხის გამოყვანას მე ვერ ვიკისრებ. რატომ?! შეიძლება მართლა მშიშარა ვარ, შეიძლება ერს ვდალატობ? – არა! არც ერთი და არც მეორე, ღმერთმა დამიფაროს ორივესაგან. მე ის ვარ, ვინც მოითხოვს, რომ ადამიანის სიცოცხლესაც და სიკვდილსაც აუცილებლად ჰქონდეს აზრი და გამართლება.

თქვენ ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნით, რომლებიც რამდენიმე სიტყვას მოუსმენენ მოპირდაპირეს, წინადადების დამთავრებასაც არ აცლიან, ისე დაუწყებენ კამათს. ეს რომ ასე არ იყოს, თქვენ მოისმენდით ჩვენს სიტყვას და მიხვდებოდით, რომ ჩემი ერთგვარი კონფორმიზმი გამოწვეულია ერის ფიზიკურად გადარჩენის და არა რუსეთთან დამონების მიზნით. წაგეკითხათ ბოლომდე, რომ მე მოვითხოვ ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობისათვის მყარი საფუძველის ჩაყრას ერის მიზნობრივი სიმტკიცისა და სახალხო მეურნეობის განვითარების გზით.

იმასაც მოგახსენებთ, რომ ქართველმა კაცმა ხელი უნდა შეუწყოს რუსეთში მიმდინარე დემოკრატიულ პროცესებს, რადგან მისი ბედი დამოკიდებულია ამ პროცესებზე. თუ უბედურად რუსეთში დიქტატურამ გაიმარჯვა (ლმრთმა ნუ ქნას), ძალით დაგიმორჩილებს, თუ დემოკრატიამ გაიმარჯვა, დემოკრატებს სადაო არაფერი აქვთ ერთმანეთში. იმის იმედით რუსეთთან ომი, დასავლეთი მოგვეხმარებაო, როგორ შეიძლება? ვაჟა-ფშაველას მოყვარულს შეგახსენებთ რომ „სხვისი იმედით მცხოვრები ბრიყვი იქნება ტიელი“.

გაეროს ჯარის შემოსვლა საქართველოში კაცობრიობას დააყენებს მსოფლიო ომის წინაშე. თქვენ ცეცხლსა და რკინას ეხუმრებით, დაჭრილი არნივები ვართო. თქვენ რომ ფილოსოფიაში იხედებოდეთ, გეცოდინებოდათ, რომ ყოველი არსების ძირითადი პრინციპი არის არსებობის შენარჩუნება.იგი წარმოადგენს არსებათა მოქმედების ბაზისს. რუსთაველის ფრიდონი გარბის, რომ როგორმე სული გადაარჩინოს. ლევან ბუაძე ეტაკება ვეშაპს. რომელია მათ შორის ბრძენი და რომელი შლეგი?

„რაც შეეხება საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობას, იგი აუცილებელია, მაგრამ ისე, რომ ეროვნული ინტერესები არ დაზარდდეს“. (იხ. „ჩვენი პოზიცია“, „სამტრედიის მაცნე“ 1991წ., 17-10).

მე რომ საკუთარი პოტენციური შესაძლებლობებისა მწამს, ეს ჩანს ჩემს სტატიაში „რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის შესახებ „ჩვენ ჩვენი შრომა შეგვონახავს“ (იხ. „სამტრედიის მაცნე“

1993წ., 2-11). „თუ საქმედ გონივრულად მოვეკიდებით, ჩვენი მიწა ჩვენს ერს აუცილებლად გადაარჩენს“ (იხ. „ისევ მიწის საკითხის ირგვლივ“ 1991წ., 18-5) ხაზს ვუსვამ გამონათქვამს – თუ საქმეს გონივრულად მოვეკიდებით.

მე მონობას კი არ გაჩვევთ, გთხოვთ და გირჩევთ, რომ გონება მოიკრიბოთ, არც თავი და არც ერი არ დაღუპოთ, თქვენ რომ ისეთივე მეომარი არ იყოთ, როგორი პოლიტიკოსიც ბრძანდებით, მაშინ აუცილებლად გეცოდინებოდათ რომ მეომარმა ხუთი რამ უნდა იცოდეს აუცილებლად: 1. ვის? 2. რატომ? 3. როდის? 4. სად? და 5. რა საშუალებებით ებრძის, დანარჩენი დამოკიდებულია სუბიექტის ნიჭიე და უნარზე. თქვენ ამ ფაქტორებს არ ითვალისწინებთ. ასეთი მეომარი დაღუპავს ქვეყანას, ამიტომ მე მას თქვენს სამართავად ვერ გავრინავ.

რაც შეეხება თქვენს მოთხოვნას „ერმა თავისი პროდუქცია აწარ-მოოს“, ამის სწავლება საზოგადოებას არ სჭირდება, უთქვენოდაც იცის. თქვენ დიდ კაცად ჩაგთვლით მაშინ, თუ აღმოაჩენთ – რა გზით?

მე არ მიქადაგია, რომ ჩვენმა მრეწველობამ საკუთარ ნედლეულზე არ იმუშაოს, პირიქით. მე ამას მივესალმები, მაგრამ სანამ ამის საშუალება არ არსებობს, გამოვიყენოთ რუსული. ამას მე ვქადაგებ არა რუსებით შიშით ან სიყვარულით, არამედ შიმშილის შიშით, რომლის გრძნობაც ქართველ კაცს უკვე ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი. ყოველდღე უარესს ელოდება.

თქვენი შეხედულება, რომ „რუსეთის ეკონომიკას უფრო სჭირდება საქართველო, ვიდრე საქართველოს ეკონომიკას – რუსეთი“, მცდარია. რუსეთისათვის საქართველოს აქვს დიდი გეოპოლიტიკური და პატარა ეკონომიკური მნიშვნელობა. რჩევა, შეეშვიოთ თქვენს ეკონომიკის მასწავლებელსო, „იგი ახლა დიდი კაცია“ მაკვირვებს. კაცი მასწავლებელს არ იცნობდე, სამყაროს მერვე საოცრებაა, ჩემი მასწავლებელი თვითონ ცხოვრებაა, გლეხი კაცია და თუ თვეენ გლეხის გადიდკაცება შესძელით, მესია ბრძანებულხართ. ადრე რომ მცოდნოდა, არ შეგედავებოდით, რადგან მესის აზრი, მოგეხსენებათ, კრიტიკას არ ექვემდებარება. თქვენი შეხედულება, რომ დასავლეთელი ბიზნესმენები სიამოვნებით ამოგვიდგებიანო გვერდში, მოითხოვს დადასტურებას, რომ ისინი შენ არ დაგაზარალებენ ამ ამოდგომით. იმას თუ აქცევთ ყურადღებას, რომ დიპლომატები შეხვედრისთანავე გვეკითხებიან, როგორი ურთიერთობა გაქვთ რუ-

სეთთან? თქვენ სიფრთხილეს თხოულობთ მოლაპარაკებაში, ეს საჭიროა, მაგრამ ყველაფერს თავისი დრო აქვს. მე დიპლომატებთან საერთო არაფერი მაქვს, მხოლოდ გლეხური პოზიციიდან ვიცი, რომ დიპლომატების ხელწერას მაშინ აქვს ძალა, როცა კალამი სისხლშია ამონობილი. მე ყოყოველნაირად ვერიდები სისხლში კალმის ამონობას. ახლა თუ შეიძლება გარკვეულ დათმობაზე წაიყვანო მოპირდაპირე მაშინ, როცა კალამს სისხლში ამოგანობინებს, ერთ გრამს არაფერს დაგითმობს, ორმაგად წააგებ, სისხლსაც დაღვრი და საქმესაც დააზარალებ.

წერთ: თქვენი შემოქმედების მწვერვალზე იგრძენით თავიო, აქაც საშინლად ცდებით. ჩემი შემოქმედების მწვერვალზე მე მაშინ ვიგრძნობ თავს, როცა ავი კაცების სულებიდან ამოვყრი იმ ქვენარმავლებს, რომლებზეც გალაკტიონის ლექსშია ლაპარაკი. თქვენი მანასე მაკვირვებს. მე ვიდექი და ვდგავარ ერთ პოზიციაზე. ასე რომ, პოეტის თქმისა არ იყოს „მე იგივე ვარ მარად და მარად“. თქვენ სხვადასხვა პოზიციებზე დგახართ. რომელი ჩვენგანია მანასე? – მკითხველმა გაარკვიოს.

თქვენ ცდილობთ კომუნისტებთან წამაჩეუბოთ. ნუ შეწუხდებით, მე უთქვენოდაც ვეჩენუბები „წითლებსაც“ და „მრგვალებსაც“. ეს ჩეუბი უეფექტო არ არის, ბევრი მათგანი ღებულბს ჩემს მოთხოვნებს მთელ რიგ საკითხებზე.

რაც შეეხება თქვენს მიერ გაიდეალებულ თემურ შაშიაშვილს, იგი ჯერ პალიმფსესტია, ვნახოთ რა დაინერება მასზე. ისე დაუნერელი წიგნის ქება ან გინება, ჩემი აზრით, მხოლოდ ბრიყვს შეუძლია. თუ პალიმფსესტი ახალი მასალის მაგივრობას გასწევს, მე სადაო რა უნდა მქონდეს. თუ კომუნისტები, შეკონიწდებიან, ბევრს ისინი დათმობენ, ცოტას ჩვენ და როგორმე მოვრიგდებით. ასე რომ ამ საქმეშიც, თქვენ მაიაკოვსკის სიტყვებით რომ ვთქვათ, „В море шлёнеш головой“.

და ბოლოს, თქვენ, პრეტენზია გაქვთ პარლამენტარობაზე, კეთილი, ბატონო, მხოლოდ შეხედულებანი უნდა შეიცვალოთ, ცხოვრებას რეალისტის თვალით შეხედოთ, თორემ თუ იმ აზრით მოიმართა საზოგადოება, რომელზედაც ამჟამად თქვენ დგახართ, მაშინ „ვაი თქვენს ხელში ჩვენს საქართველოს“.

ზელიძე ჩაკვეტაძე  
6.IV.1993წ.

## დემოკრატია და დიქტატურა

„ბევრი რამ ხდება, ჰორაციო ქვეყნად ისეთი,  
რაიც ჩვენს პრძენებს სიზმრადაც არ მოლანდებიათ“.  
**უ. შექსპირი**

საზოგადოების გარკვეული ნაწილი შეგუებულია დიქტატორულ რეჟიმს. მუდამ იმაზე იცნებობს, რომ ქვეყანას დაეპატრონოს ძლიერი ხელი, რომელიც დაამყარებს შრომის სუფევას და სამართლიანობას კაცთა შორის. საზოგადოების ეს ნაწილი მოკლებულია შემოქმედებით უნარს და ზევიდან მოსული დადგენილებების უსიტყვოდ შემსრულებელია. მას არა აქვს მოვლენებისადმი კრიტიკული დამოკიდებულება.

ტოტალიტარიზმის მოყვარულებისაგან ხშირად გაიგონებ გამოთქმას: „ახლა რომ სტალინი წამოაყენო“. იმას არ ფიქრობენ, რომ ტოტალიტარიზმი ძალას კარგავს და მისი დასამარება დაკავშირებულია ადამიანის მაღალ შეგნებასთან, რომ „პიროვნების დიდება“ , როგორც მაქსიმ გორკი ამბობდა: „სიცრუეა ხალხისაგან თავისი თავის ფასის უცოდინარობითა და თავის მონურად დამცირების გზით წარმოშობილი“.

ადამიანებმა იციან, რომ ისინი სხვადასხვა ძალისანი არიან, ერთნაირად ვერ იცხოვრებენ. მაგრამ ამას კი მოითხოვენ, რომ პიროვნება დააყენონ იმ წერტილში, სადაც იგი შესძლებს მაქსიმალურად გამოამჟღავნოს თავისი სასიკეთო მიღრეკილებანი და მეტი სარგებლობა მოუტანოს როგორც თავის თავს, ისე საზოგადოებას. გახადოს პიროვნება თავისი უნარის შესაფერის შემოქმედ არსებად. მაქსიმ გორკი დიდი ხნის წინათ წერდა: „სიცოცხლის აზრს მე შემოქმედებაში ვჭვრეტ, ხოლო შემოქმედება თვითადათია და გარეშე მოუწერელი“ (მ. გორკი, მოთხრობები, ტ. III, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1958წ.).

დიქტატურას უყვარს მიტინგები და დემონტრაციები მხოლოდ ისეთი, რომელიც ხალხს მოუწოდებს დიქტატორის აზრების განხორციელებისაკენ, მისი მხარდაჭერისაკენ, მაგრამ საწინააღმდეგოს იგი ვერ იტანს და მზად არის, რომ თუნდაც ზღვა სისხლის ფასად მოსპოს ყველა საწინააღმდეგო აზრი. იგი საზოგადოებას სამყაროში არსებული ექვსი ძირითადი მიმართულებიდან ექაჩება უკან და ქვევით.

თუ ივანოვი არის კარგი ავტომობილისტი და ორგანიზატორი, მა-

გრამ უპარტიო, რატომ არ უნდა ვამუშაოთ ავტოქარხნის დირექტორად?! ჩვენში გაბატონებული ტრადიციის მიხედვით, მხოლოდ წითელ კატას უნდა დაეჭირა თაგვი, შემდეგ მრგვალს, შემდეგ კომერსანტს.

მთავრობის წინაშე ხალხს ყოველთვის ჰქონდა და ექნება ერთი ძირითადი მოთხოვნა – ყველაფერი მოაწყოს ისე, რომ დამყარდეს შრომის სუფევა.

ყოველი მეცნიერული შრომა, ყოველი სიმღერა, ყოველი სტატია, ყოველი სიტყვა, ყოველი მიტინგი, ყოველი სპექტაკლი, რომლებიც ხელს ვერ შეუწყობენ შრომას, ვერ შემატებს ადამიანებს შრომის ხალის, ვერ მოუწოდებს ხალხს შრომისაკენ, არარაობად უნდა ჩაითვალოს.

მიტინგები უნდა აიკრძალოსო, ხშირად მოისმენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისაგან. ასეთი განაცხადი არ მიგვაჩინა სწორად. დემოკრატიული აზრი მიტინგებს და დემონსტრაციებს ვერ აკრძალავს, მისი აკრძალვა დიქტატურის სტიქიაა და არა დემოკრატიისა. დემოკრატიული აზრი მხარს უჭერს ისეთ მიტინგებს, რომელიც მოითხოვს საზოგადოებრივ წესრიგს, ხელს უწყობს შრომის სუფევის დამკვიდრებას და მთავრობისაგან ისეთი ღონისძიებების მიღებას ხალხის კეთილდღეობას რომ გააუმჯობესებას.

თუ საზოგადოება ოდესმე ისე გაგიუდა, რომ შრომის სუფევის წინააღმდეგი გამოვიდა და გამოიტანა ლოზუნგი არ გვინდა შრომა, მოგვეცით პური მუქთადო... დარბევით მაინც ვერ დავარბევთ, რადგან ასეთი პრეტენზიების წამოყენება მხოლოდ ავადმყოფებს შეუძლიათ და ავადმყოფებს, როგორც წესი, სჭირდებათ ექიმი და წამალი და არა ცეცხლი და მახვილი, ხოლო თუ მთავრობა დაარბევს სამართლიანობის მომთხოვნ მომიტინგებს, მაშინ იგი უნდა დაისაჯოს.

ტოტალიტარული სახელმწიფო ვერ იტანს პარალელურ სტრუქტურებს. ეს ლაიტმოტივი გასდევდა წითელ მთავრობას, შემდეგ მრგვალს, დროებითს და ახლა კომერციულს. გასულ წელს სტატიაში „თანამედროვეობის ეკონომიკური პრობლემები“, რომელშიც ძირითადად ვაჭრობის საკითხს შევეხე, ვწერდი: „რა კონკურენცია შეიძლება გაუწიოს კომპერატივმა მსხვილ საწარმოს?!“ უნდა ითქვას, რომ მოხდა სასწაული, მან იგი გააჩერა. ვინ მისცა უბრალი კომპერატორს მსხვილი საწარმოს გასაჩერებელი ძალა?! – კომერსანტებმა და კომპერატორებმა შესძლეს ხელში აეღოთ მართვის სადავეები, მთავრობამ ხელი შეუწყობას თავისი უმოქმედობით. თუ მოვლენებს მიყვებით აღმოჩნდება, რომ მთავრობა უფრო მეტად კომერსანტებს იცავს, ვიდრე ხალხს. შეიძება ვინმემ თქვას, რომ მეტი არ შეუძლია და რა ქნასო?

თუ უბრალო კომერსანტი ან კოოპერატორი ახერხებს ნედლეულის და საქონლის შემოტანას და ქალაქის მერი, რომელსაც გააჩნია პრეროგატივა სახელმწიფო ბანკში და ტრანსპორტზე, ამას ვერ შესძლებს, მაშინ იგი ან შეკრულია მაფიასთან ან უუნაროა. იგი თავისი გამგეობითურთ უნდა გადადგეს.

ჩვენ რუსული სოციალიზმი უნდა დაგვემარცხებია პარალელური სტრუქტურების არსებობით და არა მუშტით. 1990 წლის მრავალ-პარტიულ არჩევნებში კომუნისტებმა 34 პროცენტი მიიღეს, რაც ძალზე მაღალია. მუშტის დარტყმით ამდენი კაცის აზრის განადგურება დემოკრატიას არ ეკადრება. კოლმეურნეობები, რომლებიც ჩვენში არსებული ყველა მთავრობის ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენდნენ და ახლაც წარმოადგენენ, ღვთის ანაბარა არიან მიტოვებული. არც ერთ პოლიტიკურ პარტიას მასზე არ უზრუნვია და არც ზრუნავს, თუ კოლმეურნეობა გინდა, მისი პატრონიც უნდა გინდოდეს. ხოლო მისი კანონიერი პატრონები კომუნისტები არიან. მხოლოდ მათ შეუძლიათ ყველაზე უკეთესად უპატრონონ თავის პირმშოს. ხალხს უთქვამს „მუნჯის ენა დედამ იცისო“.

გავა დრო მსოფლიო კომუნისტური მოძრაობა გვკითხავს: რას აკეთებენ კომუნისტები დემოკრატიულ საქართველოში? – რას უპასუხებ? არ არსებობენ? თავისით დაიშალა? ტყუილი იქნება. ისინი არსებობენ და საკმაოდ ძლიერი არიან. მალე ალბათ შეკონინდებიან. მაგრამ დემოკრატიამ ისინი უნდა წაიყვანოს დათმობაზე: 1. ხელი აიღონ ტოტალიტარიზმზე. 2. სცნონ ინტელიგენცია ეპოქის გონებად. 3. სცნონ მიწისა და წარმოების საშუალებების გარკვეულ ნაწილზე კერძო საკუთრება. 4. ხელი შეუწყონ ჯანსაღ ეროვნულ და ინტერნაციონალურ ტრადიციებს.

რაც შეეხება მათ სათაყვანებელ კოლმეურნეობას, რომლის ერთ-ერთი საშინელი მონინაალმდეგე მეც ვარ, უნდა ითქვას, რომ მის ყველაზე ცუდ თავმჯდომარეს მეტ კაცობას მოვთხოვ, ვიდრე გზაბნეული ადამიანების მიერ მონონებულ ნაღდი შოუს ავტორებს – კომერსანტებს, კოოპერატორებს და ბიზნესმენებს.

რაც შეეხება კომუნისტების შეხედულებას ერთიბლივი შრომის სესახებ, უნდა იტქვას, რომ ჩვენთვის არსებითი მნიშვნელობა აქვს სოფლის შენებას. ჩვენთვის მთავარია, რომ მამაცის შრომის ხარჯზე ზარმაცი არ გასუქდეს. ასეთმა კოლმეურნეობამ შეიძლება მიიღოს დემოკრატიული ხასიათი, რომელიც განსხვავებული იქნება ყაზარ-მული კოლექტივისაგან.

ჩვენ რუსული სოციალიზმი უნდა დაგვემარცხებია იდეებით. ორგანიზებული შრომით და არა მუშტით. მუშტის ხმარება ძლიერ იდეოლოგიას არ სჭირდება. იგი მხოლოდ სუსტების სტიქია. დე-მოკრატიული აზრი მუშტის გარეშეც იპყრობს ადამიანის გონებას.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ავგიას თავლად ქცეულ კავკასიაში კომუნისტური იდეოლოგია აღარ არსებობსო – შემცდარია. იგი მხოლოდ დროებით გაუჩინარდა და დიდი დრო არ სჭირდება ძვლებისმთებელი იდეოლოგების გამოჩენას. მათი შეკავება და დამორჩილება მხოლოდ დემოკრატიულ აზრს ხელენიფება. სხვა ძალები მის წინააღმდეგ საომრად არარაობას წარმოადგენენ.

დემოკრატიამ უჩინმაჩინის ქუდი უნდა მოხადოს მათ და შემდეგ შეუტიოს.

თუ ისინი მიიღებენ ზემოთ ჩამოთვლილ ოთხ მოთხოვნას (ლმერთმა ინებოს) მაშინ ყველაფერი მშვიდობიანად გადაწყვდება. ისინი დემოკრატიულ მსოფლმხედველობას შეუერთდებიან. მათ უნდა გაიგონ რომ დემოკრატიას „მრავალი ბურჯი აქვს ყველა მხოლოდ ფოლადის“, რომ დემოკრატია ეს არის უდიდესი სახელმწიფო ორგანიზაციი. ზნეობრივი და ოურიდიული კანონების დაცვა, ბოროტები-სადმი შეურიგებლობა, ადამიანის ნიჭისა და უნარისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება, შრომის სუფერვა, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების გათიშვა და შრომის ყველაზე მაღალი ნაყოფიერება. აი, ეს იქნება დემოკრატიის და საერთოდ კაცთა ცხოვრების ნამდვილი ზეიმი და გამარჯვება.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
30.X.1992წ

## რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ინტეპრეტაცია

დღეს, როცა ეროვნული გმანადგურებელი მოძრაობის წყალობით საქართველო ავგიას თავლას დაემსგავსა, ქართველი კაცი აღმოჩნდა გზაჯვარედინზე, საიდანაც აუცილებლად ის ორიენტაცია უნდა აიღოს, რომელიც უფრო ახლოს იქნება გონებასთან, გადარჩენის რეალურ შესაძლებლობებთან. ერთნი გაიძახიან საქართველოს კავკასიური ოჯახი გადაარჩენსო, მეორენი სრული დამოუკიდებლობისა და კარჩაკეტილობის აზრისანი არიან, „ოლონდ დამოუკიდებლად ვიყოთ და ბალახს მოვძოვთო“, მესამენი ხმის ჩახლეჩამდე გაჰყვირიან

დასვლეთი გადაგვარჩენსო. მეოთხენი ირწმუნებან, რომ „ურუსეთოდ ცხოვრება არ შეიძლებაა“, გადავხედოთ ზემოთ ჩამოთვლილ პოლიტიკოსთა შესედულებებს.

1. კავკასიური ოჯახის შექმნა დაკავშირებულია თითქმის დაუძლეველ წინააღმდეგობებთან, რადგან კავკასია თავისი სარწმუნობრივი მრნამსით, კულტურით, ეთნიკური ჯგუფებით და ეკონომიკითაც იქამდე ჭრელია, რომ მისი გაერთიანება თვით ამერიკული მრავალფეროვანი დროშის ქვეშაც გაძნელდებოდა. კიდევაც რომ მოხერხდეს ეს გაერთიანება, საქართველო, როგორც ქრისტიანული ქვეყანა, იდეოლოგიურად წააგებს, რადგან იგი მრავალსაუკუნოვანი ქრისტიანლი ქვეყანაა და კულტურის დიდი შედევრების შექმნა მხოლოდ ამ იდეოლოგიაზე დაყრდნობით შეუძლია და სხვა რელიგიურ გარემოცვაში მიუხედავად მოსახლეობის დიდი ნაწილის ათეისტურობისა, დიდს ვერაფერს გააკეთებს.

2. რაც შეეხება „ბალახის მძოველთა“ იდეოლოგიას, უნდა შევახსენოთ მის მესვეურებს, რომ გზაჯვარედინზე მცხოვრები პატარა ერის აბსოლუტური დამოუკიდებლობა, მანამ სანამ არსებობენ ზესახელმწიფოები, შეუძლებელია არა მხოლოდ ეკონომიკური და იდეოლოგიური, არამედ სამხედრო თვალსაზრისითაც.

3. დასავლური ორიენტაციის გზით სიარული შეუძლებელია ორი დიდი მიზეზის გამო.

ა) რუსეთი კავკასიაში თავის პოზიციებს ცოცხალი თავით არ დათმობს. ბ) დასავლეთის ქვეყნები შორსაა საქართველოდან როგორც ტერიტორიულად ისე განვთარების მხრივაც. მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიათ დაიჯერონ, რომ საქართველოს თავისი ბორჯომის თუ ნაბეღლავის გულისათვის შეინახავს დასავლეთი და ქართველ კაცს ტუჩების ცმაცუნის მეტი არაფერი დასჭირდება. ან კიდევ ცენტრალური მსოფლიო გზები გაივლის ჩვენთან და გზაზე აღებული ბეგარა შეგვინახავს, ეს შეიძლება ოდესმე მოხდეს, მაგრამ დღეს, როცა ეროვნულ გამანადგურებელ მოძრაობის წყალობით ცხოვრებაც იქამდე დაეცა, რომ მინიმალური ხელფასით მხოლოდ ორი „პაჩა“ ასტრის შეძენა შეიძლება, ეკონომიკური რომანტიზმი შორს წაგვიყვანს.

4. „ურუსეთოდ ცხოვრება არ შეიძლება“-ს მქადაგებლები პარაშუტიგით ბერავენ რუსეთის ავტორიტეტს. თითქოს რუსეთი არჩენდა საქართველოს და ახლა როცა ხელი გაგვიქნია შიმშილით კვდებითო. აქ ისინი მნარედ ცდებიან. ცებიან იმაში, რომ საქართველოს არავინ

არ არჩენდა და არც რამეს ჩუქნიდა. მოსკოვი არც ისე მოწყალეა, რომ არაფრისთვის კარაქით დატვირთული ვაგონები გამოგიგზავნოს. აქ მხედველობაში უნდა გვქონდეს, რო არ არსებობდა ცალკე აღებული ეკონომიკური რუსეთი, უკრანა... თუ საქართველო. არამედ არსებობდა ერთი ეკონომიკური მთლიანობა და ამ მთლიანობაში ყველას თავისი წვლილი შეჰქონდა და განაწილების დროსაც მეტნაკლები დანაკლისით თუ დანამატით თავის წვლილს ღებულობდა. ასე, რომ ქართველი კაცი ნაწყალობევ პურს კი არ ჭამდა, არამედ თავის კუთვნილს მიირთმევდა.

რამდენიმე წლის წინათ სტატიაში „ეროვნული მოძრაობის ინტერ-პრეტაცია“ ვწერდი: ფოლადის თითებით შეგვირისტებული სახელმწიფოს დაშლა მოითხოვს დიდ დროს და უდიდეს ძალისხმევას“. ახლა კი დავამატებ, როგორც ცხოვრებამ გვიჩვენა, მისი დაშლა მოითხოვს ისეთსავე გენიალურ ნიჭს როგორიც მისი შემქმნელის საულიერ თვისებას წარმოადგენდა სანამდე მისი დაშლა შეუძებელია ანამდე ქართველი კაცი უნდა შეუგვდეს საკავშირო ეკონომიკის გამთლიანებას. ეს არ იქნება სხვისი პურის ჭამა და მათხოვრობა. ეს იქნება ჩაბმა საკავშირო ეკონომიკაში, რაც აუცილებელია არა მარტო საქართველოსათვის, არამედ უფრო დიდი და მდიდარი რესპუბლიკებისათვის და შემდეგ როცა დამოუკიდებელი ცხოვრების პირობები შეიქმნება, ღმერთმა გაუმარჯოს რუსისტისაც და ევროპეისტისაც.

რაც შეხება დასავლეთისაკენ ხელის გაშვერას გვიშველეთ, გვიწყალობეთ პურიო, სირცხვილია, მიუტევებელი ცოდვაა. ვერ ვმუშაობთ და რა ვქნათო? იტყვის ზოგი კაცი. ვერც იმუშავებ სანამ სუსტნერვებიანი ჯელების ჭკუაზე ივლი და იძახებ წაეთრიეთ რუსებო. ბოლო ბოლო ხომ უნდა მიხვდე კაცი რა შედეგი გამოაქვს ეკონომიკური მთლიანობის რღვევას. 80-იან წლებში ავტოქარხნის სამჭედლო სამქროში რომ შევედი ისეთი ძალით ურტყამდნენ ავტომატური უროები, მეგონა დედამიწა ბარბაცობს-თქო. ამ უზარმაზარ ძალას საკავშირო ეკონომიკა იძლეოდა, ხოლო ეროვნულ გამანადგურებელმა მოძრაობამ ვინ მოთვლის რამდენი დიდი და მცირე სანარმო გააჩერა არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავშირში.

ეროვნულ გამანადგურებელმა მოძრაობამ შიმშილის ბრჭყალებში ჩააგდო ხუთი მილიონი კაცი. ახლა ეროვნულ განმანთავისუფლებელმა მოძრაობამ უნდა იზრუნოს ამ ხალხის გადარჩენაზე. დიდი ხენის წინათ ვაჟა-ფშაველა წერდა „უნდა ჭკვიანმა ასწოროს ბრიყვის ნათალი მრუდადა“.

ქართველ კაცს ისტორიის უკულმართობით თუ ეროვნულ გამანა-დგურებელი მოძრაობის წყალობით განვლილი აქვს მწარე გაკვეთი-ლი და ახლა უკვე დადგა დრო რომ პრაქტიკოსის თვალით შეხედოს ცხოვრებას და იოლად ნუ ილაპარაკებს იმპერიის დაშლაზე, ნუ უქ-ნევთ მუშტებს იმას, ვის წინაშეც ზესახელმწიფოებიც ქედს იხრიან. მან კარგად უნდა გაიგოს, რომ რუსეთის იმპერიის ნგრევამ, თუ ადამიანები მაღალგონიერებას არ გამოიჩინენ, შეიძლება დედამიწა სასიკვდილოდ შეაბარბაცოს.

ეროვნულ გამანადგურებელმა მოძრაობამ მოქმედება უნდა შესწყვიტოს, ხოლო ეროვნულ განმანთავისუფლებელმა თავისი მუ-შაობის №1 ამოცანად დასახოს ხალხის დახსნა შიმშილის ბრჭყალე-ბისაგან, ეძიოს გზები ამ პრობლემის გადასაჭრელად.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
19.V.1994წ.

## პაუპერები, გისენესმენები, დემოკრატები და კომუნისტები

თანამედროვე ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ გამოიწვია მოსახლეობის ძირითადი ნაწილის პაუპერიზაცია, მისი სრული გაღატაკება. ადამიანები ერთმანეთს დაუბირისპირდნენ. ერთ მხარეზე დადგნენ პაუპერები. მეორეზე – ბიზნესმენები. მთავრობა ყოველნაირად ცდილობს მათ შერიგებას, ენევა პროპაგანდას სა-ქართველოს ბიზნესი გადაარჩინოს, მაგრამ ქართული ბიზნესი ამას ვერ შესძლებს.

გადავხედოთ ქართულ ბიზნესს, რომელსაც ჩვენმა ხალხმა და მთავრობამ ესოდენ დიდი მისია დააკისრა. ბიზნესმენი ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს კაცს, რომელიც ყველაფერში პირადი ინეტერე-სებით ხელმძღვანელობს.

დემოკრატიული მსოფლმხედველობა კი იცავს პიროვნებას და კერძო საკუთრებას, მაგრამ ისე, რომ მათ საზოგადოებრივი საქ-მე არ უნდა დააზარალონ. ჩვენ მარქსისტებს ვადანაშაულებდით იმაში, რომ მათ გაილაშქრეს კერძო საკუთრების წინააღმდეგ და ჩათვალეს იგი ბოროტების საწყისად. თუ მარქსისტი თანამედროვე ქართულ ბიზნესს გადახედავს და მის ირგვლივ იმსჯელებს, იგი ცამდე მართალი აღმოჩნდება და ბუნებრივია, რომ ყოველგვარ კრი-

ტიკას გაუძლებს. მაგრამ დემოკრატია იცავს არა ჩვენს მეპურე ბიზნესმენებს, რომლებიც სახელმწიფოს ბელლიდან მოტანილი პურის ფქვილით კვირაში ორჯერ თუ გამოაცხობენ პურს, რომ ხალხი და მთავრობა მოატყუონ ქვეყანას ვემსახურებითო და სინამდვილეში კი ქართულ ბიზნესს ატრიალებენ ხალხის ლუკმის ხარჯზე. დემოკრატია იცავს არა „პაჩა“ სიგარეტის 10-ჯერ მყიდველ-გამყიდველს, არამედ ისეთ მესაკუთრეებს, როგორიც ი. წავნივაძის ოთარაანთ ქვრივი და ზაქროს მამა იყვნენ. ისინი შევლენ თუ არა კოლექტივში ეს მათი პირადი საქმე უნდა იყოს. საქმე ის არის, რომ ისინი თავისი ინდივიდუალობითაც ერის კაცებად რჩებიან, მზად არიან შეძლების-დაგვარად მოიხადონ თავისი ვალი ერისა და ბერის წინაშე.

მე ევროპული ეკონომიკის სიღრმეში ჩახედული არა ვარ, მაგრამ ზოგადად მაინც შემიძლია ვთქვა, რომ იგი საქმოსნობამ კი არა საქმემ ააშენა, იმ საქმემ, რომელმაც მოახდინა ინდივიდუალურისა და კოლექტიური ინტერესების კომბინირება.

როგორ ეტყობა ჩვენი მთავრობის კაცებს, რომ ისინი კომკავშირის აღზრდილები არიან, რომ მათ არ გააჩინიათ ის უნივერსალური ხედვა, რომელიც აუცილებელია საზოგადოების წინსვლისათვის. ჯერ იყო და კოლექტივის ქებით გვიჭედავდნენ ყურებს, ახლა დიდი და მცირე ბიზნესის მეხოტბები გახდენ. ჩვენ კოლმეურნეობას ვადანაშაულებდით ორ რამეში: 1. განანილების პრინციპის დარღვევაში და 2. საწარმო ძალების განვითარების დამუხრუჭებაში. მაგრამ თუ მას შევადარებთ ქართულ ბიზნესს, ამ უკანასკნელმა განანილების პრინციპი საერთოდ მოშალა და ყველაფერი ერთეულებს ჩაუგდო ხელში. საწარმოო ძალები კი არ დაამუხრუჭა, არამედ კოსმოსური სიჩქარით გააქანა უფკრულისაკენ. დატოვა ხალხი არსებობის ყოველგვარ საშუალებებს მოკლებული.

როცა კომუნისტებზე ვსმჯელობთ, თუ გვინდა რომ შეცდომა არ დავუშვათ, ისინი აუცილებლად უნდა გავყოთ ორ ნაწილად 1. საკუთრივ კომუნისტებად და 2. კვაზიკომუნისტებად. ზემოთ ნახსენებ დანაშაულებში ლომის წილი კვაზიკომუნისტებზე მოდის და შეცდომა იყო, როცა ჩვენ კომუნისტების ამ ორ კატეგორიას ერთ მთლიანობაში აღვიქვავდით. რადგან ჩვენ კაცებად კომუნისტებს ვთვლით და არა კვაზიკომუნისტებს. ამ უკანასკნელებზე პასუხისმგებლობას მათ ვერ მოვუხსნით, რადგან ისინი მათ ორგანიზმზე ამოსაული პარაზიტები არინ და პარაზიტი როგორც წესი მანამდე უნდა მოვაცილოთ ორგანიზმს, სანამ იგი მას მთლიანად დაიპყრობდეს.

თუ გადავხედავთ კომუნისტური პარტიის ისტორიას ჩვენი საუკუნის 20-იანი წლებიდან 50-იან წლებამდე, აღმოჩნდება, რომ ამ პერიოდში განაწილების პრინციპი საზოგადოებაში თითქმის არ ირღვევა. ხოლო საწარმოო ძალები ჯერ არნახული ძალით მიიწევდენენ წინ. შეუძლებელია არ ითქვას, რომ ამხანაგ სტალინს ჩვენ ჩავაპარეთ კავის რუსეთი, ხოლო მან ქვეყნიდან წასვლისას ატომის რუსეთი დაგვიტოვა.

50-იანი წლებიდან კომუნისტური პარტია აივსო კვაზიკომუნისტებით, რომლებიც ხშირად აღწევდნენ იმას, რომ ხალხის ბეჭი ხელში ჩაეგდოთ და ქვეყანა თავის სასარგებლოდ ეტრიალებიათ. ცხადია ასეთ შემთხვევაში მოხდებოდა როგორც განაწილების პრინციპის დარღვევა, ისე საწარმოო ძალების დამუხრუჭებაც, მაგრამ კომუნისტებისაგან დაწყებული მოძრაობის ინერცია ისე ძლიერი იყო, რომ ქვეყანა 80-იან წლებამდე მოაგორა, ხოლო ამ წლებში, როცა ხალხმა თვით პარტიის ცენტრალურ კომიტეტშიც კი მექრთამეები დაინახა, ყველაფერი თავდაყირა დაემხო. მკაცრად დაისაჯნენ კომუნისტები, ხოლო კვაზიკომუნისტები თითქმის დაუსჯელნი დარჩნენ, რადგან ისინი ახალ დროს ისე მოერგენ, როგორც ჯავახიშვილის გმირი კვაჭი კვაჭანტირაძე რევოლუციას – „არიქა, ჭიპი გეიქეცი სახლში, ჩემს წითელ საპანს სარჩული მოხსენი და აიგანზე დროშად გამოკიდეო“.

კომუნისტური პარტია თავისი ცოდვა-მადლებით უფრო ახლოს დგას ხალხის მასებთან, ვიდრე თანამედროვეობაში არსებული ყველა პლიტიკური პარტია ერთად აღებული. თვით მისი ეკონომიკური საფუძველი კოლმეურნეობა, რომლისთვისაც ჩვენ ლანძღვა-გინების მეტს ვერაფერს ვიმეტებთ, ავად თუ კარგად არსებობის გარანტიას აძლევდა ხალხს, ხოლო თანამედროვეობაში მოწოდებული ბიზნესი, ჩვენი აზრით, ამ გარანტიას ხალხს ვერ მისცემს.

ქვეყნად ყველაფერი მუდმივ ცვალებადობაშია. მარადიული მხოლოდ ცვალებადობაა ამ ქვეყნად. ცვალებადობა გამიცადა და ახლაც განიცდის კომუნისტური პარტია. როგორც სტატიაში „დემოკრატია და დიქტატურა“ ვწერდი: „დემოკრატიამ კომუნისტები უნდა წაიყვანოს დათმობაზე. 1. ხელი აიღონ ტოტალიტარიზმზე. 2. სცნონ ინტელიგენცია ეპოქის გონებად. 3. სცნონ მიწისა და წარმოების საშუალებების გარკვეულ ნაწილზე კერძო საკუთრება. 4. ხელი შეუწყონ ჯანსაღ ეროვნულ და ინტერნაციონალურ ტრადიციებს.“ (სამტრედიის მაცნე“ 1994წ. (14-04) ასეთ შემთხვევაში ქართული ბიზნესისაგან გულშეწუხებული მასები მას გაჰყვებიან და დემოკრატიული აზრიც

საპირისპიროს ვერაფერს იტყვის, რადგან დემოკრატია ვალდებულია მიიღოს და წინ წასწიოს ყოველი პროგრესული აზრი ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იგი.

თვით იოსებ სტალინი, რომელსაც უზღვავი ლანძღვა-გინება აქვს, ბევრ რამეში უნდა სცნოს დემოკრატიამ. თუ იგი დიდი დი-ქტატორია არც დემოკრატიაშია კაცუნა. იგი ერთი კაცის წონას აქაც ინარჩუნებს. მისებური ფოლადის მუშტი ხშირად არის საჭირო უბრალო ხალხის დასაცავად. მახსოვს ერთი ხანდაზმულის ნათქვამი: „სტალინის ხელში რომ რაიკომის მდივანს ქრთამი აელო, ეს იქნებოდა მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნაო“.

კვაზიკომუნისტები თავისი პოლიტიკური არსებობის დღეებს ითვლიან, ისინი ყველაფერს ებლაუჭებიან არსებობის შესანარჩუნებლად. ხან მრგვალდებიან, ხან კომერსანტდებიან. თუ დასჭირდათ ხელახლა განითლდებიან და აღწევენ წარმატებებს. ეს იმის წყალობით, რომ ისინი სარგებლობენ იმ ნდობით, რომელიც ჭეშმარიტ კომუნისტებს გააჩნიათ საზოგადოებაში, მაგრამ როგორც კი მშრომელი ხალხი კომუნისტებისაგან გარკვევით გამოჰყოფს კვაზიკომუნისტებს, ამ უკანასკნელთა ფიასკო მაშინ დაიწერება.

დემოკრატიამ უნდა ცნოს კომუნისტების ავტორიტეტი. მისცეს მათ საშუალება დაიცვან განაწილების პრინციპი სტალინისებური სისასტიკით. მისცეს საშუალება, რომ წარმოების მძლავრი საშუალებები გამოაცხადონ სახელმწიფო საკუთრებად და მოახდინონ ადამიანთა გარკვეული ჯგუფის მიერ თაღლითობით შეძენილი ქონების ნაციონალიზაცია, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ ხალხს შევუქმნათ რჩმენა დემოკრატიული ძალებისადმი. რომ იგი ზრუნვას ხალხის ფართო მასების და არა ვიწრო ობივატელური წრეების დასაცავად.

დემოკრატიული აზრი ვერ დაიცავს ადამიანთა იმ ნაწილს, რომელთა გაღატაკება მოხდება სიზარმაცის გამო. ვერც იმას დაუდგება თავმდებად ხუთ კაპიკიან წამალს რომ ხუთიათას რუსულ მანეთად ჰყიდის „ტალკუჩიკაზე“.

ზელიძ ჩაკვეტაძე  
16.VII.1994წ.

## პერისეული სენტენციები და ერის ფანტასიაზორი

ყოველ საზოგადოებას ჰყავდა და ჰყავს თავისი ინტელექტუალური დონის შესაფერისი ხელძღვანელი. ხელმძღვანელის მუშაობის ხარისხი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ რეაგირებს იგი ხალხის ცხოვრებას: იცავს თუ ვერა პროგრეულ ტრადიციებს რეგრესულისაგან, შესწევს თუ არა უნარი ხალხის დაცვისა და მისი შემოქმედებითი უნარის განვითარებისა.

არის შემთხვევები, როცა პიროვნება იმდენად შორსმჭვრეტელია, რომ მისი აზრის გაგება ფართო მასებს არ შეუძლიათ, ამ შემთხვევაში იგი იღუპება, ხოლო მისი იდეები დროის გარკვეულ მონაკვეთში კონსერვაცია, როგორც საზოგადოების განვითარების გარკვეულ ეტაპზე მიუღებელი კონცეფცია.

თუ ბერი თავის პროგრეულ აზრს ერს ვერ აგებინებს, იგი თავის ერთად ერთად წაწყდება. წაწყდება იმიტომ რომ წაწყმედილი ერის ბერი წაწყმედილია თავისი ინტელექტუალური უნაყოფობის გამო, თუ ბერი პასუხისმგებელია ერზე და მის საქმიანობაზე, საკუთრივ ერი არავის წინაშე პასუხს არ აგებს. არ აგებს იმიტომ რომ იგი თავისთავად ისჯება თავისი საქციელის გამო, „რაც მოხდეს ერს გადახდესო“ რაკი ყველაფერი ერის თავზე ხდება, საჭიროა, მან თავის საქმეს ღრმად ჩახედოს და თავისი ბედი არ ჩააბაროს ამბიციებით შეპყრობილ სატანებს, გონებას ძალა დაატანოს, გაარკვიოს ვინ საით ექაჩება მას, გადარჩენისაკენ თუ დაღუპვისაკენ, სიკეთისაკენ თუ ბოროტებისაკენ? „სოფელი ვინ და ერთი კაციო“. როცა თუნდაც ერთი კაცი იმას იტყვის, „რა ჩემი საქმეა, მოუკვდა პატრონი, საქმეს უჩემოდაც მოევლებაო“. სოფელი მაშინ იწყებს ნგრევას, რადგან იმ ერთს მეორე მიმბაძველი უჩნდება, მეორეს მესამე და ამნაირად სოფელი მუქთახორდება. ხოლო გამუქთახორებული სოფელი ვერ იარსებებს, იგი უცილობლად დაინგრევა.

საზოგადოება ყოველთვის უნდა უწევდეს ანგარიშს სურვილსა და ძალას. უნდა ზომავდეს მანძილს მათ შორის. ძალას მოკლებული სურვილი ფუჭი ოცნებაა, უნაყოფობაა. სურვილებს და ოცნებებს არავის უკრძალავენ, მაგრამ მასაც აქვს თავისი საზღვარი. როცა პიროვნების რეალური ცხოვრება მოწყდება მისი სურვილების დაკმაყოფილების შესაძლებლობებს, მაშინ ადამიანი გულალრძნილი ხდება, სულიერად ჩიავდება, კარგავს ბრძოლის უნარს და რჩება არაობის უძირო ზღვაში.

ჩვენი ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის გახრნნაში წამყანი როლი ითამაშა ევროპულმა ცხოვრებამ. ჩვენმა ჯეელებმა ნახეს პარიზული ცხოვრება და მოინდომეს რომ ისეთივე მოქმედი საქართველოშიც, იმას კი ვეღარ დაუკვირდნენ, როგორ შრომობენ და აზროვნებენ იქ ადამიანები. ცხოვრებისეული პრობლემების გადაჭრას შეუდგნენ უმარტივესი ხერხით: ჯერ ბიზნესი და კომერცია მოგვახვიეს თავზე და შემდეგ რუსებისაკენ დაიწყეს მუშტების ქნევა, ისინი არიან ჩვენი უბედურების სათავე, ისინი ჭამენ ჩვენს ნამუშევარს თორებ ჩვენ „ფრანციცულ“ ცხოვრებას მოვაწყობდითო. როგორ გვაგონებს მათი მოქმედება კრილოვის იგავს „ჩიტები და მენისქვილე“. რეგვენმა მენისქვილემ იმის მაგივრად, რომ წისქვილის სათავე შეეკეთებია, ჩიტებს დაუწყო დევნა ესენი მაკლებენ წყალს.

ევროპაში უნდა გაგზავნო ისეთი კაცი, რომელსაც აქვს უნარი ღრმად გაანალიზოს ნახული ფატქები, ჩასწვდეს მოვლენათა გამომწვევ მიზეზებს და მოარგოს იგი თავისი ხალხის ცხოვრებას. თორებ კრილოვის მენისქვილეს რომ ახლებური ცხოვრების შემოტანის მისიას დააკისრებ, მოგიტანს შენი ცხოვრებისათვის მოურგებელ ბიზნესს, მენეჯერს, კომერციას, კოოპერაციას და ათასნაირი ცია-ციების კორიანტელს დააყენებს შიმშილში ჩავარდნილი ერის თავზე.

დემოკრატიულად მოაზროვნე ადამიანები ცდილობდნენ რომ ძველი ცხოვრება ახლის საფუძველი გამხდარიყო, მოქედინათ ღირებულებათა გადაფასებანი. კარგი მიეღოდ და ცუდი უარეყოთ. 90-იანი წლების დასაწყისში დემოკრატიულმა აზრმა გაილაშერა „საკარმიდამოს კაცების“ წინააღმდეგ და მთავრობას მოსთხოვა, რომ ეკონომიკური ურთიერთობანი კაცთა შორის დამყარებულიყო არა სუბიექტურ, არამედ ობიექტურ საფუძველზე, კომერციული და კოოპერაციული საქმიანობის მიზანი უნდა იყოს ხალხის მოტხოვნილებათა დაკმაყოფილება და არა ცალკეული პიროვნების გამდიდრება სოციალისტური საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მარტივი სპეციულაციის გზით. თუ ეკონომიკური ურთიერთობანი არ დამყარდა ობიექტურ საფუძველზე, ქვეყანა დაემსგავსება „ამაოების ბაზარს (ფაქტი სახეზეა). (იხ. „ეროვნული მოძრაობა და საკარმიდამოს კაცები“, „სამტრედიის მაცნე“ 4-XII-92წ.).

შევეხეთ რა გლეხის მდგომარეობას თანამედროვე პირობებში ვთქვით: თუ მთავრობა ჩვენს მოთხოვნებს თავს აარიდებს მაშინ „გაძვალტყავებულ გლეხს ისლა შერჩება, რომ თავი ინუგეშოს კონსტანტინე ლორთქიფანიძისეული სიმღერით „დრამხტი-ტარო,

დრომშტი-ტარო, მიწის ზემოთ მაინც ვარო“ (იხ. „გლეხი და მიწის პრივატიზაცია“, „სამტრედის მაცნე“ 15-IV-92წ.).

დემოკრატიულად მოაზროვნები ხედავდნენ რა ანენილ საგარეო პოლიტიკას და შინაარეულობას, მთელი ხმით ყვიროდნენ, მოსალოდნელი შიმშილისა და სისხლისღვრის თავიდან ასაცილებლად „ჩემი შემოქმედება ეს არის ბლავილი იმ ბებერი ხარისა, რომელსაც შიმშილი ძუ მგელივით ჩასაფრებია და ყელის გამოფატვრას უპირებს“ (იხ. „ჰომო ურბანოსის აპერცეფცია“, „სამტრედის მაცნე“ 4-XII-92წ.).

ვეხებოდით რა საგარეო საქმეებს, ვწერდით: თუ სუსტნერვებიან ჯეელებს ერი პაყვება, შეიძება იგი მთლიანად დაიღუპოს“ (იხ. „ჩვენი პოზიცია“, „სამტრედის მაცნე“ 7-X-91წ.) და თუ ბატონ შევარდნაძის (რომელთანაც მე ბევრი სადაო მაქვს სოციალურ საკითხებში) საგარეო პოლიტიკაში მოქნილი გონება არა, რომლის მეშვეობით საქართველოს ესენგები გაერთიანება მოხდა, დღევანდელი ცხოვრებაც სანატრელი იქნებოდა. ლაო-ძი გვასწავლის:

„ოდეს პატარა სამეფო ეკრძალვის დიდ სამეფოს,  
დიდი სამეფო მორჩილებს პატარა სამეფოს.

მორჩილება მოკრძალებას ბადებს

და კრძალულნი მორჩილებენ ერთურთს“.

მიუხედავად შინაეროვნული არეულობის რუსეთი 90-იანი წლების დასაწყისამდე ხელს უწვდიდა საქართველოს. ვისაც 80-იან წლებში ბაძგნარში გაუვლია, ემახსოვრება ლითონითა და ხე ტყით სავსე საწყობების ეზოები. ახლა იმ ადგილებში ნაფოტსაც ვერსად ნახავ. ეს შედეგი გამოიღო გაეთრიეთ „ოკუპანტებოს“ ძახილმა.

თუ ბურუუახზიულ სახელმწიფოში ლაპარაკია პროლეტარიატზე თანამედროვე საქართველოში საქმე გვაქვს პაუპერიატთან (ერთ-მანეთში არ უნდა ავურიოთ პროლეტარი და პაუპერი. ეს სიტყვები როვე ლათინურია, პირველი სინონიმია წარმოების საშუალებებს მოკლებული მუშისა, ხოლო მეორე – არსებობის საშუალებებს მოკლებული მოქალაქისა).

ადამიანთა თავმოყრის ადგილებში ყველგან გაიგონებ საუბრებს, კიევში წავიდა, მოსკოვში წავიდა, თურქეთში დადის სამუშაოდო. იზრდება მოსახლების მისწრაფება მიგრაციისაკენ. წასვლაზე ფიქრობენ არა მარტო ახალგაზრდები, არამედ შუა ხნის კაცებიც. ეს სტიქია ქართველ ხალხს ძველი ებრაელებივით გაფანტვით ემუქრება. მისი შეჩერება მხოლოდ სახალხო მეურნეობის აღორძინებას, საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებას და მასთან დაკავშირებული

ეთნიკური ნორმების დანერგვას შეუძლია და, არა საერო და სასულიერო პირების სადღეგრძელობასა და ლოცვა-კურთხევას.

დღეს ერთ დადგა დილემის წინაშე. მან უნდა იზრუნოს საკავშირო ეკონომიკის აღდგენაზე და შეუგუვდეს სახელმწიფო დაგეგმარებას, ან უნდა იმათხოვოს და თავისი პაუპერებად ქცეული ხალხით შეავსოს უცხოელთა დიდი ქალაქების პროლეტარიატის რიგები.

**მინანერი:** ჩვენ ერის მათხოვობასა და პაუპერიზაციას გვირჩევნია, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში, ჩვენი ჯეელების მიერ მონობად მონათლულ საკავშირო ეკონომიკასა და სახელმწიფო დაგეგმარებას დავუქვემდებარო ხალხის ბედი. ხალხმა თავი უნდა გაანებოს ფანტასმაგორიას და მიხედოს არსებობის შენარჩუნების რეალურ საშუალებებს.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
22.XII.1992წ.

## იოსებ სტალინ – დემოკრატი თუ დიდტატორი?

„არა არს კაცი, რომელიც ცხოვნდეს და არა სცოდოს“.  
**ბიბლია**

რუსეთის იმპერიის ისტორიაში XX საუკუნის მეორე მეოთხე-დი ყველაზე ნაყოფიერი პერიოდია როგორც იდეოლოგიაში, ასევე ეკონომიკაში და სამხედრო ხელოვნებაშიც. იგი უშუალოდ ემთხვევა იოსებ სტალინის ცხოვრებასა და მოღვაწეობას. ამ პიროვნების ირგვლივ გაუთავებელი კამათი მაჩვენებელია იმისა, რომ იგი საჭიროებს შესწავლას არა ჰაი-ჰარად, არამედ ღრმად და ობიექტურად. მიუხედავად სიდიადისა იგი შესწავლილ უნდა იქნას ჯერ როგორც მიწიერი არსება და შემდეგ როგორც კოსმოსური ძალა.

თუ გადავხედავთ ჩვენი ხალხების ცხოვრებას XX საუკუნის 30-იან წლებში, ბევრს აღმოვაჩინთ, როგორც დადებითს, ისე, უარყოფითსაც. თვით კოლექტივიზაცია, რომლის მიმართ ჩვენ ბევრი ლანძღვა-გინება მიგვიძლვის, იმ პერიოდში აუცილებლად უნდა ჩატარებულიყო. რატომ? – იმიტომ, რომ ამ წელებში ევროპაში უკვე ტრიალებდა თოფის წამლის სუნი.

ყველასათვის ცნობილია რა სისწრაფით ანვითარებდა ფაშისტური გერმანია საწარმოო ძალებს. აქ მსხვილი მონოპოლისტები არ ზოგა-

ვდნენ თავს რომ მთავრობისათვის მიეცათ საშუალება მსოფლიო ომის წარმოებისა. მათი მოქმედების ძირითადი ობიექტი, რომ რუსეთის იმპერია გახდებოდა, ამის შესახებ გალაკტიონი წერდა: „...არავინ არ დაივიწყებს საბჭოს უდიდესს და უზარმაზარს...“ დეილი-მეილი წერს: „იქ მთავრობა სწევს პროპაგანდას, რათა დაამხოს ჩვენი კულტურის თანამგზავრობა. ის ჩვენთვის არის საერთო მტერი“.

ასეთ პირობებში სტალინი იდგა დილემის წინაშე. ან უნდა შეეწყო ხელი კულაკურ-ბურუუაზიული წარმოებისათვის და ყოფილიყო მასზე დამოკიდებული, როგორც სახელმწიფოს მარჩენალ ძალაზე, ან უნდა მოეხდინა ქვეყნის კოლექტივიზაცია. ჩვენ კაზარმულობის წინააღმდეგი კი ვართ, მაგრამ თუ იგი ცხოვრებისეული აუცილებლობითაა ნაკარნახვი, მაშინ უნდა გავამართლოთ როგორც დროებითი ლონისძიება. თუ სტალინი შეეცდებოდა ინდივიდუალურ-გლეხური მეურნეობის განვითარებას, ეს მოითხოვდა დროის დიდ მონაკვეთს და გამოიწვევდა ისეთ არევ-დარევას საზზოგადოებრივი ცხოვრებისა, როგორიც ამჟამად გვაქვს რუსეთის მთელ იმპერიაში. ვფიქრობთ კომენტირებას არ საჭიროებს ის საკითხი, რომ ასეთ არეულ ქვეყანას მიხაკისფერი ვეშაპი კუდის ერთი მოქნევით დაანგრევდა. დილემის წინაშე დამდგარმა სტალინმა ინდივიდუალურ-გლეხურ მეურნეობას იმ პერიოდში კოლექტივიზაცია ამჯობინა (ვფიქრობთ რომ არ შემცდარა).

რაც შეხება 37-ში ჩატარებულ ლონისძიებას, იგი ნამდვილად მოითხოვს ლრმა დაკვირვებას. წარმოიდგინეთ კოლექტივიზაციით განაწყენებული კულაკები, ტრადიციულად განებივრებული თავად-აზნაურობა და უბრალო მეჩექმის შვილი სახელმწიფოს სათავეში და მათი ერთმანეთთან მორიგებას.

ჩვენ მაინცდამაინც სტალინს გავიძახით, თორემ გავიხსენოთ თუნდაც ნინოშვილის სიმონა, სპირიდონ მცირიშვილი, არაგვისპირელის შრომიშვილი და სხვები. განა ისინი სისხლს არ ლვრიან?! სანამ-დე უნდა გაგრძელებულიყო სიმონობა, მცირიშვილობა და შრომიშვილობა? ვხედავთ, რომ ისინი აღარ თმობენ და აშკარა ბრძოლაზე გადადან. 900-იან წლებში ერთი რუსი პოეტი წერდა: „ვინა გდია, ნეტავ, ეგ ბურუუა ვინა? აბა ხელი ეხლო ჩემი გოგოსთვინა“.

ასეთ პირობებში ნიჭიერი ხელმწიფე შეეცდებოდა დაემთავრებია ადამიანებს შორის მწვავე დაპირისპირებანი. მართალია, ბევრი ვაიპოლიტიკოსი ქადაგებს კლასთა შორის მორიგებას, მაგრამ მე ეს შეუძლებლად მიმაჩნია. სტალინმა ამ მორიგებას 13 წელი უცადა.

ამოდენი მოთმენა მხოლოდ მას შეეძლო. დემოკრატიული ინტერესები მოითხოვდა, რომ კლასთა შორის ბრძოლას დასასრული მისცემოდა. ამ შემთხვევაში სტალინი გვევლინება როგორც ხალხის ნების აღმასრულებელი და არა პირადი „კაპრიზების“ გამტარებელი დიქტატორი. აქ შეიძლება ოპოზიცია შემოგვედავოს ბევრი უდანაშაულო კაცი მიაყოლეს ამ ღონისძიების გატარებას. მცდარია სტალინის თაყვანისმცემელთა აზრი: ერთ კაცს როგორ შეეძლო ამხელა ქვეყანაში ერჩია დედალ-მამალი, ბრალიანი და უბრალო, სწორი და მრუდიო. სახელმწიფო თუ სამართლიანია უბრალო ადამიანი არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაზარალდეს. ხელმძრვანელი, მართალია, კოლექტიურ მმართველს წარმოადგენს, უსინჯავს პულს კოლექტივის პოლიტიკურ მოთხოვნებსა და შეხედულებებს და გამოაქვს შესაბამისი დადგენილება, მაგრამ დადგენილების გატარებაზე იგი პერსონალურად აგებს პასუხს. გადაბრალება-გადმობრალება ეს სულიერი სისუსტეა, მიეთ-მოეთია. საკმარისია ერთი უდანაშაულო კაცის დასჯაც თუნდაც იმოდენა ღონისძიების გატარების დროს, როგორც 37-ში მოხდა, რომ მისი ავტორის პოლიტიკურ საქმიანობას შავი ლაქა დააჩნდეს.

როგორც ზემოთ ითქვა 30-იან წლებში გატარებული ღონისძიებები გამოწვეული იყო არა სტალინის კაპრიზებით, არამედ ისტორიული აუცილებლობით. ალბათ, აღმოჩნდება, რომ იყო შეცდომებიც, მაგრამ ესეც ვიკითხოთ „მე“ და „შენ“ შევძლებდით შეუცდომლად ამოდენა ღონისძიების გატარებას? აი, ეს არის „წყევლა კრულვიანი საკითხავი“ ჩვენს ზნეობრივად და ინტელექტუალურად გაძვალტყავებულ დროში.

სტალინმა იცოდა თავისი ცოდვა-მადლები. თავის წინასწარმეტყველებაში იგი წერს: „...многое трудности, многое ошибок, виновныим окажусь я одинъ...“ მის ამ სიტყვაში დაძლეულია მიეთ-მოეთის და გადაბრალება-გადმობრალების ჩვეულებრივი ადამიანური სისუსტის ტენდენცია და იგი საკუთარ თავზე იღებს მთელი ეპოქის ცოდვა-მადლებს, რაც მის სიდიადეზე მიგვითითებს.

რაც შეეხება სამამულო ომს, აქ უკვე სტალინი გვევლინება არ როგორც დიქტატორი, არამედ როგორც კაცობრიობის დემოკრატიული ინეტრესების აღმასრულებელი, რადგან ფაშიზმის დასამარება წარმოადგენდა მთელი მსოფლიოს პროგრესულად მოაზროვნე ხალხების მიზანს, გნებავთ თვითმიზანსაც.

დემოკრატიის 7 ძირითადი მოთხოვნიდან 1. უდიდესი სახელ-

მწიფოებრივი წესრიგი, 2. ზნეობრივი და იურიდიული კანონების დაცვა, 3. ბოროტებისადმი შეურიგებლობა, 4. ნიჭისა და უნარისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება, 5. შრომის სუფერვა, 6. საკანონმდებლო აღმასრულებელი ორგანოების გათიშვა. 7. შრომის ყველაზე მაღალი ყოფიერება. (იხ. „სამტრედიის მაცნე“ 14-IV-94წ., „დემოკრატია და დიქტატურა“). სტალინი აკმაყოფილებს I-II და VII მოთხოვნებს. იგი ამ სამი მოთხოვნის გატარებამ თაყვანისცემის საგნად აქცია.

იოსებ სტალინის შეფასებისას თუ მხედველობაში მივიღებთ დროისა და სივრცის ფაქტორის გავლენას ადამიანზე აღარ ამოვ-ვარდებით ობიექტური ჭეშმარიტებიდან და ეპოქის შესაფერის დიდ კაცად მივიჩნევთ.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
6.VII.1995წ.

## საბრალონი

ჩვენებური თვითმარქვია დემოკრატია, დარწმუნებული იმაში, რომ თითქოს რაღაცას სასიკეთოს აკეთებს, თითქოს ხალხის ცხოვრებას აუმჯობესებს, ვერ ხვდება იმას, რომ ერთი დიქტატურისაგან განთავისუფლებული საზოგადოება ხელი ჩაუვარდა უფრო დიდსა და უხეშ დიქტატურას, როგორც საშინაო ისე საგარეო საქმეებში.

ქვეყნის ეკონომიკის უკან დაგორების მიზეზი პირველ რიგში არასწორად წარმართულ პოლიტიკაში უნდა ვეძიოთ. საქართველოს მთელი საშინაო და საგარეო პოლიტიკა 1990 წლის არჩევნების შემდეგ წარიმართა ერის დემოკრატიული ინტერესების საშინაო დამდეგოდ. ჯერ კიდევ მრგვალმა პოლიტიკოსებმა ხალხს გულუხვი მემკვიდრეობით გადმოუყარეს საომარი იარაღი. აქაო და სამშობლოს დაცვა ასე საჭიროებსო. შეიქმნა ათასგვარი შეიარაღებული ფორმირებები: მხედრიონები, მდედრიონები, ავაზები, არწივები, ორბები, ყვავები, ყორნები და სხვა, რამაც საშუალება მისცა ათას ძალლსა და მამაძალლს აეწიოკებია მოსახლეობა. რომელმა დემოკრატიამ დააკანონა საომარი იარაღის სახლში შენახვა?! – იმავე დემოკრატიამ უნდა აგოს პასუხი იმ ძარცვა-გლეჯაზე, რაც ჩვენში მიმდინარეობდა და მიმდინარეობს.

ჩვენი შეხედულებით საომარი იარაღები სამხედრო ვალდებულ მოქალაქეებს ურიგდებათ მას შემდეგ, როცა ისინი მობილიზებული იქნებიან სამხედრო სამსახურისათვის. გაივლინ საომარი იარაღის

ტარებისა და შენახვის უსაფრთხოების წესებს, თავდაცვისა თავ-დასხმის თუნდაც უმარტივეს დებულებებს.

სალხში საომარი იარაღის „უპრაგონოთ“ დარიგება, ვაიპოლიტიკოსების შეხედულებით დემოკრატია ყოფილა:

სახელმწიფო დაგეგმარების გაუქმება და მთელი სავაჭრო და სამრეწველო კაპიტალის კომერსანტების ხელში ჩაგდება, დემოკრატია ყოფილა.

ძარცვა-გლეჯით გამდიდრება დემოკრატია ყოფილა, მსხვილი სანარმოების გაყიდვა და მუშახელის სამუშაოდან დათხოვნა დემოკრატია ყოფილა.

კომუნისტების ხელში რაღაც მანქანებით შეძენილი ფულის „გაპატიოსნება“ სახელმწიფოს მრგვალი ბეჭდით დემოკრატია ყოფილა.

ავადმყოფი რომ ექიმთან ვერ მიდის უფლობის გამო დემოკრატია ყოფილა.

ყოველი ჭადრის ძირში საქმოსნების მიერ უნივერსიტეტის შენება და დიპლომების გაუფასურება დემოკრატია ყოფილა.

არჩევითი ორგანოების ხელმძღვანელთა ზემოდან დანიშვნა დემოკრატია ყოფილა.

ფასების კატასტროფული ზრდა, უმუშევრობა, შიმშილი, უიმედობა და ხალხის დარიგება: გადაიხადეთ ფული და ყველაფერი გექნებათ, დემოკრატია ყოფილა.

უცხოელების დიქტატი მიწის ყიდვა-გაყიდვა დააკანონეთო, დემოკრატია ყოფილა.

ფულის დიქტატურა დემოკრატია ყოფილა.

მსოფლიო ბაზარზე მოუმზადებელი გასვლა დემოკრატია ყოფილა.

დიდი წნის წინათ მოვისმინე, რომ თუ გრამი ოქრო მსოფლიო ბაზარზე იყიდება 10 მანეთად, მისი წარმოება ჩვენში ტექნიკის დაბალი დონის გამო 20 მანეთი ჯდებაო. როცა კაცს ასეთი სტატისტიკა ხელთა აქვს და მსოფლიო ბაზარზე მიდის, თუ ვინმე მადლიანმა კაცმა არ შეუყვირა: „სად მიხვალ ბიჭო, დაგლუპავს მაგ ბაზარიო“, იგი უცილობლად დაიღუპება.

ჩვენში ავადმყოფური ოპტიმიზმით შეპყრობილი პოლიტიკოსები ასეთ კაცს კი არ დაარიგებენ ჭკვიანურად, არამედ პირიქით, გაათამამებენ „ქართული მარიფათი დაატრიალე უცხოელებმა არ გაჯობონო“.

მრგვალი მთავრობის დროს ერთმა ისრაელელმა ბიზნესმენმა ასე დაარიგა ჩვენი პოლიტიკოსები: პირველ რიგში მიხედეთ სამამულო

წარმოების რენტაბელობას ნუ აჩქარდებით მსოფლიო ბაზარზე გა-სასვლელად, თორემ წაგებთ. ევროპაში კაი ბიჭობის გულისათვის კაპიტაცი არავინ მოგცემსო. ამ კაცის სიტყვები დარჩა „ხმად მღა-ლადებლისა უდაბნოსა შინა“.

ასე, რომ ერთი საბრალო მსოფლიო ბაზარზე მიჩერჩეტობს, მეორე ათამამებს, მესამე კი გამარჯვებულ მარიფათას ელოდება ავლადიდებით დატვრითული გემებით მომავალს.

ერთი საბრალო სახელმწიფო დაგეგმარებაზე იღებს ხელს და კო-მერსასანტებზე გადააქვს დატვირთვა: ისინი ივაჭრებენ, ისინი შექმნიან წარმოებას, ისინი გამოკვებავენ ერსო. მეორე საბრალო კისერზე იდებს იმ ულელს, რომლის განევა მას არ შეუძლია, არ შეუძლია არც სუბიექტური და არც ობიექტური პირობების გამო.

გადავხედოთ თვით იმ საბრალოს ბედს, რომელმაც ერის გა-მოკვება იტვირთა და რომლის დიქტატურა უკვე დამყარებულია ჩვენში. რა უჭირს და რა ულხინს მას? მისი ძირითადი გაჭირვება მდგომარეობს თვით ერის გაჭირვებაში, რაც გამოიხატება მის დაბალ სყიდვითუნარიანობაში.

თუ ევროპაში, ვთქვათ, რაიმე საქონელი ღირს 10 დოლარი, მისი ყიდვა იქაურ მუშას არ უჭირს მაღალი ხელფასის გამო. ჩვენში კი მისი შეძენა მუშას არ შეუძლია, რადგან 10 დოლარს, რომელსაც შესაძლებელია ევროპელი მუშა დღეში ღებულობს, ჩვენი მუშა თვე-ში ვერ ღებულობს. რა ულხინს ჩვენში კომერსანტს? – კომერციის დიქტატურა. შემოტანილ საქონელს რა ფასსაც დაადებს ისე ჰყიდის, რადგან შემდავებელი არა ჰყავს. სახელმწიფო ვაჭრობა, რომელიც მისი კონკურენტი უნდა იყოს, თითქმის აღარ არსებობს.

ასეთ პირობებში მთავრობა თუ იგი სახელმწიფოს წინსვლაზე ფი-ქრობს საბრალოა თავისი უიდეო პოლიტიკის გამო. საბრალოა თვით კომერსანტი, კიდევ მეტი საბრალოა მათი იმედით მცხოვრები ხალხი.

სტატიაში „დემოკრატია და დიქტატურა“ (იხ. „სამტრედის მაც-ნე“ 14-4-1994ნ.) ჩვენს მიერ დემოკრატიული მართვისადმი წაყენე-ბული მოთხოვნები, რომელსაც ოპოზიცია არ გამოხმაურებია, არ სრულდება. ხოლო ჩვენი შეხედულება, რომ დემოკრატიას „მრავალი ბურჯი აქვს, ყველა მხოლოდ ფოლადის“, იმ შემთხვევაში თუ ჩვენში თანამედროვე ცხოვრება დემოკრატიაა, მცდარი აღმოჩნდება.

დღი ხნის წინათ კომუნისტებთან იდეოლოგიური ბრძოლის დროს ითქვა: „არ აშენდების შლამისაგან რუის-ურბნისის ციხენი“. საბრალოა პოლიტიკისი, რომელსაც სწამს, რომ ეს სიტყვები მარტოოდენ კომუ-

ნისტებს ეხება. ამ სიტყვებით გადმოცემული აზრი ზოგადია და ერთ-ნაირად ეხება ყველას, ვინც შლამისაგან შენობის აგებას მოინდომებს.

კიდევ მეტი საბრალოა, ასეთ პოლიტიკისზე დაყრდნობილი საზოგადოება და ყველაზე მეტი საბრალო მაინც ის არის, ვისაც ეს საკითხები ესმის და კომერციული დიქტატურა თავისი თანამოაზრეებიანად მატარებელზე მიბმული თხასავით მიათრევს.

კომერციულ მატარებელზე თხებივით მიბმული მოაზროვნეებიდან თუ ერთმა მაინც ვერ შესძლო შემადგენლობაზე შესვლა და იქედან მანქანის საჭემდე მიღწევა, ვერც მიბმულები და ვერც შემადგენლობაზე მსხდომნი ვერ გადარჩებიან თუ ვინიცობაა და ვინმე ღვათის წყალობით გადარჩა, დანანებით იტყვის: „არ მცოდნია რამეო“.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
6.IX.1995წ.

## კაცობრიობის მომავალი

სოციალისტური იდეები თავისთავად შემოდიან ჩვენში,  
ჩემი სურვილებისა და ინტერესების წინააღმდეგ.  
**რომენ როლანი**

ახალმა ცხოვრებამ ერთამანეთს განსაკუთრებული სიმწვავით დაუპირისპირა საზოგადოების დემოკრატიული მართვის ორი ფორმა – ბურუჟაზიული და სოციალისტური. ჩვენი მთავრობა, დარწმუნებული ბურუჟაზიული დემოკრატიის უპირატესობაში სოციალიზმთან შედარებით, ქვეყნას დასავლეთური გზისაკენ ექაჩება. აქაოდა დასავლეთი მდიდარია, თუ მათი გზით ვივლით, ჩვენს გავმდიდრდებითო. ადამიანთა ცოხვრება აუცილებლად მსჯელობის საგანი უნდა იყოს. უნდა შევისწავლოთ ის პირობები, რომელიც ამა თუ იმ ქვეყანას გააჩიდა ან გააჩნია თავისი განვითარების გარკვეულ ეტაპზე. განვითარების ის გზა, რომელიც დასავლეთს გააჩნდა ბურუჟაზიული დემოკრატიის ჩამოყალიბების წინა პერიოდში, საქართველოსათვის არ არსებობს. დასავლეთმა, როგორც გასულ, ისე მიმდინარე საუკუნეში მაქსიმალურად გამოიყენა თავის საკეთილდღეოდ აზიის, აფრიკის და ავსტრალიის ბუნებრივი რესურსები და მუშა ხელი. ამით შესძლო თავისი ეკონომიკა გაეძლიერებინა და თავისი ხალხის ცხოვრება გაეუმჯობესებინა. განვითარების ეს გზა საქართველოსათვის არ არსებობს.

კომერციული გზა, რომელზედაც დიდად არის შეყვარებული ჩვენი მთავრობის კაცები, რასაც წარმოადგენს, ვფიქრობთ, კომენტირებას არ საჭიროებს. მხოლოდ ამას კი შევასენებთ მთავრობას, რომ „პაჩია“ სიგარეტის ათჯერ ყიდვა-გაყიდვა და ლომებივით ვაჟყაცების ბუხბუხი ბაზრების ჭიშკრებთან – „დოლარი, ვაუჩერი“, „დოლარი, ვაუჩერიო“ ქვეყანას გაჭირვებიდან ვერ გამოიყვანს. ხალხის ასეთი დასაქმება მისივე ძარცვა, მისი ეკონომიკური და ზნეობრივი ცხოვრების დაცემა.

ვისაც რა უნდა ის აკეთოსო, გვეუბნებიან დასავლური ცხოვრების ვაიდელობები. არა ბატონები, ყველამ უნდა აკეთოს პირადული და საზოგადოებრივი სასიკეთო საქმე კომპინირებულად, ისე, რომ არც ერთი მათგანი არ დაზარალდეს. თუ არ იმუშავებ, იყავი შენთვისო. ვერა, მარტო შენთვის ვერ გაგიშვებთ. შენ, კაცი ხარ და შენი მისია გაქვს ცხოვრების წინაშე. გადახედე ქვეყანას: რამდენი ,ოხუცი, რამდენი ბავშვი, რამდენი ავადმყოფი და რამდენი ინვალიდია საპატრონო. ვინ უნდა უპატრონოს მათ, თუ არა შრომისუნარიანმა ადამიანმა?! კომერციული ცხოვრება ადამიანს აქცევს უპატრონო და უნაყოფო არსებად. მისი იდეოლოგები ცხოვრებას მიიყვანენ იმ დონემდე, რომ ქუჩაში წაქცეულ კაცს პატრონი არ გამოუჩნდება. ყველას ხომ თავისი საქმე აქვს და ვის რაში მოაგონდება სხვისი დახმარება? დასავლეთში, მართალია, ბურუჟაზიული დემოკრატია, მაგრამ სოციალურ საკითხებს აწესრიგებენ. ეს მონესრიგება ეყრდნობა ცხოვრების სოციალისტურ და არა ბურუჟაზიულ წესს, ცხოვრების ბურუჟაზიული წესის მიხედვით ყველა თავისთვისაა და ღმერთი – ყველასთვის.

ჩვენებური ცხოვრების კომერციული წესი, რომ ნივთის ფასს მასზე მოთხოვნილება განაპირობებს, არაკაცობაა, უნამუსობაა. ავადმყოფი წამალს ვერ ყიდულობს, მოსწავლე რვეულს, მშიერი კაცი – პურს. სოციალისტების მოთხოვნა, რომ ნივთის ფასი გაპიროვნებული უნდა აიყოს მასზე დახარჯული შრომის ღირებულებით, კაცურკაცობაა, ჰუმანიზმია, ნამუსიანობაა.

როგორც ზემოთ ითქვა, ცხოვრების დასავრული წესი ჩვენში ფეხს ვერ მოიკიდებს, ხოლო ხალხი, რომელმაც უკვე გამოსცადა სოციალისტური ცხოვრების წესი, კომერციას ვერ შეეგუება და იგი შეეცდება დაუბრუნდეს ძეველს რამდენადმე განახლებული ფორმით. ბურუჟაზიული თვალთმაქცობა საზოგადოების ობიექტურად მოაზროვნე წანილზე გამალიზიანებელ ემოციას იწვევს. რეალმები,

რომლებიც რადიოში და ტელევიზიონთ გაისმის, ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებენ. „ვაუჩერი თქვენი ბედნიერების საწინდარია“, ვინ დაიჯერებს, რომ ხუთლარნახევრად ღირებულმა ვაუჩერმა ხუთი მილიონი კაცი გააპედნიეროს“, „...გექნება ფული და გექნება ყველაფერიო“, საიდან გადაიხადოს მუშამ ფული?! ძველი მთავრობის ხელში მისი ნაშრომის ძირითადი ნაწილი სახელმწიფო ხაზინაში შედოდა და თვითონ მას არსებობისათვის საჭირო მინიმუმი რჩებოდა. ასე, რომ ძველი ცხოვრებიდან მას ფული არ დარჩენია, ხოლო ახალი ცხოვრების პირობებში სამუშაო ძალას თითქმის არავინ ყიდულობს და თუ ყიდულობს, ისე იაფად, რომ მისით მხოლოდ რამდენიმე ცალი პურად წოდებული „ლეპიოშკის“ ყიდვა შეიძლება (ერთი თვის ხელფასით).

დღიდი ხნის წინათ ბატონმა მიხელ გორბაჩივმა (რომელსაც შეიძლება ბევრი ცოდვები გააჩნდეს სოციალიზმის წინაშე) განაცხადა, რომ კაცობრიობის მომავალი მაინც სოციალიზმია.

ჩვენგან მრავალჯერ ნალანძლავ-ნაგინები კაზარმული სოციალიზმი უფრო ახლოს იდგა ჭეშმარიტ სოციალიზმთან, ვიდრე მედოლარე და მევაუჩერე დემოკრატია ჭეშმარიტ დემოკრატიასთან.

სოციალიზმი შინაარსით ზოგადყაცობრიული პოლიტიკური მიმდინარეობაა. მისი ჩატევა ვიწრო ეროვნულ ჩარჩოებში შეუძლებელია. მასზე გადასვლისათვის საჭიროა ჩამოყალიბდეს ეროვნულ-დემოკრატიული მსოფლმხედველობა, რომელიც მკვეთრად იქნება გამიჯნული ეროვნული სოციალიზმისაგან. შოგინიზმი და ფაშიზმი ისეთი იდეოლოგიური დაავადებებია, რომლებიც დიდხანს დაემუქრებიან ცალკეულ ერებს. მათ აღმოსაფხვრელად ბრძოლა უნდა იქცეს საერთაშორისო საქმედ.

საბოლოო ანგარიშში ეროვნულ-დემოკრატიულმა მსოფლმხედველობამ, რომელსაც სჭირდება მოვლა და დავაუკაცება, უნდა მოაზიდოს ერები სოციალისტური დემოკრატიისათვის.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
28.V.1996.

## ქართული დემოკრატიის პარალელგიზმი

„ხმაური არაფერს ამტკიცებს, ქათამი ისე კრიახობს,  
თითქოს კვერცხი კი არა, პლანეტა დაედოს“.

**მარკ ტვენი**

თოკი გაწყდა! – ნასკვი ასხლტა, – ჭანჭიკი მოსძრა!

ურდული გასარანდია! – ალთა, ბალთა, კალთა,

შალთა, ღვედი, აბზინდა თუ აბზინდის ენა,

ყველაფერი გამოსაცვლელია.

**ლორენს სტერნი**

როცა „პერესტროიკამ“ პატარა უფლება უწყალობა იმპერიაში შემავალ ხალხებს, ყველაზე მეტად გადიდგულდა ქართველი კაცი. მან სულის მოთქმაც არ აცალა მოსკოვის ცკ-ს, რომელსაც უკვე განზრახული ჰქონდა იმპერიის დაშლა. მოაწყო ხალხმრავალი მიტინგები და სხვადასხვა ანტირუსული გამოსვლა.

ისტორია გვასწავლის, რომ ტოტალიტარული სახელმწიფო ინგრევა გარედან შიგნიდან კი ხალხი აძლევს ბიძგს. მაგრამ ამ ბიძგს უნდა გაანგარიშება. ისეთი ბიძგი უნდა მისცე, რომ თვითონ არ მოექცე ნანგრევებში.

იმ უზარმაზარი იმპერიის დანგრევით, რომელიც გერმანიიდან იაპონიამდე იყო გადაჭიმული, არც ერთი ერთი ისე არ დაზარალებულა, როგორც საქართველო. მიზეზი? – ჩვენი ხალხის აჩქარებული ტემპერამენტი და მოსალოდნელ მოვლენათა განჭვრეტის სუსტი უნარი.

80-იანი წლების ბოლოს ტელევიზორზე მოვისმინე ახალგაზრდა ეკონომისტების აზრი მოსალოდნელი ეკონომიკური კრიზისის შესახებ. კითხვაზე – რამდენპროცენტიანი დატვირთვით იმუშავებს ჩვენი მრეწველობა რუსეთისგან დამოუკიდებლად? 14%-ით, იყო პასუხი. რუსეთის – 50%-ით.

ქართველებმა, იმის მაგივრად, რომ გაეანალიზებიათ მოცემული სტატისტიკა და შესაძლებლობების ფარგლებში მომზადებულიყვნენ ეკონომიკურად, დაიწყეს მუშტების ქწევა ჩრდილოეთისკენ და ქვეყნის შიგნით ხალხი დამოძღვრეს: ოლონდ რუსები მოვიცილოთ და ბალახს მოვძოვთო. მათ ბალახის ძოვა არ დასჭირვებიათ, კოლოსალურ ხელფასებსა და პრემიებს ძოვენ. მაგრამ ხალხი... ნამდვილად მიიყვანეს უდიდეს გაჭირვებამდე: უმუშევრობითა და რვალარიანი პენსიით.

სხვანაირად არც შეიძლებოდა მომხდარიყო, რადგან ჩვენი მრენ-ველობის 100%-იანი მუშაობისას ბევრი გვაკლდა და 14%-ზე კარგი რა მოგვივიდოდა. ახლა თითქოს გამოსწორდა მდგომარეობა ხელ-ფასებისა და პენსიების მხრივ, მაგრამ 14 მილიარდი ვალი ზურგზე აქვს აკიდებული ქართველ კაცს და მევალე თუ ისურვებს, შენი ცოლ-შვილიანად დაგაბამს თოკს და წაგიყვანს საითაც ისურვებს, ვერც მორალი დაგიცავს და ვერ იურისდიქცია.

ხომ არიან რუსეთთან ზოგიერთი ერები, მაგრამ არ შეუჭამიათ ისინი, არც დაუსაჭურისებიათ.

თუ გადავხედავთ პრივატიზაციას, რომელიც პირველ პრეზი-დენტს და მეორესაც პანაცეად მიაჩნდათ, ეს იყო ხალხის ძარცვა. მისცეს ხალხს „გროშებად“ ღირებული ვაუჩერები, რომლებიც შიმ-შილობაში ჩავარდნილმა მოსახლეობამ ორ კილო შაქარში გაყიდა.

მინა ისე იოლად გაანაწილეს, რომ უკეთესად საქმის მოგვარებას ვერც ერთი მუქთახორა ვერ ინატრებდა. 90-იან წლებში გამსახურდიას ამერიკელმა უურნალისტმა ჰკითხა: როგორ მიდის მიწის პრივატი-ზაციის საქმეო. მიწის პრივატიზაცია პრაქტიკულად ჩატარებულია, საკოლმეურნეო ნაკვეთები მივეცით გლეხებს საკუთრებაში და ჩვენ მხოლოდ მისი ფიქსირება დაგვრჩია. ასეთი პასუხი გვაგებიებს, რომ კომუნისტებს ობიექტურად გაუნაწილებიათ მიწები და ჩვენთვის პატა-რა საზრუნვი დაუტოვებიათ, მოგვეხდინა ამ განაწილების ფიქსირება.

თუ გადავხედავთ სავაჭრო საქმეს, ქალაქად თითქმის არის რაღა ცწესრიგი, ცოტაოდენი მაინც, სოფელი კი სრულიად ჩავარდა თაღ-ლითების ხელში. ისინი ყიდულობენ ქალაქში სასოფლო თუ სამრენ-ველო პროდუქციას და სოფელში ატანილს ყიდიან 20-30%-ის დანა-მატით, ხშირად – ორმაგ ფასებში. მთავრობა მათ არ აწუხებს რაიმე კანონით, მხოლოდ გადასახადს ახდევინებს.

ჩვენს სოფლებში ვაჭარი საქონლის ფასს თვითონ ადგენს, შო-ფერი – მგზავრობისას და მიდის მთავრობებისა და მისი ფავორიტი თაღლითების საქმე წინ, მაგრამ ხალხი... იგი ამდენი გაჭირვებითა და უპატრონობით გულშეწუხებული ცდილობს, როგორმე უცხოეთში გაიქცეს, სადაც შეიძლება გადარჩეს როგორმე, აქ კი...

მთავრობის კაცები ყველგან ბევრი გვყავს, მაგრამ ჩვენს საქმეს ვერ შველიან ან არ შველიან. ივანიშვილის პრემიერობის დროინდელი 250-ლარიანი ვაუჩერები ისე დაუკარგეს მოსახლოების გარკვეულ ნაწილს, რომ პასუხის ღირსიც არ გახადეს. თავს იმართლებენ, კომ-პიუტერმა ამოაგდოო. ველარ გამიგია კაცს, ვინ ვის მართავს, კაცი

კომპიუტერს თუ კომპიუტერი კაცს. ვფიქრობ, რომ კომპიუტერით მომართული კაცები ხალხის ჭირ-ვარამს ვერ იგებენ და ვერც სასიკეთოს გაუკეთებენ რამეს.

ქართული დემოკრატია ისე ჰგავს ჭეშმარიტ დემოკრატიას, როგორც საბჭოური სოციალიზმი ნამდვილ სოციალიზმს. თუ პირველი თაღლითების დიქტატურას ამყარებს, მეორე წითელი დიქტატურის დამცველი და მეხოტბე იყო. აქ საზოგადოების ბედი ჰგავს ნინოშვილის დათიეს ქალიშვილის ბედს. იგი იასონთან ლალობს პაემანზე, უცბად პატარა გველი გასრიალდა მათ წინ. პატარა გველისგან შეშინებული ქრისტინე მკერდზე მიეკრა დიდსა და შხამიან გველს – იასონს, ამბობს მწერალი.

ზოგი კაცი გაიძახის, ცხოვრება გაუმჯობესდაო. ცხოვრების გაუმჯობესება ის კი არ არის, რომ ცალკეულმა თაღლითმა მდგომარეობა გაიუმჯობესოს, არამედ ის, რომ საზოგადოების ცხოვრების დონემ აინიოს. აქ საზომად გამოდგება საშუალო უნარის კაცი და არა გმირი, ზარმაცი ან თაღლითი.

ქართული დემოკრატიული მთავრობა ისე კრიახობს, ქვეყანას ავაშენებთო, რომ მტერს გულზე გახეთქავს და საქმეში ჩაუხედავ მოყვარეს გაახარებს. მაგრამ თუ საქმეში ორივე ჩაიხედავს, მაშინ ყველაფერი შეიცვლება, მტერი გაიხარებს და მოყვარე გასკდება.

ეს რომ ასე არ მოხდეს, საჭიროა: იმ თოვს, ნასკვს, ჭანჭიკს, ურდულს, ალთას, ბალთას, კალთას, შალთას, დროულად მივხედოთ, რითაც ჩვენს ვალს მოვიხდით ერის წინამე. თორემ მენტორული დარიგება „პური თუ ძვირია, ნამცხვარი ჭამე“, ვერც ერს წაიყვანს წინ და ვერ მენტორს.

**ზელიმ ჩაკვეტაძე**  
15.I.2018წ.

## სალი და არჩევნები

„რა ბედნიერებაა, როცა ხალხი არ ფიქრობს!“  
**ჰიტლერი**

დიახ, ბედნიერებაა, როცა ხალხი არ ფიქრობს და არ აზროვნებს. მაგრამ საკითხავია – ვისთვის? ზემოთ გამოთქმული ციტატის ავტორისათვის მომგებიანია გამოთქმული აზრი, მგრამ ჰუმანისტისთვის საშინელებაა.

ვაჟა-ფშაველა დიდი ხნის წინათ წერდა: „მცირეთა რითლა იხარონ, თუკი არ იქნა ბელობა. ხომ წახდა სამუდამოდა ჯადოქარისა ხელობა“.

უნდა გვახსოვდეს, რომ დიდი უბედურებების დროს, ჯადოქარი ხშირად შველის თავის თავს, ბრძოლი კი საზოგადოების შეგნებულ ნაწილთან ერთად ნადგურდება. ჯადოქარი იყენებს თავისი „მიზნების“ განსახორციელებლად არჩევანის უფლებას, რომელიც შეიძლება ცალკეული ადამიანებისთვის სასარგებლო იყოს, მაგრამ ბრძოლა და ხალხის შეგნებული ნაწილისათვის იგი წამგებიანია.

საღად მოაზროვნე კაცისათვის გასაგებია, რომ ვიღაცას აწყობს არჩევნების საყოველთაობა. ამ ვიღაცაში შეიძლება ვიგულისხმოთ თაღლითი კაციც, რომელსაც მაღალ ემელონებში მუშაობით სამუალება ეძლევა, აბსოლუტურად გამოამჟღავნოს თავისი „შემოქმედებით“ უნარი, ის ეყრდნობა ბრძოლს და მისი უხეში ხალით მორჩილებაში მოჰყავს მისადმი თაყანისმცემელი ბრძოლი და მთელი სახელმწიფოც. გავიხსენოთ დიმიტრი ყიფიანის აზრი: „ხალხისა და ყმანვილის მოტყვილება ადვილია, ორივე დაპირებებით ტყვილდება“.

ადოლფ ჰიტლერი ოქროს მთებს ჰპირდებოდა ხალხს. საზოგადოების შეგნებული ნაწილი გაჰკიოდა: „დალუპას ქვეყანას ეს გიუი ეფრეიტორი“, ბრძოლი კი გაჰყვირდა: „ჰაილ, ჰაილ, ჩვენს ფრიურერს! ზიგ ჰაილ და კიდევ ჰაილ“. მართალია, ჰიტლერს არც საპრზიდენტო არჩევნებში და არც რაიხსტაგში არ გაუმარჯვია, მაგრამ ბრძოლი ისე მოაფალოვა თავის ხელოვნებით, რომ 35 მილიონი კაცი ერთ მუშტად აქცია და 1933 წლის 5 მარტს 650 დეპუტატისგან 288 ჰიტლერელი იყო.

გაიანგარიშა რა ჰიტლერის გავლენა გერმანიაზე, პრეზიდენტი მას ჯერ კანცლერობა მისცა და შემდეგ თავის პლიტიკურ მემკვიდრედ გამოაცხადა. ერთი შეხედვით იგი არჩეული არ იყო, მაგრამ თუ საკითხს ღრმად ჩავუკვირდებით, გასაგები გახდება, რომ იმ 35 მილიონი კაცისგან შემდგარი მუშტი მას არჩევნების გარეშე არ შეუქმნია.

მისი წამოტივტივების მიზეზი მაინც არჩევნები იყო. ზოგი იტყვის, იგი მაინც გავიდოდა სათავეში. არც ეს არის გამორიცხული, რაკი მას იმოდენა სიცრუისა და ჯადოქრობის უნარი ჰქონდა, მაგრამ მან სახალხო არჩევნების გზით დაიწყო წამოტივტივება. მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ სატანა არ არის ბრიყვი, რომ რთული და სახიფათო გზები ეძიოს, როცა მის ხელთა მარტივი და საიმედო გზა – ბრძოლა და საყოველთაო არჩევნები. რაც მრავალრიცხოვანია ბრძოლი, მით უფრო იოლდება სატანის საქმე. ძლიერია სატანა, მაგრამ არც ღმერთია სუსტი. მან თავისუფალი არჩევანის უფლება კი მისცა

ადამიანს, მაგრამ ისიც დაუდო კოდად, რომ ბრძოს ორგანიზაციის უნარი არ ჰქონებოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი წალეკავდა კულტურულ კაცობრიობას.

ბრძოს სტიქიაა, იგი ერთხელ შეუტევს მოპირდაპირეს ნიაღვარივით და მომენტალურად დაიშლება. სატანა ამ ერთი შეტევის უნარს მაქსიმალურად იყენებს.

ქართული დემოკრატიის სახალხო შუქურამ რუსთაველზე რომ თავყბადამტვრეული ბიჭები ძირს დაყარა, რამდენჯერმე გავიგონებრძოში: „ძალიან კარგი... „პულიმიოტი“ უნდა დაუდგა მაგ მამაძალ-ლებს, ამისთანა კარგ პრეზიდენტს რავა ეჩიუბებიან“. ისიც მოვის-მინე, რომ რომელიდაც სკოლაში მასნავლებლებს ხატზე გადაუციათ ანტიმიშათადიდებლები: „ვინც მიშას ხმა არ მისცეს, ღმერთო, ასე და ისე უქენიონ“. მაშინ, როცა მათი სათავეანებელი მიშა პოტენციური დამნაშავე ყოფილა და არა – ხალხის მსახური.

შილერს უთქვამს: „ხმები კი არ უნდა ითვლებოდეს, უნდა იწონებოდეს“. არ მგონია, მიშას თაყვანისმცემელ რაჭა-ლეჩებუშს, ქვემო სვანეთსა და ჯავახეთს მეტი ჭია ჰქონდეს, ვიდრე ერთ სოკრატეს.

თუ დავეყრდნობით ბაზზაკის შეხედულებას არჩევნების შესახებ: „...დაამტკიცა არსებობა იმ საზარელი კანონისა, რისი წყალობით უბადრუკ, უნიჭო ადამიანებს საშუალება ეძლევათ, საზოგადოების ყველა ფენაში მაღალი მდგომარეობისათვის განკუთვნილ პიროვნებათა არჩევანი საკუთარი გემოვნების მიხედვით მოახდინონ. რაღა თქმა უნდა ისინი საკუთარ თავს აირჩევენ და წეშმარიტად ნიჭიერ ადამიანებს გააფთრებით ებრძვიან ყველაფერში. საარჩევნო წესის გამოყენება მცდარია“.

გადავხედოთ ქრისტიანული რელიგიის მამამთავარ ქრისტეს და ვიმსჯელოთ მის ბედზე, თუ როგორ იყენებს ღმერთის მიერ ნაწყალობებ არჩევანის უფლებას ბრძო მწყალობლის წინააღმდეგ (იხ. მათეს სახარება თავი 27-ე აბზ. 17): „უთხრა მათ პილატემ, ვინ გსურთ, რომ გაგითავისუფლოთ, ბარაბა თუ იესო, ქრისტედ წოდებული? მათ უთხრეს, ბარაბა. უთხრა მათ პილატემ: იესოს რაღა ვუყოთ ქრისტედ წოდებულს? ყველამ თქვა: ჯვარცმულ იქნეს. პილატემ ხელები დაიბანა ხალხის წინაშე და თქვა: უბრალო ვარ ამ მართლის სისხლისგან, თქვენ, იცით. მთელმა ხალხმა მიუგო პასუხად – ჩვენ და ჩვენს შვილებზე იყოს მაგის სისხლი“.

დიახ, მათ და მათ შვილებზე დარჩა მისი სისხლი. არჩევნები ჩატარდა, მაგრამ ვის სასარგებლოდ? – პიროტების.

თუ ვინმე ფიქრობს, რომ ჯვარზე გაკრული ქრისტე მითიურია და რეალობასთან საერთო არაფერი აქვს, შემცდარია. მაცხოვრის ჯვარცმა ადამიანის აზროვნების ხანგრძლივი აპსტრაქციის შედეგია. იგი ადამიანებს აუწყებს, თუ როგორ უსწორდებიან პროგრესის მქადაგებლებს ბრძო და გულბოროტი ადამიანები.

იურისაპრუდენცია თავისი ვექილებითა და სოფისტებით პილატეს გაამართლებს, პირადად მას დანაშაული არ ჩაუდენიაო. პირადად მან „ხელები დაიბანა“, მაგრამ ჰქონდა მას ამის უფლება?! გამიგონია, ხალხსა და ბავშვზე პატრონია პასუხისმგებელიო. ამას ისიც ერთვის, რომ დეიურე და მორალიდან გამომდინარეობს და აქედან გამომდინარე იგი დამაშავეა როგორც მორალურად, ისე იურიდიულად. წაწყმედილი ერის ბერი წაწყმედილია. ბოროტმა კაცმა ჭეშმარიტების მქადაგებელი მაცხოვარი ბრძოს მიუგდო საჯიჯვნად.

ხალხმა პირველად იხილა ჯვარზე გაკრული იესო ქრისტე, იგი როგორც სიმბოლო ჭეშმარიტებისა და კაცომოყვარეობისა კაცობრიობის ისტორიის დასაწყისიდან იყო ჯვარზე გაკრული. მუდამ პეირდებოდნენ და ახლაც პეირდებიან საწყალ ხალხს, ჩვენ ჩამოვხსნით იესო ქრისტეს ჯვრიდან, ჩვენ დაგაყენებთ ჭეშმარიტ გზაზეო, მაგრამ დამპირებელი ბევრია, ამსრულებელი...

შეძლებს კი ოდესმე კაცობრიობა, ჭეშმარიტებისა და კაცომოყვარეობის გზას დაადგეს? – შესძლებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი სატანას უარყოფს მთელი თავისი ჯადოქრობით, შურით, მტრობით, გაიძვერობით, ავაზაკობით, ქურდობით, მეძავობით, სიცრუითა და ათასნაირი არაკაცობით და დაადგება ღვთაებრივ გზას, რომელ-საც კაცობრიობა სინდის-ნამუსის, კაცომოყვარეობის, შრომისა და უძრავი სიკეთისაკენ მოჰყავს.

ზ.თ. მკვლევარი სერგეევი წერს: „პლატონის სოციალ-პოლიტიკური ფილოსოფიის მთავარი პუნქტი ასეთია: ხალხის ფართო მასა არ მომნიဖებულა (მისი აზრით, არც არასდროს მომწიფდება) პოლიტიკური ხელმძღვანელობისათვის და ყოველთვის ემორჩილება მათ ბრძნულ ხელმძღვანელობას, ვისშიც ჭარბობს ღვთაებრივი საწყისი“. აქ პლატონი ლაპარაკობს იმ ღვთაებრივ საწყისზე, რომელთანაც საერთო არაფერი აქვს იმ ტიმოკურატებს, რომლებიც ხშირად გდებენ ხელში ხალხის ბედს. ისინი არა ღვთაებრივი, არამედ სატანისეული საწყისებით მოქმედებენ.

ზელიმ ჩაკვეტაძე  
5.V.2016.

## სარჩევი:

ნინასიტყვაობა	3
კოლმეურნეობა, კონფორმისტები და მეამბოხეები	4
სახელმწიფოს ეკონომიკური ინკოგნიტო	8
არ აშენდების შლამისგან რუის-ურბნისის ციხენი	11
პრეროგატივის საარჩევნო პარადოქსი	15
თანამედროვე ეკონომიკური პრობლემები	17
ისევ მიწის საკითხის ირგვლივ	20
სამამულო ომის მონაწილეთა პასკვილანტები	24
როცა დუმან, ყვირიან	26
პასუხი ბატონ მიტროფანე სტურუას წერილზე	26
„როგორი წარმომიდგენია „სამტრედიის მაცნე“	26
გზა ბოლომდე გალეული	29
პრეროგატივები და კლაკიორები	34
ჩვენი პოზიცია	36
პოლიტიკური პერიპეტიები და ტოტალიტარული რიტუალები	40
ეროვნული მოძრაობა და „საკარმიდამოს“ კაცები	45
ცხოვრების და განათლების ანაკოლუთი	48
ეროვნული მოძრაობის ინტერპრეტაცია	52
რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობისათვის	61
პრეზიდენტისა და მისი კლაკიორების ფიასკო	66
გლეხი და მიწის პრივატიზაცია	71
მიწის საკითხი ჩემს ნაწერებში	74
ვერ შევარგებთ „ხალხს“ პრივატიზაციას	78
„ვაი თქვენ ხელში ჩვენს საქართველოს!“	83
დემოკრატია და დიქტატურა	88
რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობის ინტეპრეტაცია	91
პაუპერები, ბისნესმენები, დემოკრატები და კომუნისტები	94
ბერისეული სენტენციები და ერის ფანტასმაგორია	98
იოსებ სტალინი – დემოკრატი თუ დიქტატორი?	101
საბრალონი	104
კაცობრიობის მომავალი	107
ქართული დემოკრატიის პარალოგიზმი	110
ხალხი და არჩევნები	112